პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 აპრილი სამშაბათი 2010

№090 (13078) ფასი 60 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველ ფეხბურთელს თანაგუნდელმა და მწვრთნელმა სცემეს!

>> გვერდი 3

# ვისთვის ამოიფრქვა ვულკანი?



## ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზებზე საერთაშორისო კომისიამ დასკვნა გამოაქვეყნა

ქართველი ოლიმპიელის ნოდარ ქუმარიტაშვილის სიკვდილი ერთ კონკრეტულ მიზეზს არ გამოუწვევია, - ამის შესახებ საუბარია დასკვნაში, რომელიც ციგაობის საერთაშორისო ფედერაციამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დღეს გამოქვეყნეს.

დასკვნაში, რომელიც ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა, ნათქვამია: *„ტრაგედია, რაც ნოდარ ქუმარიტაშვილს დაატყდა თავს, წინასწარ გაუთვლელი უბედური შემთხვევა იყო, რომელიც სიკვდილით დასრულდა“.*

ქუმარიტაშვილის გარდაცვალების მიზეზების დამდგენ კომისიას მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი სვეინ რომსტედი და ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კლერ დელნეგრო ხელმძღვანელობდნენ.

*„ყოველმხრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ არ არსებობს ერთი მიზეზი, რის გამოც ნოდარი გარდაიცვალა. ეს იყო ერთმანეთთან დაკავშირებული რთულ მოვლენათა ჯაჭვი, რამაც ამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა“*, - ნათქვამია ანგარიშში.

20-გვერდიან ანგარიშში მოცემულია ნოდარ ქუმარიტაშვილის სპორტული კარიერის დეტალები, მისი კვალიფიკაცია და როგორ მოხვდა 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადაზე. ანგარიშში, ასევე, მოცემულია უისტლერის ტრასის ტექნიკური დახასიათება და მონაცემებიც, როგორ და რატომ შეიცვალა ტრასა ქუმარიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ.

ანგარიშში სრულად არის გაანალიზებული ნოდარ ქუმარიტაშვილის საბედისწერო დაშვების დეტალები.

ანგარიშის ანოტაციაში, ასევე, ნათქვამია, რომ მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია აგრძელებს ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახის თანადგომას, თანადგომას უცხადებს საქართველოსაც, რომელიც ბაკურიანში ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასის აგებას გეგმავს.

*„მოციგავეთა საერთაშორისო ფედერაცია გააკეთებს ყველაფერს, რომ მსგავსი ტრაგედია არასდროს განმეორდეს“*, - ნათქვამია ანგარიშში.

ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ანოტაციაში, ასევე, ნათქვამია, რომ ანგარიში გადაეგზავნა ნოდარ ქუმარიტაშვილის ოჯახს, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, კანადის მოციგავეთა ფედერაციასა და სხვებს.

ნოდარ ქუმარიტაშვილი 12 თებერვალს, ვანკუვერის ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, უისტლერის ტრასაზე საკვალიფიკაციო დაშვების დროს დაიღუპა.

*ინტერპრესნიუსი*



## ბარსამ ავტობუსშიც ისიამოვნა



UEFA CHAMPIONS LEAGUE

*ჩემპიონთა ლიგა.* პირველი ნახევარფინალის წინათქმა

>> გვერდი 6




## არაკი მფრინავ სანიკიძეზე

*რეალბასკეტი*

ვიქტორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თამაშში ნათელი ფერების შეტანა შეუძლია

>> გვერდი 12

## ლელოს რედაქცია ულოცავს გაზეთ კვირის პალიტრას 15 წლის იუბილეს

# გარკვეული კანონზომიერება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი* | 30 | 22 | 6 | 2 | 59-17 | 69 |
| 2. დინამო | 30 | 17 | 7 | 6 | 47-17 | 58 |
| 3. ზესტაფონი | 30 | 16 | 10 | 4 | 48-26 | 58 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 30 | 14 | 11 | 5 | 41-28 | 53 |
| 5. სპარტაკი | 30 | 10 | 9 | 11 | 36-45 | 39 |
| 6. სამტრედია | 30 | 8 | 7 | 15 | 36-56 | 31 |
| 7. სიონი | 30 | 6 | 13 | 11 | 22-38 | 31 |
| 8. ბაია | 30 | 6 | 8 | 16 | 25-39 | 26 |
| 9. ლოკომოტივი | 30 | 3 | 10 | 17 | 14-40 | 19 |
| 10. გაგრა | 30 | 3 | 7 | 20 | 22-50 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 26 (10პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 (1პენ.) |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | 11 (1პენ.) |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.
ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

**მომდევნო ტური**

**24 აპრილი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-დინამო

**25 აპრილი, კვირა**

ბაია-სამტრედია
ოლიმპი-გაგრა
ზესტაფონი-სიონი
ლოკომოტივი-სპარტაკი

სეზონის ფინიში ახლოვდება და... „ამის პარალელურად“, რუსთავის „ოლიმპიც“ უახლოვდება კლუბის ხანმოკლე ისტორიაში მეორე საჩემპიონო ტიტულს. ეგ კი არა, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „ოლიმპი“ ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გახდება ოქროს მედლების მფლობელი; ყოველივე ამას კი ორი და ამასთან, ერთიმეორეზე „მარტივი“ მიზეზი აქვს: „ოლიმპი“ კვლავაც არ კარგავს „დაუგეგმავ“ ქულებს, ხოლო ერთ დროს რომ უშუალო კონკურენტებად მიიჩნეოდნენ, ის გუნდები კვლავაც არასტაბილურად ასპარეზობას განაგრძობენ. ასე მოხდა განვლილ ტურშიც და ამ ეტაპისთვის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი უკვე თერთმეტი ქულით უსწრებს „დინამოსაც“ და „ზესტაფონსაც“.

რაც შეეხება ცხრილის ქვედა ნაწილს, იქ, ფაქტობრივად, ყველაფერი გაირკვა; ანუ, უშუალო კონკურენტების შეხვედრაში „ბაიას“ გამარჯვებამ ძალიან ბევრი რამ გაარკვია - „ლოკომოტივი“ და „გაგრა“ ამ ეტაპისთვის მართლაც უიმედო მდგომარეობაში იმყოფებიან. თუმცა, ტურის წინათქმაში ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: ჯერ არავინ იცის, სეზონის ფინიშისკენ რა და როგორ იქნება; ანუ, უკვე „ხმამაღლაც“ საუბრობენ იმაზე, რომ უმაღლესი ლიგიდან არც არავინ გავარდება და პირიქით - ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა გაიზრდება...

## პირველი... უკრაინული

საქართველოს ჩემპიონატში ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ანატოლი პისკოვეცმა მესამე ცდაზე შეძლო პირველი „აქაური“ ქულის აღება. თანაც, უკრაინელმა მწვრთნელმა თავის ახალ გუნდთან ერთად ამ მართლაც დამსახურებული ქულის აღება მეტად ძლიერ მეტოქესთან - „ზესტაფონთან“ პაექრობაში მოახერხა. პისკოვეცის საქართველოში დაბრუნებისთანავე აღვნიშნეთ, რომ მის ყოფილ და ახლანდელ აქაურ გუნდებს შორის ძალიან ბევრი სხვაობაა; რაც მთავარია, პისკოვეცს აბსოლუტურად განსხვავებულ კონტინგენტთან უწევს მუშაობა - ორი წლისწინანდელი „ოლიმპი“ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი იყო (პლუს, მოქმედი ჩემპიონის სტატუსი ჰქონდა), ახლანდელი „გაგრა“ კი ცხრილის აუტსაიდერია. თუმცა პისკოვეცი მაინც დათანხმდა ახალგაზრდულ გუნდში მუშაობას და „გაგრას“ თამაშში ნელ-ნელა პოზიტიური მომენტებიც იკვეთება. ყოველ შემთხვევაში, გუნდის თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალურად ცდილობს ახალი მწვრთნელის დავალების შესრულებას; რა თქმა უნდა, ერთია - მონდომება და მეორე - საშემსრულებლო ოსტატობა, მაგრამ პისკოვეცის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სამივე შეხვედრაში „გაგრას“ ფეხბურთელების ქმედებები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ისიც ფაქტია, რომ გუნდს აშკარად გამოადგა უკრაინელი ლეგიონერი **ნიკოლაი ნაკონეჩნი** - გამოცდილი „საყრდენი“ მოედანზე უაღრესად შრომატევად სამუშაოს ასრულებს და იმავე „ზესტაფონთან“ მატჩში ორჯერ ჩინებული ასისტენტობაც გაუწია პარტნიორებს. ნაკონეჩნისთვის ეს სადებიუტო სეზონია საქართველოს ჩემპიონატში, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის თანამემამულე **ალექსანდრ ომელიანოვზე**; „გაგრას“ ფორვარდი ჯერჯერობით მხოლოდ სისწრაფით თუ გამოირჩევა, არადა პოტენციალი ნამდვილად გააჩნია. რაც შეეხება გუნდის მესამე უკრაინელ ახალწვეულს, **ვასილი გრიგოროვიჩმა** „გაგრა“-“ზესტაფონის“ მატჩს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი. ოღონდ, მიზეზი „საპატიო“ ჰქონდა - ცხვირგატეხილი იყო...

...პისკოვეცის მოსვლის შემდეგ „გაგრას“ ტაქტიკური განლაგება შეიცვალა და ამჯერად 3-5-2 სქემით ასპარეზობს. თუ არ ვცდებით, დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატში მსგავს ტაქტიკურ სქემას არც ერთი გუნდი არ იყენებს. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ფლანგის ფეხბურთელებს ეკისრებათ და „გაგრას“ მწვრთნელებსაც ჯერჯერობით საპრეტენზიო არ უნდა ჰქონდეთ ამ პოზიციაზე მოთამაშე **ნიკოლოზ ჯიშკარიანის** (მარცხნივ) და **ცოტნე ხარაბიძის** (მარჯვნივ) მიმართ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებს შორის ყველაზე უმცროსია, მაგრამ 16 წლის ბიჭი უკვე მერამდენე მატჩია არ ტოვებს ურიგო შთაბეჭდილებას.

„გაგრა“-“ზესტაფონის“ მატჩზე გუშინაც ვრცლად ვისაუბრეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ შეხვედრის საბოლოო შედეგი ლოგიკური იყო. რა თქმა უნდა, სტუმრები კლასითაც და საშემსრულებლო ოსტატობითაც მასპინძლებს აღემატებოდნენ, მაგრამ ფეხბურთში ხომ მთავარი შედეგია.

## სიახლის ფაქტორი

ფეხბურთში ბევრი დაუწერელი კანონია; ერთ-ერთი, ახალ მწვრთნელს უკავშირდება ხოლმე: უმრავლეს შემთხვევაში ნებისმიერი გუნდი ახალი დამრიგებლის თავკაცობით ჩატარებულ შეხვედრას ალმავლობით ატარებს. აი, ასე მოხდა „სპარტაკი“-“დინამო“ მატჩშიც: მასპინძლები მოედანზე ახალმა მწვრთნელმა **გოჩა ჩიქოვანმა** გამოიყვანა და სადებიუტო შეხვედრაც მათი გამარჯვებით დასრულდა! არადა, ახალ თავკაცს ასეთ სერიოზულ მეტოქესთან მატჩის წინ უამრავი საკადრო პრობლემა ჰქონდა - დისკვალიფიკაციის გამო „სპარტაკს“ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი (**გიორგი ჩივაძე, დავით ბაქრაძე, ლადო ბურდული, ტიერი ანს კლოვისი, თორნიკე თარხნიშვილი**) აკლდება. ამათ გარდა, „დინამოსთან“ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე მოუწიათ ყოფნა **დაჩი ფოფხაძესა** და **ირაკლი ჩირიკაშვილს** - ორივე ეს მოთამაშე კი, მოგეხსენებათ, „სპარტაკის“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

აქვე, ერთი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც: „სპარტაკი“ და „დინამო“ ამ მატჩამდე ოთხი დღით ადრე თასის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ფინალის საგზური „დინამოს“ დარჩა და, ალბათ, ამის გამოც მოხდა „სპარტაკში“ სამწვრთნელო გადაადგილება. ოღონდ, ყოველივე ეს „ცხელ გულზე“, ანუ, განმეორებითი ნახევარფინალის დამთავრების მერე კი არა, სამი დღის შემდეგ მოხდა - ჩემპიონატის კალენდარული მატჩის წინადღეს. ასეა თუ ისე, **ვლადიმერ ხაჩიძე** უკვე აღარ არის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი და ჩემპიონატში უმოტივაციოდ დარჩენილი გუნდის გაძლოლა გოჩა ჩიქოვანს მიანდეს. ჰოდა, დებიუტიც მშვენიერი გამოვიდა, თანაც, გოლები იმ ახალგაზრდა ნახევარმცველებმა გაიტანეს, „სპარტაკში“ მეორე ეტაპის დაწყებიდან რომ ჩაირიცხნენ: **ბესიკ დეკანოიძემ** და **გიგა ბურჯანაძემ**. აი, „დინამომ“ კი შეწყვიტა მშვენიერი წაუგებელი სერია, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, **კახა კაჭარავას** გუნდისგან ამ მარცხს მოულოდნელობად ვერ შევაფასებთ.

ზემოთ ფეხბურთის „დაუწერელი კანონები“ ვახსენეთ და ერთ-ერთი ისიც არის, ერთსა და იმავე მეტოქეს დროის მოკლე პერიოდში ზედიზედ ორჯერ რომ ვერ მოუგებ. არ დავმალავთ, შესაძლოა, დინამოელები მოედანზე ნაკლებად მოტივირებულნიც გავიდნენ, მით უფრო, რომ კარგად იცოდნენ მეტოქის საკადრო პრობლემების შესახებ. თუმცა, ამით სულაც არ გვინდა მასპინძელთა გამარჯვების დაკნინება - „სპარტაკის“ ფეხბურთელებს მონდომება დაუფასდათ და ამ სეზონში მეექვსე ცდაზე მაინც შეძლეს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის დამარცხება!

... XXX ტურის მიმოხილვა კი თბილისის „დინამოს“ კეთილშობილური საქმით გვინდა დავასრულოთ. დინამოელებმა დილმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები მოინახულეს, საჩუქრები გადასცეს და მათთან ფეხბურთიც ითამაშეს. დინამოელები იმედოვნებენ, რომ დილმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება - „დინამოს“ მონაწილეობით ჩატარებულ ყველა საშინაო მატჩზე დაპატიჟეს. სხვათა შორის, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ წლების განმავლობაში ახალგორის ბავშვთა სახლს ეხმარებოდა, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ეს ურთიერთობა დროებით შეწყდა და იმედია, მომავალში კვლავაც აღდგება...

**გია ტუხაშვილი**

**XXX ტურის სიმბოლური ნაკრები**






ლოკომოტივი-ბაია 1:3 ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ზესტაფონი

# ...და მაინც მშობლიურ არენაზე




გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით იმ ამბის შესახებ, რომელმაც ზესტაფონელ (და არა მარტო) გულშემატკივარს გული დაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ხმების მიხედვით, „ზესტაფონი" მიმდინარე სეზონის ბოლომდე საშინაო მატჩების გამართვას, არა მშობლიურ ქალაქში, არამედ თბილისში გეგმავდა. საამისოდ არაერთი მიზეზი დასახელდა. მათ შორის ყველაზე რეალურად ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის უთანხმოება თუ გაუგებრობა მოჩანდა. ისიც ითქვა, რომ ხელისუფლებამ, ზესტაფონში ფეხბურთის ნაცვლად რაგბის აღორძინებაზე გააკეთა აქცენტი. ოფიციალურად არავინ დაადასტურა, მაგრამ ეს ამბავი ე. წ. „საკლუბო რევოლიციის" პროექტსაც კი დაუკავშირეს, რომლის თანახმადაც „ზესტაფონი" თითქმის მთლიანად „ბათუმი" გახდებოდა", ყვირილისპირა ქალაქში კი „გაგრა" დაიდებდა ბინას...

როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და ზემოთ დასახელებული ვერსიებიდან, ყველა თუ არა, რომელიმე მაინც ახლოს რომ არ იყოს რეალობასთან, მაშინ ამ თემას ასეთი რეზონანსი არ მოჰყვებოდა. ისიც კი გავიგეთ, მშობლიური ქალაქის გუნდზე უზომოდ შეყვარებულმა ზესტაფონელებმა საპროტესტო ჟესტებსაც კი მიმართეს. ჩვენი ინფორმაციით, იმერული კლუბის ქომაგებმა, სკოლებში სასწავლო პროცესისა და გაფიცვების ორგანიზებაზე დაიწყეს ზრუნვა. უფრო მეტიც, ზემოთ ნახსენები და ჩვენ მიერ გაჟღერებული, ე. წ. „საკლუბო რევოლუცია" ბათუმშიც არ მოეწონათ. ერთი სიტყვით, მშობლიური ქალაქიდან „ზესტაფონის" აბარგების მცდელობამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რასაც შედეგიც მოჰყვა - ყველაფერი ისე გადაწყდა გულშემატკივარს რომ გაეხარდება...

დიახ, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, „ზესტაფონი" მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდება. ყვირილისპირელები უახლოესი ტურის მატჩში, 25 აპრილს, ბოლნისის „სიონს" დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე დაუხვდებიან. ეს ინფორმაცია გუშინ იმერულ კლუბშიც დაგვიდასტურეს.

*„დიახ, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ „ზესტაფონი" „სიონს" მშობლიურ არენაზე უმასპინძლებს. გარკვეული საკითხები იყო გადასაწყვეტი და ყველას იმედი გვაქვს, რომ ფეხბურთისთვის და გულშემატკივრისთვის სასიკეთოთ გადაწყდება. ამ ეტაპისთვის, უკვე გარკვეულია, რომ ჩვენი გუნდი ზესტაფონში" ითამაშებს. იმედი მაქვს, ზესტაფონში ფეხბურთის ზეიმი გაგრძელდება და ქომაგებს კიდევ არაერთხელ გავახარებთ. ამ ეტაპისთვის, მეტს ვერაფერს გეტყვით",* - უთხრა „ლელოს" „ზესტაფონის" პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ.**

რა თქმა უნდა, კარგია, რომ პრობლემა. მოგვარდა და ათასობით ზესტაფონელ ქომაგს გული არ დაწყვიტეს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამ ორ-სამდღიანმა გაურკვევლობამ არა ერთი უპასუხო კითხვა გააჩინა. გუშინვე შევეცადეთ „ზესტაფონის" ხელმძღვანელებთან დაკავშირებას, მაგრამ ვერ მოხერხდა. თუ საქმეს დროებითი პაუზა კიდევ სჭირდება და ამით მხოლოდ ფეხბურთი და გულშემატკივარი მოიგებს, მაშინ ყველაფერი გასაგებია (ალბათ ჯერ კიდევ რაღაც-რაღაც საკითხები დარჩა გადასაწყვეტი)...

მოკლედ, იმედს ვიტოვებთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, თუ კიდევ რამეა გადასაწყვეტ-მოსაგვარებელი, დადებითად გადაწყდება და „ზესტაფონის" მესვეურებს დღეს-ხვალ მასმედიასთან საუბარიც შეეძლებათ...

**დავით ცაბაძე**

გაგრა

## ხმები გაგრას დაშლის თაობაზე...

ბოლო დღეებში „ზესტაფონსა" და „გაგრაზე" ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები ვრცელდება. ისიც კი თქვეს, „გაგრას" ფეხბურთელები ზესტაფონში გადაბარგდებიანო. ხოლო გუშინ კიდევ ერთი ახალი ამბავი გავიგეთ - თითქოს, კლუბი საერთოდ იშლება. კომენტარისთვის „გაგრას" ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძეს** დავუკავშირდით:

*„ზესტაფონში არა და, მოსკოვში კი ვაპირებთ გადასვლას. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს წითელ მოედანზე, პუტინის თვალწინ ჩავატარებთ... საიდან რას იგონებენ?! ბოლო დროს, ძალიან ცუდ ხმებს გვივრცელებენ. თავიდან ამაზე მეცინებოდა, მაგრამ ახლა დამაფიქრა: ვის აწყობდა ჩვენი დაშლის თაობაზე ჭორის გავრცელება?! რა მოხდება, ამის თქმა ძნელია, შესაძლოა, პირველ ლიგაში გავვარდეთ, შეიძლება, უმაღლესში დავრჩეთ, მაგრამ ამის მიუხედავად, „გაგრა" არსებობას არ შეწყვეტს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძეს არ უთქვამს, „გაგრას" დავშლიო, მეც არ მიფიქრია ამაზე და თუ ჩვენი დაშლა სხვებს სურთ, გვითხრან, ნუ მოერიდებათ. ვიღაცამ რაღაც თამაში წამოიწყო, მაგრამ ვის რაში უნდა აწყობდეს აფხაზეთიდან ლტოლვილთა გუნდის დაშლა? არ ვიცი, საქართველოში რა პროცესები განვითარდება, ზოგჯერ სარმებს გვიდებენ, ზოგჯერ გვჩაგრავენ, მაგრამ ბესო ჩიხრაძეს სურს და ასეც იქნება - „გაგრა" იარსებებს და ამის გარანტიას ვიძლევით".*

**მერაბ მამულაშვილი**

სკანდალი

# ლევან კუტალია
# ამათ შეურაცხყოფას არ ვაპატიებ!
## კუტალიას მწვრთნელმა ხელი დაარტყა



**სარაევოს „სლავიას" შემტევი ნახევარმცველი ლევან კუტალია დიდ უსიამოვნებაში გაეხვია - თანაკლუბელთან და მწვრთნელთან იჩხუბა და კლუბიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ვითარებაში გასარკვევად გუშინ ლევანს სარაევოში დავუკავშირდით...**

**- მართალია, თითქოს გუნდში კონფლიქტი მოგივიდათ და „სლავია" დატოვე?**

- დიახ, ასეა. ერთი ამბავია ატეხილი... მე აქ გამჩერებელი აღარ ვარ. მართალია, ახლა სარაევოში ვარ, მაგრამ მალე საქართველოში დავბრუნდები.

**- რა მოხდა ამისთანა?**

- „სლავიას" ვარჯიშს „ორკარათი" ვამთავრებდით. ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მივიღე და თანაგუნდელ ვლასტიმირ იოვანოვიჩს არ გადავაწოდე. ამას ვერც ვახერხებდი, უხერხულ პოზიციაში ვიმყოფებოდი, იოვანოვიჩი კი გაცეცხლდა და შემაგინა. ვერ მოვითმინე და მივვარდი... გინებას არავის ვაპატიებ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოებოდიშა, თავი მთელი ძალით დამარტყა და ჩავიკეცე. ცოტა აზრზე რომ მოვედი, წამოვხტი და მინდოდა, გამერტყა. თანაგუნდელები გვაშველებდნენ... ამ დროს მომვარდა ერთ-ერთი მწვრთნელი ალექსანდრ ბოჟოვიჩი და... ცხვირში ხელი არ დამარტყა?! ეს ისეთი მოულოდნელი იყო, თავიც ვერ გავწიე. ცხვირი გამიტეხა. რას წარმოიდგენდი, რომ ფეხბურთელების ჩხუბში მწვრთნელი რომელიმეს მხარეზე დადგებოდა, წესით, შუაში უნდა ჩამდგარიყო. იოვანოვიჩთან უსიამოვნებას რამენაირად მოვაგვარებდი, მაგრამ მწვრთნელს ხომ არ დავარტყამდი?! ამიტომ, კლუბი დავტოვე და ვარჯიშზე აღარც მივსულვარ.

**- ასე როდემდე იქნები, რას აპირებთ?**

- „სლავიაში" დაბრუნებას არ ვაპირებ. ჩემმა მენეჯერმაც ყველაფერი გაიგო და კლუბს აუცილებლად ვუჩივლებ. რადგან უცხოელი ვარ, ასე უნდა მომექცნენ?! მოქცევა როგორი უნდა, ახლა ვაჩვენებ. დარწმუნებული ვარ, გათავისუფლების ფურცელს ავიღებ და ახალ კლუბში გადავალ. ზაფხულამდე კი რამენაირად მოვითმენ, ვარიანტები ნამდვილად არის და წესით, ახალი კლუბის მოძებნა არ უნდა გამიჭირდეს.

**- სარჩელს როდის შეიტანთ?**

- უახლოეს დღეებში. ჩემთვის ეს გუნდი უკვე დასრულებულია. მენეჯერი ყველაფერს აკეთებს, საკითხი მალე რომ გადაწყვიტოს, ფიფაში იჩივლებს და თავისუფალი აგენტის სტატუსს მივიღებ.

**- კი, მაგრამ „სლავიას" რის საფუძველზე უჩივლებთ? კლუბმა რა დაგიშავათ ისეთი, რაც კონტრაქტის პირობების დარღვევად ჩაითვლება?! ჩხუბისთვის კონტრაქტს ვინ გაწყვეტს?**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩხუბი არ არის ჩემი ასეთი რადიკალური ნაბიჯის მიზეზი. ბოსნიაში თამაში ადრე ძალიან მსიამოვნებდა, კლუბმა ბევრი მომცა, მაგრამ მეც არ დავრჩი ვალში და როგორც შემეძლო, ისე ვცდილობდი „სლავიას" წარმატებაში წვლილის შეტანას. ვფიქრობ, ასეც იყო. ამის საპასუხოდ კი გული მატკინეს. ბოსნიელებისთვის მე მაინც სხვა ვარ, ადგილობრივს არ გაამტყუნებენ, არადა, ცამდე მართალი ვიყავი. პასის შეყოვნებაზე ასეთი ამბავის ატეხვა და მით უფრო, მწვრთნელმა რომ დამარტყა, ეს სად გაგონილა? მისი დამოკიდებულება ჩემთვის მოულოდნელი იყო. მწვრთნელი ასე რომ გექცევა, იმ გუნდში როგორ უნდა დარჩე? წამოსვლის მიზეზი სხვაც მაქვს - დღემდე ხელფასი და საკონტრაქტო თანხაც სრულად არ გადაუხდიათ. ფინანსურ პრობლემებზე აქამდე თვალს ვხუჭავდი, მაგრამ ახლა იქით შევუქმნი პრობლემებს.

**- რამდენი ხანია, რაც ხელფასს არ გიხდიან?**

- უკვე მეორე თვეა. საკონტრაქტოდან კი ცენტიც არ ამიღია.

**- მწვრთნელთან და იმ ფეხბურთელთან ცუდი ურთიერთობა გქონდათ?**

- ეს ახალი მწვრთნელია და რატომღაც თავიდანვე ამითვალწუნა. იოვანოვიჩთან კი მანამდეც მქონია უთანხმოება...

**- რასთან დაკავშირებით?**

- ხომ იცი, თავიდანვე ცუდად რომ შემოგხედავს ადამიანი... ჩვენ შორის ცუდი დამოკიდებულება იყო და სიმართლე გითხრათ, გულზე არც მე მეხატებოდა. ვარჯიშებზე მოწინააღმდეგე გუნდში თუ ხვდებოდა, ფეხებში დაუნდობლად მირტყამდა და უსიამოვნება ამაზე ხშირად მოგვსვლია. ჩხუბამდე საქმე არ მისულა, მაგრამ... ბევრჯერ გვიკამათია.

**- „სლავიას" პრეზიდენტმა არ დაგიცვათ?**

- პრეზიდენტმა გაიგო და ჩემს დაწყნარებას შეეცადა, მაგრამ რად მინდა მისი დაცვა ან იმ გუნდში დარჩენა, სადაც ყოფნა არ მსიამოვნებს?!

**- უკეთეს კლუბში მოხვედრის იმედი ადრეც გქონდათ, მაგრამ აქედან ვერაფერი გამოვიდა. ახლა შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული კლუბი, რომელიც ახლავე მზადაა, კონტრაქტი გაგიფორმოთ?**

- დაკონკრეტება არ მინდა, ზაფხულში ყველა გაიგებს, სად გადავალ. უკვე ოთხი ქვეყნიდან მივიღე მიწვევა, საინტერესო წინადადებებია გერმანიის, ხორვატიის, რუსეთისა და უკრაინის კლუბებისგან. ვნახოთ... სადაც უკეთეს ვარიანტს შემომთავაზებენ, იქ წავალ.

■ ■ ■

*ბოსნიურმა გაზეთმა „გლას სპრსკემ" ინციდენტს სტატია მიუძღვნა:*

„ლევან კუტალიამ „სლავია" დატოვა, რადგან მისმა თანაგუნდელმა ვლასტიმირ იოვანოვიჩმა და მეკარეთა მწვრთნელმა ალექსანდრ ბოჟოვიჩმა ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენეს. ინციდენტი პარასკევს მოხდა, როცა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლი „სლავია" ტუზლას „სლობოდასთან" მატჩისთვის ემზადებოდა. როგორც ჩანს, ბოსნიის თასიდან გავარდნამ და ბოლოდროინდელმა წაგებებმა კლუბში ვითარება დაძაბა.

ინციდენტის შედეგად კუტალია სერიოზულად დაშავდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ამის შემდეგ ქართველმა მომხდარზე პოლიციაში განაცხადა და იოვანოვიჩსა და ბოჟოვიჩზე სისხლის სამართლის საქმის აღძრა მოითხოვა. „სლავიადან" გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, იოვანოვიჩმა თავდაპირველად კუტალიას სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა, შემდეგ კი რამდენჯერმე ძლიერად დაარტყა. იგივე გააკეთა ბოჟოვიჩმაც.

*„იოვანოვიჩს ბურთი რომ ვერ მივაწოდე, მიყვირა და შემდეგ დამარტყა. გონება დავკარგე. მერე ბოჟოვიჩიც მომვარდა და ორი კბილი ჩამიმტვრია",* - ამბობს კუტალია.

**იოვანოვიჩი** კი მომხდარში ქართველს ადანაშაულებს: *„ის აუტანელი გახდა, რადგან სულ პროვოკაციებზე მოდიოდა. სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა დარკო სპალევიჩთან, რამდენიმე დღის წინ კი ჯორჯ ტადიჩთან. ჩემს პროვოცირებას რამდენჯერმე შეეცადა და თავი შევიკავე. ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო, ვისთან და როდის, მხოლოდ ეს იყო საკითხავი".*

**ჟელკო რადონია,** „სლავიას" სპორტული დირექტორი: *„მთავარმა მწვრთნელმა მილომირ ოდოვიჩმა უნდა წარმოგვიდგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება, თუ რატომ მოხდა ჩხუბი. შესაბამისი იქნება ფეხბურთელთა სასჯელებიც. ბუნებრივია, მომხდარს რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ და კლუბის სადისციპლინო კოდექსით ვიმოქმედებთ. ეს არსებული ვითარების მოგვარების ერთადერთი გზაა".*

ბოჟოვიჩმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა. 2008 წელს კუტალია „სლავიაში" მიიყვანა კლუბის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა **ზორან გოლუბმა,** რომელიც იმავე წლის 10 აგვისტოს მოკლეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

### ანზორ კალაძე

# მე ხომ ვიცი, რა ჭაობიდანაც ამოვძვერი...

## ჭაბუკთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი მიიჩნევს, რომ კარიერაში ბოლო შანსი დარჩა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის ანზორ კალაძის კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც ამ 7 წლის წინ თავად წარმოედგინა - მაშინ ის კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი და ლიდერი გახლდათ. არადა, ყველაფერი ისე კარგად დაიწყო, უკეთესს ვერც ინატრებდა - 17 წლის ბიჭი მოსკოვის „სპარტაკის" დუბლებში აიყვანეს და ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ქართველებსაც უკაპიტნა. შემდეგ იყო ელისტის „ურალანი", ვლადიკავკაზის „ალანია", თბილისის „დინამო"... მაგრამ ბევრი ნიჭიერი მოთამაშის არ იყოს, ისიც მოეშვა და მხოლოდ ბოლო ერთი წელია, დაკარგულის დაბრუნებას ცდილობს - ფინეთის პირველი ლიგის ოპს-ში ჩაირიცხა და ეტყობა, დროს ტყუილად არ კარგავს. გასულ სეზონში კალაძე ფინეთის პირველი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ის იმედოვნებს, რომ ნანატრ დონეზე თამაშს მაინც მოახერხებს, ახლა კი ფინეთის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად პირველლიგელ ოპს-ს უნდა დაეხმაროს. ანზორ კალაძეს გუშინ ფინეთში დავუკავშირდით.

**- ფინეთის ჩემპიონატი მალე დაიწყება. კლუბი შეიცვალე თუ კვლავ ოპს-ში იქნები?**

- ისევ პირველი ლიგის ოპს-ში ვარ და სანამ რაიმე სერიოზული არ გამოჩნდება, აქ დარჩენა მირჩევნია. საკმაოდ კარგი გუნდია. გასულ სეზონში პირველი ლიგის თასი მოვიგეთ, წელს კი კლუბის მეპატრონემ დაფინანსება გაზარდა და სერიოზული გუნდის გაკეთებას აპირებს. მიზანი ფინეთის უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება. ძლიერი გუნდია, პრეზიდენტი ფულს ხარჯავს და იმედია, მომავალ წელს ბევრად უკეთეს დონეზე ვითამაშებთ. ეს იმიტომაც მსურს, რომ დავამტკიცო - რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ, დიდ ფეხბურთში დაბრუნება მაინც შესაძლებელია.

**- თქვენს გარდა, ოპს-ში სხვა ქართველებიც ხომ არ თამაშობენ?**

- სამწუხაროდ, ოპს-ში აღარ არიან. მეკარე ზურაბ ტალახაძესა და ნახევარმცველ თემურ ვარდუაშვილს გასულ სეზონში მწვრთნელი რატომღაც არ ათამაშებდა, ჰოდა, პრაქტიკის მისაღებად სხვა გუნდებში გადასვლა ამჯობინეს. ვარდუაშვილმა კონტრაქტი მეორე ლიგის კლუბთან გააფორმა, ტალახაძე კი ჯერ კიდევ ფიქრობს, სად ითამაშოს.

**- როგორც ვიცით, ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს...**

- დიახ, კლუბშიც ასე მითხრეს.

**- გამოკითხვა ვინ ჩაატარა?**

- სიმართლე გითხრათ, არც ვიცი. ვერ ვნახე გაზეთი, სადაც შედეგები გამოქვეყნდა.

**- ...და არც დაინტერესდი?!**

- ვიცი, რომ საუკეთესოდ ლიგის ორგანიზატორებმა დამასახელეს. მეტით არ დავინტერესებულვარ, რადგან ფინეთის პირველ ლიგაში აღიარება არ მაკმაყოფილებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ხომ არ დამასახელეს? ისე კი, ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ ეს აღიარებაც მესიამოვნა.

**- მერე და, ლიგის საუკეთესო ფეხბურთელით, რომელიც ჯერ მხოლოდ 24 წლისაა, ფინეთის უმაღლესი ლიგის არც ერთი კლუბი არ დაინტერესდა?**

- კი, როგორ არა, მიწვევდა ჩვენივე ქალაქის მეორე გუნდი, რომელიც ფინეთის უმაღლეს ლიგაში წელს გადავიდა, მაგრამ ოპს-ის პრეზიდენტს ჩემი გაშვება არ უნდოდა და მეც არ გამიგიჟებია თავი. ხომ გითხარით, წელს უმაღლესში გადასვლა გვსურს და დალაპარაკებასაც აზრი არ ჰქონდა, ხვეწნაც არ დამიწყია. კიდევ ერთი წელი დამჭირდება საუკეთესო ფორმის დასაბრუნებლად. აი, მერე კი პირველ ლიგაში ნამდვილად არ გავჩერდები. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და, ახლაც კარგად ვარ. შარშანდელ სეზონში მცველმა 12 გოლი გავიტანე და მგონი, ეს რაღაცაზე მეტყველებს. სეზონი 24 აპრილს დაიწყება და ხომ იცით, მთავარია არა ჩემი ლაპარაკი, არამედ, შედეგები. თუ ვერაფერი გავაკეთე, ვინ რას დამიჯერებს?

**- საკმაოდ მძიმე თემას შევეხები. იყო დრო, როცა, რბილად რომ ვთქვათ, არასპორტულად ცხოვრობდით...**

- სწორედ ამიტომ ვერ ავაწყვე კარიერა და კიდევ კარგი, დროზე მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ფეხბურთიც ძალიან მიყვარს, საკუთარი თავიც და მიხარია, სისუსტეს რომ ვაჯობე. ახლა ისე ჯანსაღად ვარ, მეორე სუნთქვა გამეხსნა და მჯერა, ადრე თუ გვიან, გულშემატკივარს თავს შევახსენებ. დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ მაქვს. ძველებური ცხოვრებით რომ მეცხოვრა, ისევ თბილისში ვიქნებოდი... ძლივს ამოვძვერი იმ ჭაობიდან. შეიძლება, ეს ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორც შევიცვალე. ცხოვრებაში ერთი შანსი დამრჩა და მას ხელიდან არ გავუშვებ...

**მერაბ მამულაშვილი**



### ოთარ ხიზანეიშვილი

# მჯერა, ისევ ძველებურად ავთამაშდები

გახსოვთ ერთ დროს ეროვნულ ნაკრებში მოთამაშე მცველი ოთარ ხიზანეიშვილი? დიახ, ეს ის ხიზანეიშვილია, რომელსაც თავის ტოლ ზურაბ ხიზანიშვილთან ერთად, იოჰან ბოსკამპის ფორმაციის ეროვნულ გუნდში, 17 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი. ოთარმა ეროვნულ გუნდში, დღემდე 20 მატჩი ჩაატარა, ბოლოს კი 2007 წელს ითამაშა... მას მერე ხიზანეიშვილს დიდი პრობლემა ჰქონდა, რასაც ტრავმაც თან დაერთო. მეორე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში, „აუგსბურგის" ქართველ მცველს ჯამში ოდენ 7 მატჩში აქვს მონაწილეობა მიღებული. როგორც გავიგეთ, ოთარმა პრობლემები უკვე წარსულს ჩააბარა და სერიოზულადაა მონდომებული ისევ იმ დონეზე ითამაშოს, როგორიც დღემდე ბევრს ახსოვს.

ოთარ ხიზანეიშვილის „აუგსბურგი" მეორე ბუნდესლიგაში მესამე ადგილზეა და მთავარ ლიგაში აღზევებისთვის ბრძოლას აგრძელებს. თუმცა ქართველი მცველი, რომელსაც თბილისის „დინამოს" გარდა, რუსეთში (მოსკოვის „სპარტაკი" და „დინამო", „როსტოვი") და „ფრაიბურგში" უთამაშია, აუგსბურგელებს ზაფხულში ალბათ დაემშვიდობება.

ოთარს გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით და როგორც წარსულზე, ასევე მომავალზე გავესაუბრეთ.

**- ოთარ, კარგა ხანია „აუგსბურგის" რიგებში არ გამოჩენილხართ. რა ხდება, რა არის ამის მიზეზი?**

- სამწუხაროდ, ისე წარიმართა ჩემი საქმე, რომ უკვე ორ წელზე მეტია რთული ხანა მიდგას. ჯერ იყო და, გარკვეული პრობლემების გამო, დიდი პერიოდი გამიცდა... ხომ გაგიგიათ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, მეც ასე დამემართა. ვითარება დავალაგე, სერიოზულად შევუდექი მზადებას და ამჯერად უკვე ტრავმის გამო გამიცდა დიდი პერიოდი. ორწელიწად-ნახევარია, რაც ფეხბურთი აღარ მითამაშია.

**- ზემოთ პრობლემები ახსენეთ და იქნებ დააკონკრეტოთ რას გულისხმობთ?**

- ეს პირადულია, ფეხბურთს არ ეხება... მომიტევეთ, მაგრამ არ მინდა ამაზე საუბარი.

**- რაც მთავარია, ეს პრობლემა უკვე მოგვარდა?**

- კი, ეს უკვე წარსულს ჩაბარდა, ღმერთის მადლით ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია. მეტსაც გეტყვით, ტრავმის შემდეგ სრულად გამოვჯანმრთელდი და უკვე თვე-ნახევარია გუნდთან ერთად სრული დატვირთვით, სერიოზულად ვემზადები. ეგაა, სათამაშო პრაქტიკა მაკლია, თორემ ფიზიკურად კარგად ვარ.

**- მაშინ რატომ არ გიწევთ თამაში?**

- მართალი გითხრათ, ამაში ვერავის გავამტყუნებ, ისევ და ისევ ჩემი ბრალია... თუმცა, ამ მძიმე წარსულზე აღარ მინდა საუბარი. მთავარია, სერიოზულად ვარ მონდომებული და მინდა ისევ იმ დონეზე ვითამაშო, როგორც ქართველ გულშემატკივარს დავამახსოვრე თავი. კარგა ხანია არ მითამაშია, მაგრამ იმედი მაქვს, ჯერ კიდევ ვახსოვარ გულშემატკივარს.

**- „აუგსბურგის" მთავარმა მწვრთნელმა თუ იცის ამის შესახებ?**

- ჯო ლუჰუკაი ჩინებული პიროვნებაა. ყოველდღიურად მამხნევებს და ფსიქოლოგიურად მხარში მიდგას. ოფიციალურის გარდა, ამხანაგურ მატჩებშიც მათამაშა და ჩემზე დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ ბოლოს მძიმე ტრავმა მივიღე, გარკვეული პერიოდი გამიცდა და გუნდშიც ჩემი ადგილი კონკურენტებმა დაიკავეს. ახლა „აუგსბურგის" საქმეები კარგად მიდის. გუნდი მესამე ადგილზეა და ბუნდესლიგაში აღზევებისთვის იბრძვის. შედეგები როცა კარგია, მწვრთნელი აწყობილ შემადგენობას ვერ შეცვლის და ლუჰუკაის ამიტომაც არ ვამტყუნებ. მან იცის ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ ვინც იმსახურებს თამაშს, იმის ნაცვლად მოედანზე ვერ შემიყვანს.

**- „აუგსბურგი" მთავარ ლიგაში თუ აღზევდა, ეს შენთვისაც კარგია...**

- ჩემს გუნდს წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ ზაფხულში ალბათ სხვა კლუბში გადავალ, რადგან კონტრაქტის ვადა სწორედ ამ სეზონის დასრულების შემდეგ იწურება.

**- მაინც რომელ ლიგაში აპირებ თამაშს?**

- ჩემი აგენტი გერმანულ, შვეიცარულ და რუსულ ვარიანტებზე მესაუბრება და ვნახოთ. კარგა ხანია არ მითამაშია და კარგად ვიცი, ჩემი ტრანსფერი ძნელი იქნება, მაგრამ, იმედი მაქვს ისეთ გუნდში გადავალ, სადაც სათამაშო პრაქტიკა მექნება.

**- რუსეთში, მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკში" თამაშობდით...**

- არ მინდა წინასწარ საუბარი. ჩემი ტრანსფერი იოლი არ იქნება,. რეალური წინადადება არ მაქვს და რომელიმე კლუბის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებდი.

**- ფაქტობრივად ხელახლა გიწევთ კარიერის აწყობა. შეძლებთ? საამისოდ ფსიქოლოგიურად მზად ხართ?**



- კი, მზად ვარ. იმდენად მწყურია ფეხბურთი, რომ მზად ვარ, ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც. მჯერა, შევძლებ და ისევ ძველებურად ვითამაშებ... უთამაშებელი როცა ვარ, გინდ ექტორ კუპერი იყოს ნაკრების თავკაცი და გინდ სხვა, რა პრეტენზია უნდა მქონდეს... მაგრამ მჯერა იმ დონეზე ვითამაშებ, რომ ეროვნულში დაბრუნებასაც დავიმსახურებ.

**- ბოლოს როდის იასპარეზეთ ქვეყნის მთავარ გუნდში?**

- 2007 წელს, საფრანგეთთან გასვლით შეხვედრაში, 0:1 რომ წავაგეთ... ეს, კლაუს ტოპმიოლერის მთავარი მწვრთნელობისას იყო.

**- კი, მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნაკრების ახალ თავკაც თემურ ქეცბაიას უკვე ჰქონდა დებიუტი...**

- თემურის მხარდამხარ ნაკრებში მითამაშია. ჟინიანი, სამართლიანი ადამიანია, ფეხბურთი უზომოდ უყვარს და ნამდვილი პატრიოტია. მწვრთნელობითაც დაიმსახურა ეროვნული ნაკრების თავკაცობა და წარმატებებს ვუსურვებ. ქეცბაია სამართლიანი კაცია, მჯერა გუნდსაც შეკრავს და იმას ათამაშებს ეროვნულში, ვინც ამას დაიმსახურებს.

**- ესტონეთთან მატჩი თუ ნახეთ და რას იტყოდით?**

- არა, ვერ ვნახე, მაგრამ ნაკრების ფეხბურთელებს ვესაუბრე და საკმაო წარმოდგენაც შემექმნა. როგორც გავიგე, იმ დონის თამაში არ იყო, ქეცბაიას გუნდს რომ შეეფერება, მაგრამ მთავარია მოვიგეთ. ამდენი წაგებების შემდეგ, ამ მატჩის წინ, ფსიქოლოგიური ფონიც მძიმე იყო. ამიტომაც სჯობდა მოგვეგო, ვიდრე ვერ მოგვეგო და კარგად გვეთამაშა.ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით საჭირო იყო. ნაკრებმა მოგების გემო გაიხსენა და ქეცბაია გუნდსაც ააწყობს და მჯერა, ეროვნულის საქმეები კარგად წარიმართება.

**- ზოგი თემურ ქეცბაიასგან სასწაულს და ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლას ელის. უმეტესობა კი მიიჩნევს, რომ ეს ჯერ ადრეა. თქვენ რა აზრისა ხართ?**

- ჯგუფიდან გასვლა ჩვენი ნაკრების მიზანი ყოველთვის უნდა იყოს, მაგრამ ისიც უნდა გავითავისოთ, რომ საამისოდ ჯერ მზად არ ვართ. ჯერ გუნდია ასაწყობი და ჩამოსაყალიბებელი, მერე შეიძლება რეალურად ვიბრძოლოთ ამისათვის. ჩვენს ჯგუფში გრანდები არ არიან, მაგრამ მაინც რთულ ჯგუფში ვართ. ჩვენ თუ ვფიქრობთ, რომ ყველასთან შეიძლება თამაში, მეტოქეებიც ასე ფიქრობენ. მით უმეტეს, მალტაც, რომელმაც შარშან აგვისტოში ჩვენი ნაკრები ამხანაგურ შეხვედრაში 2:0 დაამარცხა. ასე რომ, მალტა თუ ვინმესთან დაგეგმავს ქულებს, უმთავრესად ჩვენთან... ერთსაც ვიტყოდი, მწვრთნელის გარდა, ფეხბურთელებზეც ცოტა არაა დამოკიდებული. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ არავისზე ნაკლები არ ვართ და ყველა მატჩზე მაქსიმუმი უნდა გაიღოს. მით უმეტეს, ნიჭიერი თაობა მოდის და ეს პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი 21-წლამდელების მატჩი ვნახე ირლანდიასთან. ჯანო ანანიძის თამაში მაინტერესებდა და რაც ვნახე გავვოცდი, უდავოდ დიდი ტალანტია. ახლა მთავარია, ჯანომ სწორი გზიდან არ გადაუხვიოს, საკუთარ თავზე იმუშაოს და დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უწყებები

# დაკარგული ლიდერობა

## ქართული გოლები ისრაელში, კვიპროსში, მოლდოვასა და ლატვიაში



მეკარე გიორგი ლომაია ნეფთჩისთან მატჩში

რუსულ პრემიერლიგაში ქართველ-თა „ანჟი" შინ 1:2 დამარცხდა „როს-ტოვთან". **ნუკრი რევიშვილმა** (5,5 შე-ფასება), **დავით კვირკველიამ** (5) სრუ-ლად ითამაშეს. 42-ე წუთზე **გოჩა ხო-ჯავამ** (6) **ზურაბ არზიანი** (5,5) შეცვა-ლა, რევაზ ბარაბაძე სათადარიგო იყო. უკრაინულ ვიშალიგაში „ტავრია" 0:0 დაუზავდა „ობოლონს", ვასილ გიგიაძე სათადარიგო იყო. ზაპოროჟიეში „მეტა-ლურგი" 0:1 დამარცხდა „კარპატის-თან". გამარჯვებულთა შორის 62-ე წუთზე გამოჩნდა **სანდრო გურული**, მასპინძელთა შემადგენლობაში ვერ ვი-ხილეთ **ირაკლი მოდებაძე**. „კარპატი" 45 ქულით მეხუთეა, „ტავრია" 41 ქუ-ლით მე-6 ადგილზეა, „მეტალურგი" (29 ქულა) მეათეა.

ქვეყანაში, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერია 28-ე ტური გა-იმართა, რის შემდეგაც ყველაზე „ქარ-თულმა გუნდმა" ამ ქვეყანაში ლიდერო-ბა დაკარგა. საუბარი აზერბაიჯანსა და ბაქოს „ინტერზეა", რომელსაც **კახა ცხადაძე** წვრთნის. ბაქოურ დერბიში „ინტერმა" „ნეფთჩისთან" 0:1 წააგო, რის შემდეგაც ჩვენებურთა გუნდს „ხა-ზარმა" გადაასწრო. დერბის 2 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, გამარჯვე-ბის გოლი **ჯავიდ ჰუსეინოვმა** მე-10 წუთზე გაიტანა **გიორგი ლომაიას** კარ-ში. საქართველოს ნაკრების გოლკიპე-რი ვახსენეთ და ცხადაძემ თანამემამუ-ლეთაგან **კახაბერ მჟავანაძეც** ათამა-შა, არ ყოფილან **გიორგი ნავალოვსკი** და **დავით ოდიკაძე**. მასპინძელთა შე-მადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა ვალერი აბრამიძემ. „ინტერი" 24 ქუ-ლით მეორე ადგილზეა და „ხაზარს" ქუ-ლით ჩამორჩება. სხვათა შორის, ლომა-იას კარგი თამაშისთვის აქებენ.

აზერბაიჯანული წყაროები წერენ, რომ „ინტერის" ქართველმა თავკაცმა პრესკონფერენციაზე მოკლედ მოჭრა (წყარო „აზერიფუტბოლი"): „ვულოცავ „ნეფთჩის" და ყველას, ვისაც „ინტე-რის" წაგება სურდა. ჩვენ დიდი ხანი არ წაგვეგო, ამიტომაც ზოგს ეს გულით სურდა, ახლა კი მათ ვულოცავ".

„აზერისპორტმა" ამას „ცხადაძის დემარში" უწოდა, იმავე წყაროს მტკი-ცებით, პრესკონფერენციაზე „ნეფთ-ჩის" მწვრთნელმა **არიფ ასადოვმა** გა-ნაცხადა, რომ „ეს ცხადაძის დონეაო". „ინტერს" შემდეგი მატჩი ლენქორანში ახლადგამომცხვარი ლიდერის წინააღ-მდეგ ექნება.

„გაბალა" შინ 1:2 დამარცხდა „ხაზარ-თან", მასპინძელთა შემადგენლობაში **გოგა ბერაიამ** 58-ე წუთამდე ითამაშა, **რევაზ გეწაძემ** კი - 74-ე წუთამდე. „გა-ბალა" 15 ქულით მე-6 ადგილზეა. **გიორ-გი ადამიას** „ყარაბახი" შინ 1:4 განად-გურდა „ბაქისთან". გიორგიმ მის მეორე ყოფილ გუნდს გოლი ველარ გაუტანა. „ყარაბახი" 19 ქულით მე-4 ადგილზეა.

ქვედა ექვსეულის მატჩები ნაკლე-ბად საინტერესოდ წარიმართა, „ქარ-ვანმა" და „სიმურგმა" ერთმანეთს გო-ლები ვერ გაუტანეს - 0:0. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **ალექსანდრე ინწკირველმა**, სტუმრებში სამივე ქარ-თველი სასტარტოში იყო, **რომან ახალ-კაცი** 75-ე წუთზე შეცვალეს, **დავით ბოლქვაძე** - 88-ეზე, ხოლო **კახა ჩხეტი-ანმა** ბოლომდე ჩაამთავრა ეს უინტე-რესო მატჩი. „სიმურგმა" მე-7 ადგილიც დაკარგა, ზაქათალის გუნდი 27 ქულით მე-8 ადგილზეა, „ქარვანი" 10 ქულით უიმედო აუტსაიდერია. **დავით სვანი-ძის** „მუღანი" 0:0 დაუზავდა „თურანს", ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა, „მუღანი" 21 ქულით მე-10 ადგილზეა. „ოლიმპიკმა" სტუმრად 1:0 აჯობა „სტანდარდს" და 28 ქულით მე-7 ად-გილზე გადავიდა. გამარჯვებულთა რი-გებში 90 წუთი ითამაშა **ნუგზარ კვირ-ტიამ**. **ბუიუქალა ჰაჯიევის** გუნდში **გი-ორგი სეთურიძემ** და **დავით ჭიჭვეიშ-ვილმა** 90-90 წუთი ითამაშეს, **ამირან მუჯირმა** - მეორე ტაიმი, ხოლო **სერგი ორბელაძე** მატჩის მიწურულს გამოჩნ-და. „სტანდარდი" 18 ქულით ბოლოსწი-ნა, მე-11 ადგილზეა.

სომხეთში ჩემპიონატის მე-4 ტურში ქართველთა „ულისი" „პიუნიკს" ეს-ტუმრა და 0:1 დამარცხდა. **გიორგი კრასოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშა, **გაგა თიბილაშვილი** 84-ე წუთზე შეც-ვალეს, **თენგიზ უგრეხელიძე** და **შოთა ჯიქია** სათადარიგოები იყვნენ. „ული-სი" 7 ქულით მე-4 ადგილზეა. „განძასა-რი" შინ 1:2 დამარცხდა „ბანანცთან". **ლევან ბუბუტეიშვილი** კაპანელთა კარს იცავდა, **დავით ხანიშვილი** მატ-ჩის მიწურულს შეცვალეს. „განძასარი" ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა (3 ქულა).

ბელარუსის უმაღლესი ლიგის მე-4 ტურში ბრესტის „დინამომ" შინ 2:1 მო-უგო „მინსკს". გამარჯვებულთა რიგებ-ში **ზაზა ჭელიძემ** შეუცვლელად ითამა-შა. 84-ე წუთზე ბრესტელმა **მოზოლევ-სკიმ** მისი პასით გაიტანა. ქართველის გუნდი 7 ქულით მე-4 ადგილზეა.

გუშინ, მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში „დაჩიამ" 3:0 მოუგო „ნისტ-რუს". 75-ე წუთზე მასპინძელთა მეორე გოლი **ვასილ ლუჭაშვილმა** გაიტანა. „დაჩია" 48 ქულით მე-3 ადგილზეა. მა-ნამდე ლიდერმა „ზიმბრუმ" სტუმრად მოლდოვის კლასიკურ დაპირისპირება-ში 1:0 მოუგო „ზიმბრუს". ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** ჩვეუ-ლად ითამაშა. ახლა უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ „შერიფი" კვლავ ჩემპიო-ნი გახდება.

**ზაქარია ბეგლარიშვილის** „ფლო-რამ" მორიგ ტურში სტუმრად 2:1 მოუ-გო „კალიუს". ქართველი ნახევარმცვე-ლი თამაშში 84-ე წუთზე ჩაერთო. ეს-ტონურ მეისტრილიგაში „ფლორა" 18 ქულით მე-2 ადგილზეა. **ერნესტ ახალ-ბედაშვილის** „ლოტუსმა" სტუმრად 2:1 მოუგო „კუროსაარეს", ქართველმა პირველი ტაიმი ითამაშა. „ლოტუსი" 6 ქულით მე-7 ადგილზეა.

ლატვიაში ქართველთა „ოლიმპსს" პირველი სერიოზული გამოცდა ჰქონდა, რიგელებმა ეს გამოცდა ჩააგდეს - „ვენ-ტსპილსთან" 0:7 წააგეს. **კონსტანტინე ზარნაძემ** და **დავით ჯანელიძემ** შეუცვ-ლელად ითამაშეს, ხოლო **ლაშა ლონლა-ძე** 77-ე წუთზე გამოჩნდა. „დაუგავამ" სტუმრად **ჯემალ ჯალიაშვილის** 36-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მო-უგო „ტრანზიტსს". სტუმართა რიგებში ითამაშა 22 წლის **გიორგი ჩიკრაძემაც**.

რუსეთის I დივიზიონში ნიჟნი ნოვ-გოროდის „ვოლგა" შინ „ლუჩ ენერგი-ას" დაუზავდა - 2:2. **ოთარ მარცვალა-ძემ** შეუცვლელად ითამაშა, **ედიკ სა-ჯაია** არ გამოჩენილა. „ვოლგა" 6 ქუ-ლით მე-11 ადგილზეა.

შვეიცარიის ჩელენჯლიგაში „ვოლე-ნი" შინ ლიხტენშტეინურ „ვადუცთან" 0:2 დამარცხდა. **გიორგი ივანიშვილმა** 29-ე წუთამდე ითამაშა. გუნდი 26 ქუ-ლით მე-13 ადგილზეა. დანიის ვიასატ დივიზიონში 'ვიბორგი" „როსკილდეს" დაუზავდა - 1:1, **გიორგი ფოფხაძეს** არ უთამაშია. კვიპროსში აელ-თან მატჩში, რომელიც „ეთნიკოსმა" 4:3 მოიგო, **ლე-ვან ქებაძემ** გაიტანა.

ისრაელის ლეუმითლიგის ბომბარ-დირთა დავაში ჩვენთვის საინტერესო სიტუაციაა. 17-17 გოლით ლიდერობენ ბათ იამის „მაქაბის" ქართველი ფორ-ვარდი **კოკა მიკუჩაძე** და **შაი აარონი**. 13 გოლი აქვს **შლომი აზულაის**, შემ-დეგ კი 12 გოლით „სექციას" თავდამსხ-მელი **გაგა ჩხეტიანი** მოდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური ტრავმებების მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

**35-ე სკ-ტორპედო 0:1**

0:1 რ. კვერნაძე (24)

35-ესკ: ბ. მესხი, ი. უგულავა, ზ. თარაშვილი, პ. ბელთაძე, თ. ბახტაძე, ლ. იაშვილი (61. ი. არველაძე), ნ. კალანდარიშვილი (46. პ. ბახტაძე), მ. ლომსაძე, ლ. ქურდაძე (46. ვ. ჭრელაშვილი), გოგა ჯელაძე, გ. სილაგავა.

სათადარიგოები: გუჯარაიძე, დ. მანია, ლ. ჭაფოძე, გ. ნათაძე

მთავარი მწვრთნელი: კახა გოგიჩაიშვილი

ტორპედო: მიგინეიშვილი, ქარქუზაშვილი, ფარულავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, გ. ჩხეტიანი (75. ი. ცნობილაძე), ვ ლომაშვილი, რ. კვერნაძე (80. ბ. ჩხეტიანი), გურული, კირკიტაძე (46. ხუციძე), ჩხარტიშვილი.

სათადარიგოები: ი. კუჭუხიძე, ლ. ვაშაკიძე, კ. ხანიშვილი, ცაგარეიშვილი

მთავარი მწვრთნელი: გია გიგატაძე

გაფრთხილება: ლ. იაშვილი, თარაშვილი

არბიტრი: ლ. სილაგავა

**მესხეთი-ჭიათურა 1:1**

1:0 ინასარიძე (40-პენ), 1:1 სევასტოპულო (58-პენ)

მესხეთი: ძამუნაშვილი, მ. ლეკიშვილი, დ. ლეკიშვილი, ზ, სუდაძე (87), თ. გრიგალაშვილი, ო. დარჩია, დ. ინასარიძე, აფრიამაშვილი, თელიაშვილი, ბარძიმაძე (80. ყულიჯანიშვილი), გვირჯიშვილი (82. მ. მურმანიშვილი).

სათადარიგოები: რეხვიაშვილი, პარუნაშვილი, ალხიძე, გევორქიფანი

მთავარი მწვრთნელი: პაატა გოგოლაძე

ჭიათურა: ბადურაშვილი, ტყემალაძე (46. მეცხოვრიშვილი), ჭუმბურიძე, დ. შეყილაძე, ცუცქირიძე, გაფრინდაშვილი, ბ. გიორგაძე, ტბატაძე, ზ. ნოზაძე, სევასტოპულო, თემურ მიშველიძე (65. ჯ. ლაშხი).

სათადარიგოები: დარბაიძე, ვაშაძე, ასანიძე

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი

გაფრთხილება: ჭუმბურიძე, ზ. ნოზაძე, ძამუნაშვილი

გაძევება: ჭუმბურიძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**ჰერეთი-მარტვილი 1:3**

0:1 ი. ფაცაცია (30), 0:2 ც. ბუკია (58), 1:2 გ. პაპუაშვილი (87), 1:3 ლ. კუჭუხიძე (90+2)

ჰერეთი: ჯინჭარაძე, შუბითიძე, ს. სამხარაძე, ა. აბაშიძე (46. შ. ლობჟანიძე), ხარაიშვილი, კ. წვერავა, გ. პაპუაშვილი, ყორღანაშვილი, თ. ყაველაშვილი (35. ი. მერმანიშვილი), ა. ლაბაძე, ქაჩლიშვილი (80. გ. მაჭარაშვილი).

სათადარიგოები: ჯალიაშვილი, ფოფხაძე

მოთამაშე მწვრთნელი: კარლო წვერავა

მარტვილი: ჯ. შეროზია (80. თ. თურმანიძე), ვ. იობაშვილი, ი. ფაცაცია, მელიავა, სუხიაშვილი, იატრო (70. ი. ხვადაგიანი), გ. წოწორია (46. ც. ბუკია), ბერუაშვილი, ლ. კუჭუხიძე, ლ. ამბროლაძე, ო. ტორაძე.

სათადარიგოები: გიორგობიანი, ლარკი

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: გ. პაპუაშვილი, თ. ყაველაშვილი, იატრო

გაძევება: ხარაიშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**მეშახტე-გურია 0:4**

0:1 ს. ურუშაძე (16), 0:2 ს. ურუშაძე (55), 0:3 ტ. კუკულაძე (66), 0:4 ხ. მგელაძე (68)

მეშახტე: ქალდანი, გ. ტორაძე, ვაჩიბერაძე, გ. სიჭინავა, გუბელაძე, მეტონიძე, ჯიშიაშვილი, ბაბუნიძე (70. ბოჭორიშვილი), რაჟამაშვილი (74. ლ. კობახიძე), გ. თურმანიძე (62. შველიძე), შათირიშვილი.

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, რ. კალანდაძე

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გურია: ძაძამია, გოგიბერიძე (74. ვ. ბრეგაძე), რ. კუკულაძე, ქურიძე, ი. კილაძე, წილოსანი, მ. კოტრიკაძე (62. ტ. კუკულაძე), შენირული (46. ზ. რაზმაძე), მელიქიშვილი, ხ. მგელაძე, ს. ურუშაძე.

სათადარიგოები: ე ზიეშვილი

მთავარი მწვრთნელი: გია ჩხაიძე

გაფრთხილება: მეტონიძე, გ. ტორაძე, ზ. რაზმაძე

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**კოლხეთი (ფ)-ჩიხურა 2:0**

1:0 დ. სიჭინავა (15), 2:0 დ. ციცხვაია (52)

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, დ. ჭითანავა, ცხვიტარია, ლ. თედიაშვილი, გელაჭეიშვილი, ჯოჯუა, გუჩუა (87. გოგონაია), ლ. გვალია (60. ქირია), ციცხვაია (75. ნიქარიშვილი), დ. სიჭინავა, გ. თოდუა.

სათადარიგოები: გორდეზიანი, ლონლაძე, ფარცვანია, მალიჩავა

მთავარი მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ცარციძე (46. როგავა), გვეტაძე, ჩიკვაიძე, ზაბახიძე, ტყებუჩავა, ქამუშაძე, ნ. მაჭარაშვილი, მიქაძე (78. გ. ენუქიძე), ბ. პეტრიაშვილი (84. ა. ივანიშვილი).

სათადარიგოები: მწყერაშვილი, გიორბელიძე, ჭილლაძე, სტეფანიშვილი

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ცარციძე, გვეტაძე, დ. ჭითანავა, როგავა, ზაბახიძე

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**IBSU-კოლხეთი (ხ) 3:0**

1:0 გ. ჯიკშარიანი (38), 2:0 ტეტუნაშვილი (48), 3:0 ლ. მენთეშაშვილი (86)

IBSU: მეფარიძე, მაჩალაძე, თავბერიძე, ტეტუნაშვილი, თვალავაძე, პირველი, ა. კუჭუხიძე, ჭუცურუა (68. არახამია), ბართია (85. ლ. მენთეშაშვილი), ჯიშკარიანი, ზ. ძაგანია (78. გვიჩია).

სათადარიგოები: ბილიხოძე, თ. კვარაცხელია, ა. ნოზაძე, ბენდიანაშვილი

მთავარი მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი.

კოლხეთი (ხ): გ. ჯალალონია (54. ზ. მელაშვილი), ჩაჩიბაია, ო. ფიფია, ფარფალია (52. ი. კუტალია), გ. გოგენია, ქომეთიანი, სართანია (52. კ. გოგნია), ბესარაშვილი, მ. ჟვანია, დ. კუტალია, თ. ღლონტი.

სათადარიგოები: გელა ლომაია, ვ. ფირცხალავა, ქუხილავა

მთავარი მწვრთნელი: ზურაბ ლატარია

გაფრთხილება: ბართია, მაჩალაძე, არახამია, ო. ფიფია

გაძევება: მაჩალაძე, ო. ფიფია

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ბათუმი-ნ/დინამოელი 2:0**

1:0 ხუხია (12), 2:0 მ. ჯორბენაძე (81)

ბათუმი: დ. კეკელიძე, ფარტენაძე, ხუხია, ა. ბაჯელიძე, დემურაძე (71. ლ. რამიშვილი), ზვ. ლობჟანიძე, მალაზონია, ე. გრიგალაშვილი (81. გ. გოგიტიძე), ხარაბაძე, ი. ტულუში, ბოხუა (77. მ. ჯორბენაძე).

სათადარიგოები: ლ. კალანდაძე, თ. ბერიძე, ჭკუასელი, თ. კაკალაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

ნ. დინამოელი: კოდალაევი, ფირანიშვილი, კაკაშვილი, ტოსტიაშვილი (83. გაგნიძე), მერეჩკო, ი. ქავთარაძე, ხვთისავრიშვილი, დაბრუნდაშვილი, მამარდაშვილი, ლ. მაჭავარიანი (43. თანიაშვილი), ახალაია (83. ო. გაგნიძე).

სათადარიგოები: ცინცაბაძე, ხუციაშვილი, დ. მაჭარაძე

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: მამარდაშვილი, ე. გრიგალაშვილი, მერეჩკო, ა. ბაჯელიძე, ბოხუა, ტოსტიაშვილი, დაბრუნდაშვილი

გაძევება: მამარდაშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო 2008 | 22 | 17 | 3 | 2 | 58-11 | 54 |
| კოლხეთი (ფ) | 21 | 15 | 3 | 3 | 52-19 | 48 |
| ბათუმი | 22 | 13 | 6 | 3 | 34-11 | 45 |
| გურია | 21 | 12 | 3 | 6 | 39-24 | 39 |
| ჩიხურა | 22 | 11 | 5 | 6 | 30-21 | 38 |
| მარტვილი | 21 | 10 | 2 | 9 | 33-29 | 32 |
| ნ/დინამოელი | 21 | 9 | 5 | 7 | 34-39 | 32 |
| IBSU | 21 | 7 | 6 | 8 | 32-25 | 27 |
| მერცხალი | 21 | 7 | 4 | 10 | 22-28 | 25 |
| კოლხეთი (ხ) | 22 | 7 | 2 | 13 | 28-41 | 23 |
| მეშახტე | 22 | 6 | 3 | 13 | 28-57 | 21 |
| ჭიათურა | 21 | 6 | 1 | 14 | 25-47 | 19 |
| ჰერეთი | 22 | 5 | 4 | 13 | 21-46 | 19 |
| მესხეთი | 22 | 6 | 3 | 13 | 19-34 | 18 |
| 35-ე საფ. სკოლა | 21 | 3 | 4 | 14 | 19-42 | 13 |

### ქაბუქთა ლიგა. XIX ტური

**1992-93**

| | |
|---|---|
| ბაია-ზესტაფონი | 3:1 |
| სიონი-დინამო | 0:8 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 6:0 |
| სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 95-23 | 53 |
| 2. ბაია | 20 | 17 | 2 | 1 | 57-23 | 53 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 3 | 7 | 34-27 | 33 |
| 4. გაგრა | 20 | 10 | 1 | 9 | 38-36 | 31 |
| 5. ზესტაფონი | 20 | 9 | 1 | 10 | 30-54 | 28 |
| 6. ოლიმპი | 20 | 7 | 5 | 8 | 48-49 | 26 |
| 7. ლოკომოტივი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-30 | 25 |
| 8. სამტრედია | 20 | 6 | 5 | 9 | 34-35 | 23 |
| 9. სიონი | 20 | 3 | 2 | 15 | 21-60 | 11 |
| 10. სპარტაკი | 20 | 1 | 1 | 18 | 6-55 | 4 |

*დებულების დარღვევისთვის ბაიას სიონთან ჩაეთვალა წაგება 0:3*

**1994-95**

| | |
|---|---|
| ბაია-ზესტაფონი | 5:1 |
| სიონი-დინამო | 1:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 4:2 |
| სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| გაგრა-ლოკომოტივი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 20 | 15 | 4 | 1 | 54-11 | 49 |
| 2. ბაია | 20 | 14 | 2 | 4 | 54-19 | 44 |
| 3. დინამო | 20 | 12 | 4 | 4 | 35-20 | 40 |
| 4. ლოკომოტივი | 20 | 11 | 5 | 4 | 33-12 | 38 |
| 5. სიონი | 20 | 9 | 3 | 8 | 24-29 | 30 |
| 6. სპარტაკი | 20 | 7 | 2 | 11 | 21-36 | 23 |
| 7. სამტრედია | 20 | 7 | 1 | 12 | 20-30 | 22 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 20 | 5 | 5 | 10 | 17-28 | 20 |
| 9. გაგრა | 20 | 2 | 4 | 14 | 13-45 | 10 |
| 10. ზესტაფონი | 20 | 1 | 4 | 15 | 9-50 | 7 |

*დებულების დარღვევისთვის ზესტაფონს სამტრედიასთან ჩაეთვალა წაგება 0:3*

## სტიქია და ფეხბურთი

# ვულკანმა შეაფერხა...

როგორც იცით, ისლანდიაში ვულკა-ნის ამოფრქვევის შედეგად წარმოქმნილმა ფერფლმა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ავიარეისები შეაფერხა. ეს პრობლემა ქარ-თულ ფეხბურთსაც შეეხო. 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობა შაბათს დაასრუ-ლა, თუმცა ჭაბუკები სამშობლოში ჯერაც არ დაბრუნებულან. ფეხბურთის ფედერა-ციის ტექნიკური დირექტორი **ნიკა ჩხეიძე** ყველანაირად ცდილობს, **ვლადიმერ გუ-ცაევის** გუნდის თბილისში დასაბრუნებ-ლად შესაფერისი მარშრუტი შეარჩიოს. ავიაკომპანია, რომელსაც საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სამშობლოში უნ-და ჩამოეყვანა, რეისებს ვერ ასრულებს და ბუნებრივია, ჩვენი ჭაბუკები სწორედ ამ ავიაკომპანიის ხარჯზე დარჩნენ პირენეებ-ზე მანამ, ვიდრე პორტუგალიიდან ფრენა შესაძლებელი არ გახდება.

პრობლემები მხოლოდ ამით არ შემოი-ფარგლება. საქართველოს ფეხბურთის ფე-დერაციის ოფიციალური ვებგვერდი გვატყობინებს, რომ ფლორენციაში მწვრთ-ნელთა გადამზადების კურსებზე მყოფი **გა-იოზ დარსაძე** და **კობა ჟორჟიკაშვილი** ფრენების გაუქმების გამო შინ ვერ ბრუნდე-ბიან. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტიდან თბილისში დაბ-რუნებას ვერ ახერხებს ფეხბურთის ფედე-რაციის ორი ჩინოსანი - **დიმიტრი ბოკერია** და **ირაკლი ნაკაიძე** ბელფასტში უეფას სე-მინარზე იმყოფებოდნენ.

ბოლოს გავრცელებული ინფორმაცი-ით, თუ ისლანდიური ვულკანი არ გამძვინ-ვარდა, მაშინ სპეციალისტები ვარაუდო-ბენ, რომ ევროპაში ავიარეისების აღდგენა, ნესით - 2-3 დღეში უნდა დაიწყოს.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა

1/2 ფინალი. ინტერი-ბარსელონა

# ბარსამ ავტობუსშიც ისიამოვნა!

## ამოიფრქვა თუ არა ვულკანი ინტერისთვის, ამას დღეს საღამოს შევიტყობთ



ბარსელონა მილანში ავტობუსით ჩაბრძანდა

### ინტერი-ბარსელონა

ისლანდიურმა ვულკანმა ავიარეისები მთელ ევროპაში გაურკვეველი ვადით შეაჩერა. სწორედ ამიტომ, **ლეო მესი** და კომპანია მილანში ავტობუსით ჩავიდნენ. სათქმელად იოლია, 985 კილომეტრის ავტობუსით გავლა კი, „ბარსელონასთვის" ჯერ ერთი, უჩვეულოა, მეორეც: ძალიან რთული, დამღლელი. მესის კი ავტობუსით ბავშვობის შემდეგ აღარ უმგზავრია. საერთო ჯამში, კატალონიური გრანდის მგზავრობა მილანისკენ, შუალედური გაჩერებით ორ დღეს გაგრძელდა. ბარსელონელები კანში გაჩერდნენ, გამოიძინეს და მერე მილანისკენ გზა განაგრძეს. იოლი წარმოსადგენია, რაოდენ გახარებული იქნება „ინტერის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** იმით, რომ მის გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე უწევს. „ბარსელონა" ხომ ოდნავადაც არ არის ავტობუსით მგზავრობას მიჩვეული. ჟოზეს კი იმედი აქვს, რომ ერთ კვირაში ფრენები აღდგება და „ინტერი" საპასუხო მატჩისთვის, ბარსელონაში თვითმფრინავით ჩავა. ერთი სიტყვით, ვულკანი „ინტერისთვის" ამოფრქვეულა...

კატალონიელთა თავკაცი **პეპ გვარდიოლა** ამბობს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავხდეთ პირველი კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ ორჯერ მოიგებსო. „ბარსას" ფინალამდე, რომელიც მადრიდში, ანუ, მოსისხლე მტრის სტადიონზე უნდა გაიმართოს, ერთი ნაბიჯღა აშორებს.

მოურინიოს ფაქტობრივად არავინ აკლია. „ინტერს" ლაზარეთში მხოლოდ სათადარიგო მეკარე **ფრანჩესკო ტოლდო** და სათადარიგო მცველი **დავიდე სანტონი** ჰყავს. ამრიგად, ჟოზეს შეუძლია, მოედანზე საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანოს. „ნერაძურის" პორტუგალიელი თავკაცი ტაქტიკურ სქემასაც არ შეცვლის და კვლავ 4-2-3-1 სისტემით იასპარეზებს, რომელიც მთელ რიგ მომენტებში ტიპური 4-3-3 იქნება. გამოკვეთილი ცენტრფორვარდის პოზიციაზე, ყველა ლოგიკის მიხედვით, კვლავ **დიეგო მილიტო** უნდა ვიხილოთ, რომელსაც ფლანგებიდან მხარდაჭერას **გორან პანდევი** და **სამუელ ეტო'ო** გამოუცხადებენ, ცენტრიდან კი ბრწყინვალე ფორმაში მყოფი **ვესლი სნეიდერი**. აი, მოურინიოს ვიზავის კი, პრობლემები აქვს. კვლავ ვერ ითამაშებს **ანდრეს ინიესტა** - ამ უკანასკნელმა სულაც ერთთვიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ერიკ აბიდალის** ასპარეზობაც. გვარდიოლამ მილანში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელიც კი იახლა. ესენი არიან: მეკარე **რუბენ მინო** და მცველი **ანდრეუ ფონტასი**.

„ინტერმა" ამ უქმეებზე „იტალიის დერბი" მოიგო, დაამარცხა რა მოსისხლე მტერი ტურინის „იუვენტუსი" (2:0) და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იტალიის მოქმედი ჩემპიონი სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან პაექრობას ძალიან კარგი განწყობით ხვდება. „ბარსელონამ" კი პრიმერადივიზიონში წაიფორხილა და მადრიდის „რეალს" მიახლოების საშუალება მისცა. კატალონიელებსაც დერბი ჰქონდათ: 0:0 „ესპანიოლთან".

„ინტერი" და „ბარსელონა" არსებობის ისტორიაში, ერთმანეთის წინააღმდეგ სულ ექვსჯერ წარსდგნენ და ამ ექვსი შეხვედრიდან, სამი „ბარსელონამ" მოიგო, ორი ფრედ დამთავრდა, მილანელებმა კი მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს. „ნერაძურის" ეს ერთადერთი გამარჯვებაც 40 წლის წინათ დაფიქსირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ბარსა" და „ინტერი" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთმანეთს მესამედ უპირისპირდებიან. ისინი ჯგუფშიც ერთად იყვნენ და შეგახსენებთ, რომ „სან სიროზე" მატჩი 0:0 დასრულდა, „ნოუ კამპზე" კი „ბარსელონამ" **პიკესა** და **პედროს** გოლებით 2:0 გაიმარჯვა. ვერც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** და ვერც **სამუელ ეტო'ომ** იმ მატჩებში თავის გამოჩენა ვერ შეძლეს. ვფიქრობთ, განმარტებას არ საჭიროებს ის, თუ რატომ გავამახვილეთ ამ თავდამსხმელებზე ყურადღება. დღეს კამერუნელს და შვედს კიდევ ერთხელ მიეცემათ იმის შანსი, რომ ყოფილი გუნდის ფანებს თავიანთი სიძლიერე დაუმტკიცონ.

„ინტერის" ფანები იბრაჰიმოვიჩს გულთბილ დახვედრას ნამდვილად არ მოუწყობენ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ შვედი მილანურ კლუბს ცუდად მოექცა. იბრაჰიმოვიჩს კი არ სიამოვნებს, როცა ეტო'ოს ადარებენ. *„სამუელ ეტო'ო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია, მაგრამ ის უფრო საჯარიმოს ფორვარდია, ასე ვთქვათ, დამაგვირგვინებელი. ჩემი აზრით, მე ოდნავ უფრო სრულყოფილი თავდამსხმელი ვარ, მაგრამ სწორად გამიგეთ, კამერუნელს ძალიან ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ის ფანტასტიკური გოლეადორია,"* - ამბობს ზლატანი.

ისე, ეტო'ოზე და იბრაზე მეტად, ყურადღების ცენტრში „ბარსელონას" მხრიდან **ჩავი ერნანდესი**, ხოლო „ინტერის" მხრიდან კი სნეიდერი იქნებიან. ეს იმიტომ, რომ ორივე გუნდის თამაში ამ ფეხბურთელებზეა აწყობილი. ფაქტია ისიც, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შექმნილი მომენტების გამოყენების პროცენტულ მაჩვენებელსაც. ეს განსაკუთრებით დღევანდელ პაექრობას ეხება, რადგან ყველამ ვიცით, რომ მილანში ტაქტიკურად დატვირთულ, ჩახლართულ შეხვედრას ვიხილავთ.

*„მილანში კარგი შედეგი გვჭირდება,* - აცხადებს „ბარსას" ნახევარმცველი **სერხიო ბუსკეტსი**, - *ბარსელონაში აუცილებლად თავდაჯერებულები უნდა დავბრუნდეთ. ფაქტია, რომ „ინტერი" ახლა უკვე კარგად გვიცნობს, რადგან ჯგუფურ ეტაპზე გვეთამაშა. შესაბამისად, მილანელები ტაქტიკურად გაცილებით უკეთესად იქნებიან მომზადებულები, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. რაც შეეხება ჩვენს მგზავრობას: ავტობუსით გადაადგილებას მიჩვეულები არ ვართ და ცოტათი უცნაურად ვიმგზავრეთ, მაგრამ რომ ვთქვა, დავიღალეთ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. პირიქით, ეს მგზავრობა ჩვენთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო."*

მილანელთა ლიდერი სნეიდერი კი ფინალში გასვლაზე ოცნებობს და ამბობს, არა მგონია, არსებობდეს ფეხბურთელი, რომელსაც წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში ჩემზე მეტად სურდესო. შესაძლოა, სნეიდერი ცდება, მაგრამ ფაქტია, რომ მას ძალიან უნდა მადრიდში თამაში. როგორც იცით, სნეიდერი „რეალის" ღირსებას იცავდა. *„შეუძლებელი არაფერია. „ბარსელონა" არ არის დაუმარცხებელი გუნდი. [illegible]ადად, არ არსებობს გუნდი, რომლის დამარცხებაც შეუძლებელია. მით უმეტეს, ჩვენთვის,"* - ამბობს სნეიდერი, რომელიც, როგორც ხედავთ, უაღრესად ოპტიმისტურადაა განწყობილი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რომელი გუნდი გავა ამ წყვილიდან ფინალში - „ინტერი" იქნება ეს, თუ „ბარსელონა", ფაქტია, ფინალში ორივეს ფავორიტის როლი მიენიჭება.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ხ. ძანეტი - კამბიასო, მოტა - პანდევი (ან ბალოტელი), სნეიდერი, ეტო'ო - მილიტო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, მაქსველი - იაია ტურე, ჩავი, ბუსკეტსი - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენშა (პორტუგალია)

გერმანიის ნაკრები

# ტორსტენ ფრინგსი: ლიოვი უსამართლოა!

## დისკუსია ტორსტენის სიტყვების გამო. ლიოვი ეფენბერგმაც გააკრიტიკა



ტორსტენ ფრინგსმა ხმა აიმაღლა

*„გერმანიის ნაკრების მწვრთნელი და მისი ასისტენტები მუდმივად იმეორებენ, რომ ბუნდესლიგაში საუკეთესო ფეხბურთელებს იძახებენ, მაგრამ ვერავის გაასულელებენ. გერმანიის ნაკრების ფეხბურთელების ნახევარი კლუბებში ან საერთოდ არ თამაშობენ, ანაც ძალიან ცუდად ასპარეზობენ და ქვეყნის პირველი გუნდის ფორმას არ იმსახურებენ!"* - ეს განცხადება **ტორსტენ ფრინგსმა** ამ შაბათს გააკეთა და ამ განცხადებამ გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. 33 წლის ფრინგსი ის მოთამაშეა, რომელსაც გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** იანვარში საბოლოოდ მიუხურა ბუნდესგუნდის კარი და „ვერდერის" კაპიტნის აღშფოთება გასაგებია, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ტორსტენის სიტყვები გარკვეულწილად სიმართლეს შეესაბამება?

ფრინგსმა ეს განცხადება „ვოლფსბურგისა" და „ვერდერის" მატჩის შემდეგ გააკეთა, რომელიც ბრემენელებმა 4:2 მოიგეს, რომელშიც ტორსტენმა დუბლი შეასრულა და ბრწყინვალედ იასპარეზა. გამოცდილი საყრდენი შუამარბი (79 მატჩი გერმანიის ნაკრებში) შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი არ აქვს. ანუ, მას დასაკარგი აღარაფერი აქვს და ამიტომაც აყვირდა.

ტორსტენის ასეთ შეტევას ლიოვმა ორშაბათს, „კიკერის" ფურცლებიდან მეტად კონსერვატიულად უპასუხა. აი, რა თქვა იოგიმ: *„დამერწმუნეთ, ჩვენ ყველაფერს ზედმიწევნით ვაანალიზებთ და გერმანიის ნაკრებში ვიძახებთ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ბუნდესგუნდის ფორმით თამაშს იმსახურებენ. რაც შეეხება ფრინგსს, ტორსტენი გერმანული ფეხბურთისთვის დიდი ფიგურაა. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც მოედანზე თავს არასდროს ზოგავს, მაგრამ მისი დრო უკვე წავიდა".*

**შტეფან ეფენბერგს** რომ ჰკითხოთ, ტორსტენ ფრინგსი ცამდე მართალი არ არის, მაგრამ არც მტყუანია. ეფეს მიაჩნია, რომ იოახიმ ლიოვმა რამდენიმე გადაწყვეტილებას უნდა გადახედოს, მათ შორის, ფრინგსზეც უნდა იფიქროს. *„მე რომ გერმანიის ნაკრების დამრიგებელი ვიყო, ტორსტენ ფრინგსს მსოფლიოს ჩემპიონატზე თუნდაც მხოლოდ მისი გამოცდილებისა და ტიპაჟის გამო წავიყვანდი. ფრინგსი ლიდერია, ბუნდესგუნდს კი ლიდერები სჭირდება,"* - ამბობს ეფენბერგი.

**კევინ კურანის** გარშემო ატეხილი ამბები მკითხველს კარგად მოეხსენება და ლიოვი უახლოეს მომავალში გადაწყვეტს, დააბრუნოს თუ არა „შალკეს" 28 წლის თავდამსხმელი ნაკრებში. ამასობაში, გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** ლიოვს დასცინის, სეზონის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე, ნაკრების მწვრთნელმა როგორ არ უნდა იცოდეს, სჭირდება თუ არა თავდამსხმელი, რომელსაც ამ სეზონში უკვე 18 გოლი აქვს გატანილიო. გარდა ამისა, „შალკეს" ფანები უკმაყოფილოები არიან იმის გამო, რომ ლიოვმა ერთხელაც არ მისცა თავის გამოჩენის შანსი 22 წლის მცველ **ბენედიქტ ჰიოვედესს**, რომელიც ასევე ძალიან კარგ სეზონს ატარებს. ეს იმ დროს, როცა ლიოვი რეგულარულად იძახებს შტუტგარტელ მცველ **სერდარ ტასკის** და ამას წინათ, ნაკრებში თვით ყველასგან მივიწყებულ **რობერტ ჰუთსაც** კი უხმო. შეგახსენებთ, რომ იოახიმ ლიოვმა სამხრეთ აფრიკაში გასამგზავრებელი ფეხბურთელების სია 6 მაისს უნდა დაასახელოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრავმა

# უნდა დაელოდოს და გაარკვიოს...

## ითამაშებს ტორესი სამხრეთ აფრიკაში?

დიახ, როგორც გუშინ ვწერდით, **ფერნანდო ტორესს** ცუდად აქვს საქმე: კვირას, ბარსელონაში, მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. ახლა ისაა საკითხავი, შეძლებს თუ არა „ლივერპულისა“ და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას.

ასეთი შიში ესპანელ ექიმებს გაუჩნდათ, რომელთაც ტორესმა საკმაოდ გართულებული მარშრუტით ჩააკითხა. მოგეხსენებათ, ისლანდიაში ვულკანმა ამოხეთქა, მისმა ფერფლმა მთელი ევროპა დაფარა და ამის გამო ფრენები გადაიდო. მაგრამ, ტორესი ფერფლით დაფარულ ევროპის ზეცას არ დაემორჩილა და ლონდონიდან კონტინენტზე ლა მანშის ქვეშ გამავალი ჩქაროსნული მატარებელ „ევროსტარით“ გადავიდა.

ტორესს მუხლის პრობლემა უკვე რამდენიმე კვირაა აწუხებს. ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ ტკივილი ოპერაციის გარეშეც დაუამდებოდა და ის ევროლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩისთვის მზად იქნებოდა - მოგეხსენებათ, ევროლიგის ნახევარფინალში „ლივერპული“ ტორესის ყოფილ გუნდს, მადრიდის „ატლეტიკოს“ ხვდება - მაგრამ ექიმებმა იმედი გაუქარწყლეს და უთხრეს, რომ არათუ ევროლიგის ნახევარფინალში, ის პრემიერლიგის დარჩენილ შეხვედრებშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას. არადა, მერსისაიდელებს ის ძალიან სჭირდებათ: „წითლები“ ინგლისის პირველობაზე მეოთხე ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან.

თუმცა ყველაზე მეტი სანერვიულო ჯერ კიდევ წინაა: ტორესი უნდა დაელოდოს და გაარკვიოს, როგორ წავა მისი გამოჯანმრთელების საქმე. შეძლებს კი ის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას?

როგორც ექიმებმა თქვეს, რეაბილიტაციის პერიოდი ექვსკვირიანი უნდა იყოს, მაგრამ ექვსი კვირის შემდეგ სამხრეთ აფრიკის მუნდიალამდე რაღა რჩება? მოასწრებს კი თავდამსხმელი ვარჯიშსა და ფორმის სრულყოფილად აღდგენას? მოდი, ესპანეთის ნაკრების კალენდარში ჩავიხედოთ. ევროპის ჩემპიონებს პირველი თამაში 16 ივნისს შვეიცარიასთან უწევთ, მაგრამ ფიფაში საბოლოო განაცხადების გაგზავნა მანამდეა: 1 ივნისს **ვისენტე დელ ბოსკეს** თავისი ფეხბურთელების საბოლოო სია უკვე ჩამოწერილი უნდა ჰქონდეს.

ტორესის რთული მდგომარეობა „ლივერპულის“ პრესმდივანმაც დაადასტურა: *„გადაწყდა, რომ მარჯვენა მუხლზე გაწყვეტილ მყესზე ტორესს ქირურგიული ჩარევა სჭირდება. ოპერაცია მას კვირას გაუკეთეს, ასეთი ოპერაციების შემდეგ კი სახელმძღვანელოს თანახმად სარეაბილიტაციო პერიოდი ექვსი კვირაა“.*

ტორესის დაკარგვის შემდეგ ლივერპულელთა მწვრთნელის **რაფა ბენიტესის** მთელი იმედი **დავიდ ნგოგს** ემყარება. ნგოგმა რამენაირად უნდა მოახერხოს და სრულფასოვნად შეცვალოს ვარსკვლავი, რომელსაც უკვე 22 გოლი აქვს გატანილი.



ფერნანდო ტორესი




პრემიერლიგა

# ძმას მოხვდა...



კრეიგ ბელამის ნამდვილად არ შეგშურდება

შაბათს, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმის“ გარეთ „იუნაიტედის“ სენეგალელი ფეხბურთელის **მამე ბირამ დიუფის** ძმა უცემიათ - აი, ასეთი გამოძახილიც ჰქონდა მანჩესტერულ დერბის. მოგეხსენებათ, „იუნაიტედმა“ მსაჯის მიერ დამატებული დროის დამთავრებამდე 17 წამით ადრე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა „სიტი“, რამაც, ისტლენდელთა ქომაგები ძალიან გააბრაზა და როგორც კი 28 წლის **აბდულ ბირამ დიუფი** ხელთ იგდეს, ურტყეს და ბუჩქებში ჩააგდეს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხმა, ვინც აბდული სცემა, კარგად იცოდა, რომ მისი ძმა „იუნაიტედის“ ფეხბურთელია, თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ მას ტანთ თავისი ძმის მაისური ემოსა - ის, რომლითაც 22 წლის მამემ „ქარლინგის“ თასის ფინალში ითამაშა. გუშინ, დღის პირველ ნახევარში ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ჯერ კიდევ არავინ იყო. მომხდართან დაკავშირებით, სენეგალელი ფეხბურთელის აგენტმა **ჯიმ სოლბაკენმა** განაცხადა:

*„მანჩესტერული დერბის შემდეგ მამე ბირამ დიუფის ძმას, რომელიც სტადიონიდან მოდიოდა, „მანჩესტერ სიტის“ რამდენიმე ფანი თავს ზურგიდან დაესხა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ გამოდგა და აბდულ ბირამ დიუფს სამედიცინო ჩარევა არ დასჭირვებია“.*

გაზეთი „დეილი მეილი“ წერს, რომ ეს მანჩესტერულ დერბის მოყოლილი მესამე სერიოზული ინციდენტია. იანვარში, ლიგის თასზე, „იუნაიტედისა“ და „სიტის“ პირველი შეხვედრის დროს ერთმანეთს **კარლოს ტევესი** და **გარი ნევილი** წაეკიდნენ, საპასუხო მატჩში კი, „ოლდ ტრეფორდზე“, **კრეიგ ბელამის** ტრიბუნიდან ათასგვარი საგანი ესროლეს, მონეტა გაარტყეს კიდეც...

როგორც წლევანდელმა გამოცდილებამ გვაჩვენა, მანჩესტერულ შეხვედრებში გულშემატკივართა განლაგება, შეყვანა-გაყვანა უკეთ არის მოსაფიქრებელი. უკვე მეორედ მოხდა, რომ დაპირისპირებული გუნდების ფანები ერთმანეთის სიახლოვეს დასვეს. შაბათს, ისტლენდზე, „სიტის“ ფანებმა იჩივლეს, რომ ქალაქის პოლიციამ „იუნაიტედის“ გულშემატკივრები სექტორში სტადიონის დაცლამდე არ დატოვა. საღამოს, ქალაქის ცენტში და ახლომახლო უბნებში სხვა შეტაკებებიც იყო. **პოლ სქოულზის** მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლი ზემოთხსენებულმა გარი ნევილმა ტრადიციული სიგიჟით აღნიშნა, მაგრამ ფეხბურთის ასოციაცია, სავარაუდოდ, ჯარიმას არ დააკისრებს.

# ასეც ხდება...

„ჩელსის“ თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** აღიარა, რომ შაბათს, „ტოტენჰემ ჰოთსფურთან“ შეხვედრაში მის კაპიტან **ჯონ ტერის** ნერვები მოეშალა და თვითკონტროლის უნარი დაკარგა. მოგეხსენებათ, „ლურჯების“ მოქმედი და ინგლისის ნაკრების მოხსნილი კაპიტანი ამ შეხვედრაში გააძევეს - ორი ყვითელი ბარათი მიიღო. გარდა ამისა, შეხვედრის დასაწყისში მსაჯმა ჩათვალა, რომ ტერის ბურთი ხელზე მოხვდა და პენალტიც დანიშნა. საბოლოოდ, შეხვედრა „სფურზის“ სასარგებლოდ 2:1 დამთავრდა.

ტერი კალაპოტიდან იმანაც ამოაგდო, რომ მას „უაით ჰართ ლეინზე“ შეკრებილი გულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდნენ. ანჩელოტიმ აღიარა, რომ კაპიტანმა იმ შეხვედრაში, უბრალოდ, ცუდად ითამაშა, თუმცა დასძინა, რომ ის ამ კონკრეტულ პრობლემას დასძლევს, რადგან, ზოგადად, საუცხოო სეზონს ატარებს.

ანჩელოტიმ თქვა: *„მე თავად გახლდით ფეხბურთელი და ვიცი, რომ ყოველთვის რაციონალური ვერ იქნები. კარიერაში არის ხოლმე დღეები, როდესაც საკუთარ თავზე კონტროლს კარგავ. ზოგადად ტერის ფანტასტიკური სეზონი აქვს, თუმცა „სფურზთან“, შესაძლოა, მთლად კარგად ვერ ითამაშა. ასეც ხდება, ხანდახან ფეხბურთელები კარგად თამაშს ვერ ახერხებენ“.*

„სფურზთან“ დამარცხების მიუხედავად, პრემიერლიგის ტიტულის ბედი, ჯერჯერობით კვლავ „ჩელსის“ ხელთაა. რაც შეეხება შაბათის თამაშს, დასავლეთლონდონელთა იტალიელი მწვრთნელი აღიარებს, რომ იმ დღეს „ტოტენჰემმა“ მის გუნდს აჯობა.

*„ახლა ჩვენ შემდეგი თამაში უნდა მოვიგოთ. თუ შევძლებთ, შემდეგ სამ შეხვედრაშიც უნდა გავიმარჯვოთ და ჩემპიონები გავხდებით. „ტოტენჰემმა“ გვაჯობა. ის ჩვენზე უკეთ თამაშობდა. ასეთი რაღაცებიც ხდება, მაგრამ ასეთ დროს სჯობს სიმშვიდე შეინარჩუნო და მომხდარი გადაიტანო“.*



კარლო ანჩელოტის სჯერა, რომ ჯონ ტერი პრობლემას დასძლევს

# თუ ჩემპიონობა გინდა...

„არსენალმა“ ტიტულზე ოცნება საგაისოდ რომ უნდა გადადოს, უკვე ვთქვით. ამ ამბავმა მეთოფეთა ფრანგი თავკაცი **არსენ ვენგერი** ისე გააბრაზა, რომ წყლით სავსე ბოთლს დასტაცა ხელი და დაანარცხა. გასაბრაზებელი მართლაც ჰქონდა სახელგანთქმულ სპეციალისტს. ჩრდილოლონდონელები უიგანში, შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე 2:0-ს იგებდნენ და... სამი გოლის გაშვება მოახერხეს. ვენგერი თავს ვერ იკავებდა:



არსენ ვენგერი უიგანთან მარცხის შემდეგ ძალიან გაბრაზებული იყო

*„არ ვიცი, ვინ გახდება ინგლისის ჩემპიონი და არც მაინტერესებს. ჩვენ დღეს რომ მოგვეგო, რასაკვირველია, შანსი გვექნებოდა. იმისათვის, რომ ჩემპიონი გახდე, ყურადღება მოედნისკენ უნდა გქონდეს მიმართული და თან ყოველ შეხვედრაში მთელი 90 წუთის განმავლობაში. დღეს ჩვენთვის ეს გადაულახავი ამოცანა გამოდგა“.*

დიახ, „უიგანი“ რომ დაემარცხებინა, ანუ ათი წუთიც რომ გაეძლო, „არსენალსა“ და ლიდერ „ჩელსის“ შორის სამად სამი ქულა იქნებოდა განსხვავება. იმის თქმა, რომ ამ შეხვედრაში „მეთოფეებმა“ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთი ითამაშეს, არაფრით შეიძლებოდა, მაგრამ 10 წუთის გაძლებას საუკეთესო ფეხბურთის თამაში ნამდვილად არ სჭირდება, ამისთვის დისციპლინაა საჭირო, ყურადღება და დისციპლინა, მეტი არაფერი.

ვენგერმა განმარტა: *„ეს წაგება მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ ჩვენ ყურადღება მოვადუნეთ და დისციპლინირებულნი არ ვიყავით. მეტოქემ სწორედ ამაზე გამოგვიჭირა. რა თქმა უნდა, უიღბლობამაც ითამაშა თავისი როლი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ყურადღება მოვადუნეთ. ასეთი რამ არ უნდა მოგივიდეს, მით უფრო მაშინ, როდესაც ეთამაშები გუნდს, რომელსაც დასაკარგავი არაფერი აქვს. როგორც კი მეორე გოლი გავიტანეთ და ანგარიში 2:0 გახდა, მოვეშვით. ეს იმწუთას შევამჩნიე და სულ მეშინოდა, რომ მოწინაალმდეგე დაგვსჯიდა. ერთი წამით არ მიფიქრია, რომ თამაში დამთავრდა. აშკარად ვხედავდი, რომ ბურთის შენარჩუნება გვიჭირდა და ახალ მომენტებს ვერ ვქმნიდით. მოწინააღმდეგე კი ამ დროს აშკარად აგრძელებდა ბრძოლას. მისთვის თამაში დამთავრებული არ იყო. ეს, რასაკვირველია, სეზონის ყველაზე მწარე დამარცხება გახლდათ. ამ ყველაფრის გაგება და მასთან შეგუება ძნელია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ბორდო-ლიონი. აყალმაყალი თამაშის ბოლოს




# შეაკლეს თავი ერთმანეთს... მარსელისთვის

**18 წელიწადია** ასე ახლოს არ ყოფილა ჩემპიონის ტიტულთან მარსელის „ოლიმპიკი" - ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურით ადრე სამხრეთული გუნდი ლიგა 1-ს 68 ქულით უდგას სათავეში და მხოლოდ ერთადერთი რეალური კონკურენტი ჰყავს, ისიც შედარებით მოკრძალებული „ოსერი", რომლისთვისაც მეორე ადგილიც უდიდესი მიღწევა იქნება. მაშინ როცა **დიდიე დეშამის** გუნდმა სასწაულებრივად აიღო აუტსაიდერ „ბულონთან" მატჩში 3 ქულა. ჩემპიონატის ორმა ფავორიტმა, „ბორდომ" და „ლიონმა", ერთმანეთს თავი შეაკლა, ქულები დაკარგა და „მარსელს" საჩემპიონო სპურტის წინ მწვანე შუქი აუნთო...

შაბათს „ოლიმპიკი" „სტად დე ლიბერასიონზე" გასავარდნად განწირულ „ბულონს" ეწვია, რომელსაც გადარჩენის თეორიული შანსიღა აქვს. მარსელელთა ნახევარმცველი **მატიო ვალბუენა** შესანიშნავ ფორმაშია, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა 44-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მაგრამ მეორე ტაიმში სტუმართა გუნდი კინაღამ დაისაჯა მას შემდეგ, რაც საქმე დასრულებულად ჩათვალა და შეტევების ინტენსივობა შეამცირა. თამაშის დასრულებამდე 8 წუთიღა რჩებოდა, როცა **სტივ მანდანდას** კარი შეცვლაზე შესულმა **ყერემი ბლაიაკმა** აიღო. თითქოს ლიდერმა დაუგეგმავი ქულები დაკარგა, მაგრამ მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი მაშინ დანიშნა, როცა 90 წუთს კარგა გადაცილებული იყო. თერთმეტმეტრიანის დარტყმა „ოლიმპიკის" ნიგერიელმა მცველმა **ტაიე ტაივომ** ითავა - 1:2. „ბულონმა" სეზონში მე-8 გოლი გაუშვა მსაჯის მიერ დამატებულ დროში, ასეთი უიღბლო გუნდი საფრანგეთში სხვა არაა.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„სიმართლე გითხრათ, გამართლებისა არ მჯერა, შედეგს ყოველთვის ლოგიკურად ჩამოყალიბებული სიტუაცია განაპირობებს და არა ბედი. ჩემი ფეხბურთელები მოედანზე იმ განწყობით გადიან, რომ მაქსიმალურად შესაძლებელი ქულები აიღონ. ჩვენ პირველები ვართ და ყველანაირად შევეცდებით ფინიშამდე ასე მივიდეთ, მაგრამ ჯერ კიდევ 15 ქულაა მოსაპოვებელი. დიდებულია, როცა პირველ ადგილზე ხარ, ჩვენ ტემპი არ უნდა დავკარგოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად „მარსელი" ჩემპიონი 1992 წელს გახდა, მაშინ კი გუნდის კაპიტანი სწორედ დიდიე დეშამი იყო.

მთელი საფრანგეთი მოუთმენლად ელოდა 33-ე ტურის მთავარ დაპირისპირებას, რომელიც „სტად შაბან-დელმაზე" გაიმართა. არცთუ დიდი ხნის წინა „ბორდო" და „ლიონი" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაშინ „ლიონმა" ორი მატჩის ჯამში შეძლო ჩემპიონის გაგდება. ჟირონდელებს შურისძიება ენადათ, რასაც ტიტულის შენარჩუნების მბჟუტავი იმედი ემატებოდა, **ლორან ბლანის** გუნდს მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა, თუმცა იგივე მიზანი ჰქონდა **კლოდ პუელის** გუნდსაც. შეხვედრა თვალსასეირო გამოდგა და 2:2 დასრულდა. თამამად შეგვიძლია თქმა - ამ ფრით „ბორდომ" ტიტულის შენარჩუნების ბოლო შანსი გაუშვა - ბლანის გუნდი „მარსელს" 11 ქულით ჩამორჩება (თუმცა თამაში რეზერვში აქვს).

პირველი ტაიმის შუაში ანგარიში ჟირონდელთა მაროკოელმა ფორვარდმა **მარუან შამახმა** გახსნა. სეზონის მე-10 გოლი შამახმა ჩვეულ სტილში, თავით გაიტანა. ტაიმი ბლანის სამწყსომ მოიგო - 1:0.

„ლიონის" პასუხმა მეორე ტაიმში მხოლოდ 10 წუთი დაახანა, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ონორატო ედერსონმა** საჯარიმოს კუთხიდან დიდებული დაბალი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში - 1:1. ჯერი ისევ ჟირონდელებზე დადგა, 7 წუთში ედერსონის დარტყმის ანალოგიურით (უფრო შორი დისტანციიდან) **იაროსლავ პლაშილმა** „ბორდოს" ლიდერობა მატჩში აღადგინა - 2:1. ბოლო სიტყვა მაინც „ლიონისა" იყო - ზედიზედ მეორე ტურია, გუნდის გმირი მისი ბრაზილიელი მცველი და კაპიტანი **კრისი** ხდება, 71-ე წუთზე მან თავურით გაიტანა - 2:2. ბოლოსკენ ძალზე დაიძაბა სიტუაცია, რაც სპორტულ ჩარჩოებს გასცდა, ამიტომაც მსაჯმა ერთბაშად სამი ფეხბურთელი გააძევა, მასპინძლები **ბენუა ტრემულინასი** და **ჟუსიე** და სტუმარი **ანტონი რევეიერი**. „ლიონი" 59 ქულით მესამე ადგილზეა, თუმცა „მონპელიეს" ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს, ლიდერ „მარსელს" კი უკვე 9 ქულით ჩამორჩა. ეს „ბორდოს" ვეტერანი გოლკიპერის, **ულრიხ რამეს** 400-ე თამაში იყო ლიგაში.

ტიტანების ჭიდილში ყოველთვის ნახულობს რომელიმე შედარებით მოკრძალებული გუნდი ხეირს. ამ ჩემპიონატში ასეთი ბევრია, თუმცა ბოლომდე, მგონი, მხოლოდ „ოსერმა" გაძლო. **ჟან ფერნანდესის** გუნდმა მშობლიურ „სტად აბე დეშამზე" ყოჩაღი „ლორიანი" 4:1 გაანადგურა. ახლა „ოსერი" 63 ქულით „სუფთა" მეორე ადგილზეა. 1996 წლის ჩემპიონები პირველივე ტაიმში ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ გოლები კენიელმა ნახევარმცველმა **დენის ოლიეჩმა** და პოლონელმა ფორვარდმა **ირენეუშ ჟელენმა** გაიტანეს. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე „ოსერის" სლოვენიელმა პლეიმეიქერმა **ვალტერ ბირსამ** ფანტასტიკური გოლი გაიტანა საჯარიმო დარტყმით. „ლორიანმა", რომელმაც თამაში 9 კაცით დაასრულა, **კევინ გამეიროს** მე-14 გოლით უპასუხა, თუმცა **სედრიკ ენგბარმა** მაინც დიდი ანგარიშით მარცხი გაუფორმა სტუმრებს - 4:1. ჟან ფერნანდესი ერთობ მონდომებული მწვრთნელია, მხოლოდ ერთ მაგალითს ვიტყვით - თამაშის შემდეგ ის მანქანით მონპელიეში წავიდა, რათა მომავალი მეტოქე „ტულუზის" თამაში თავისი თვალით ეხილა (ვულკანური ფერფლის გამო საჰაერო გზა დაკეტილი იყო), ამისთვის მან 1 200 კილომეტრი გაიარა, არადა „მონპელიე"-„ტულუზი" ტელევიზიითაც გაიდაიცა! ირენეუშ ჟელენმა „ლორიანთან" მატჩში ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა, თუმცა „ოსერის" ექიმის თქმით, პოლონელ ფორვარდს სერიოზული არაფერი სჭირს.

„მონპელიემ" სამეულში ადგილი მას მერე დაკარგა, რაც „ტულუზს" 1:1 დაუზავდა. მასპინძლები არგენტინელმა **ალბერტო კოსტამ** დააწინაურა, თუმცა თურქეთის ნაკრების წევრმა **კოლინ კაზიმ-რიჩარდსმა** 92-ე წუთზე გაათანაბრა.

წლევანდელ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური და საინტერესო გუნდი „ლილია", თუკი ჩრდილოურ კლუბს თამაში მისდის, მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს. 33-ე ტურში კი **რუდი გარსიას** შეგირდებს ხელი ვერც „მონაკოს" დაცვამ შეუშალა - 4:0. სხვათა შორის, ეს მეხუთე შემთხვევაა სეზონში, როცა „ლილი" თამაშს ამ ანგარიშით იგებს. „ნორდზე" გოლები **ორელიენ ჩედჯუმ**, **იოან კაბაიემ** (დუბლი) და ბრაზილიელმა ფორვარდმა **ტულიო დე მელომ** გაიტანეს. „ლილი" 58 ქულით ლიდერთა ჯგუფშია.

ქართველთა „ლე მანმა" ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ „თვალში გამოიხედა", ჩემპიონის დამარცხების შემდეგ, **მაკარიძისა** და **სანაიას** გუნდმა სტუმრად „ვალანსიენს" მოუგო - 1:0. გამარჯვების გოლი „ლე მანის" თინეიჯერმა მცველმა **სებასტიენ კორჩიამ** საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ეს კორჩიას მეორე გოლია სეზონში, პირველი მან I წრეში სწორედ „ვალანსიენის" წინაალმდეგ გაიტანა. სხვათა შორის, „ლე მანმა" სეზონში პირველად შეინახა კარი მშრალად სტუმრად.

ტურის სამი თამაში კი უგოლო ფრეებით დასრულდა. ყველაზე მოულოდნელი კი ის იყო, რომ გოლების გატანა ვერ მოახერხეს „სენტ ეტიენმა" და „პარი სენ ჟერმენმა".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მომდევნო ტური

**24 აპრილი.** ლე მანი-ლილი, ლორიანი-ბორდო, ნანსი-მონპელიე, ნიცა-გრენობლი, სოშო-ბულონი, პარი სენ ჟერმენი-რენი. **25 აპრილი.** ლანსი-ვალანსიენი, ტულუზი-ოსერი, მარსელი-სენტ ეტიენი. **12 მაისი.** ლიონი-მონაკო.

### ოსერი-ლორიანი 4:1

**ოსერი (4-4-1-1):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, გრიხტინგი, ბერტო - ოლიეჩი, დუდკა, პედრეტი, ბირსა (75. შაფნი) - ნიკულაე (81. კონტუტი) - ჟელენი (88. კვერსია).

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, მორელი - ჟუფრე (71. დიუბაბრიე), ბურილიონი (61. ფანშონი), მვუემბა, დიარა (61. ლე ლანი) - გამეირო, ამალფიტანო.

**გოლები:** 1:0 ოლიეჩი (35), 2:0 ჟელენი (37), 3:0 ბირსა (55), 3:1 გამეირო (82), 4:1 ენგბარი (88-პენ)

**გაძევება:** მორელი (58. ლორიანი), ოდარი (87. ლორიანი)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 4-12; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 11-13 (7-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 15 439

### ბულონი-მარსელი 1:2

**ბულონი (4-3-3):** ბედენიკი - ლეკოინტი, სუმარე, ლაშო, რაბუე (80. ბლაიაკი) - მარკი, აგუაზი, დიუკატელი (65. რამარე) - ტილი, კაპო, კუვილიე (66. იატაბარე).

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, მბია, ჰაინცე - გონსალესი, სისე, შეირუ (59. კაბორე) - ვალბუენა (87. აბრიელი), ბრანდაო, ნიანგი (69. ტაივო).

**გოლები:** 0:1 ვალბუენა (44), 1:1 ბლაიაკი (82), 1:2 ტაივო (90+5-პენ)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 25-18; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 4-14 (2-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 15 242

### გრენობლი-სოშო 2:2

**გრენობლი (4-4-1-1):** ვივიანი - მაინფროი, სესარი, მარკი (37. სიანსი), რობენი - კურტუა (84. კალვე), რომაო, დიოზი, მაცუი - აკრური (79. ბოია) - ლიუბოია.

**სოშო (4-2-3-1):** დრეიე - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე (67. სვერკოში) - პუჟოლი (58. კარლაო), გავანონი - მორის-ბელაი, მარტინი (60. ბუდებუზი), მიკარი - ბრაუნი.

**გოლები:** 0:1 ბრაუნი (27), 1:1 ლიუბოია (55), 2:1 მაცუი (63), 2:2 ბრეშე (74)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 9-8 (5-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 12 960

### ნიცა-ლანსი 0:0

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - კულიბალი, აპამი, სიველი, პეისლი - ფაე, ეშუაფნი, საბლე (75. დიაკიტე) - ბენ საადა (67. რემი), ბაგაიოკო, მუნიე (46. ბამოგო).

**ლანსი (4-2-3-1):** კასრაუი - ორიე, იაჰია, სარტრი, რამოსი - სოუ, კოვაჩევიჩი (74. ერმახი) - ბუკარი (45. რუდე), მილოვანოვიჩი, მონე-პაკე - მაულიდა (85. ედუარდო).

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-7 (3-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 8 969

### რენი-ნანსი 0:0

**რენი (4-2-3-1):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, დანზე - ტეტეი, მვილა - ბანგურა (58. კემბო-ეკოკო), ლეროა, მარვო - ბრიანი (85. სოუ).

**ნანსი (4-3-3):** ბრასილიანო - ლოტიე (72. დიაკიტე), სამი, ანდრე ლუისი, ლემაიტრი - ტრაორე (83. ნდიაიე), ბერენგერი, ფერე - ბაკარი (70. დია), ალო ეფულუ, ბრიზონი.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 11-9 (5-0); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 275

### ვალანსიენი-ლე მანი 0:1

**ვალანსიენი (4-3-2-1):** პენეტო - დიუკურტუა, ბიზევაცი, ანგუა, ბონგი - კადირი (81. სებო), გომისი, ტიენე - ბენ ხალფალაჰი, ოდელი (44. დანიჩი) - პუჟოლი.

**ლე მანი (4-4-2):** ოვონო - კორჩია, ლუვიონი, ჟედერი, ბაალი - დოსევი (82. უალი), ნარი, ლორიო, აბდი (86. ვაგი) - ლე ტალეკი (80. სტრომსტადი), მაიგა.

**გოლი:** 0:1 კორჩია (90+4)

**გაძევება:** ლორიო (83. ლე მანი)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-13 (4-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 12 362

### ბორდო-ლიონი 2:2

**ბორდო (4-2-3-1):** რამე - შალმე, ენრიკე, სანე, ტრემულინასი - პლაშილი, დიარა - გუფრანი (67. ტრაორე), გურკუფი, საივე (60. ჟუსიე) - შამახი.

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ტულალანი, სისოხო - პიანიჩი, კალსტრიომი - გოვუ (46. ლოპესი), ედერსონი (82. გრენიე), ბაშტოში - გომისი (67. დელგადო).

**გოლები:** 1:0 შამახი (25), 1:1 ედერსონი (55), 2:1 პლაშილი (62), 2:2 კრისი (71)

**გაძევება:** ჟუსიე (90. ბორდო), ტრემულინასი (90. ბორდო), რევეიერი (90. ლიონი)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 21-23; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-11 (4-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 32 284

### ლილი-მონაკო 4:0

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, ბერია, ჩედჯუ, ემერსონი - ბალმონი, მავუბა, კაბაიე (83. დიუმონი) - ჟერვინიო, ფრო (71. დე მელო), ჰაზარდი (76. ობრანიაკი).

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - ლოლო, მონგონგუ, პიუგრენიე, მურატორი - ნკულუ ნდუბენა, ე. კოშტა - პინო (72. საგბო), ჰარუნა (53. მოლო), ნენე (79. კუტადო) - მააზუ.

**გოლები:** 1:0 ჩედჯუ (14), 2:0 კაბაიე (45-პენ), 3:0 კაბაიე (75), 4:0 დე მელო (90+1)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-15 (8-6); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 16 894

### მონპელიე-ტულუზი 1:1

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - ბოკალი (85. კოლინი), სპაჰიჩი, ელ-კაუტარი, იანგამბივა - საიჰი (85. კოიტა), პიტო, კოსტა - ბელჰანდა, კამარა, აიტ-ფანა (46. ლაკომბი).

**ტულუზი (4-5-1):** ბლონდელი - ებონდო, კონგრე (43. კაპუე), ფოფანა, მბენგე - კაზიმ-რიჩარდსი, სისოკო, ბერსონი (84. რეგატინი), მაშადო, დიდო - ჟინიაკი.

**გოლები:** 1:0 კოსტა (32), 1:1 კაზიმ-რიჩარდსი (90+2)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-12 (4-3); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 19 299

### სენტ ეტიენი-პსჟ 0:0

**სენტ ეტიენი (4-2-3-1):** ჟანო - ვარო, დიახატე, ბენალუანი, დაბო - ნდავი, ფერნანდესი - რივიერი (81. სანოგო), მატუიდი, პაიე - ბერხესიო (55. საკო).

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - სეარა, კამარა, ტრაორე, არმანი - ნგოი, კლემანი - შანტომი (75. ჟალე), ლუინდულა (87. სესენიონი), სანხარე - კეჟმანი (70. მორისი).

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-7 (4-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 26 493

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 33 | 20 | 8 | 5 | 61-32 | 68 |
| 2. ოსერი | 33 | 18 | 9 | 6 | 36-26 | 63 |
| 3. ლიონი | 33 | 16 | 11 | 6 | 54-35 | 59 |
| 4. მონპელიე | 33 | 17 | 8 | 8 | 44-37 | 59 |
| 5. ლილი | 33 | 17 | 7 | 9 | 61-34 | 58 |
| 6. ბორდო | 32 | 17 | 6 | 9 | 51-32 | 57 |
| 7. რენი | 33 | 14 | 9 | 10 | 47-32 | 51 |
| 8. ლორიანი | 33 | 14 | 8 | 11 | 48-37 | 50 |
| 9. მონაკო | 33 | 14 | 7 | 12 | 34-38 | 49 |
| 10. პსჟ | 33 | 12 | 9 | 12 | 46-35 | 45 |
| 11. ვალანსიენი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-44 | 44 |
| 12. ტულუზი | 33 | 11 | 10 | 12 | 35-30 | 43 |
| 13. ნანსი | 33 | 12 | 7 | 14 | 40-45 | 43 |
| 14. ლანსი | 33 | 10 | 9 | 14 | 30-38 | 39 |
| 15. სოშო | 33 | 10 | 8 | 15 | 25-43 | 38 |
| 16. ნიცა | 33 | 10 | 7 | 16 | 32-49 | 37 |
| 17. სტ. ეტიენი | 33 | 9 | 9 | 15 | 24-38 | 36 |
| 18. ლე მანი | 33 | 7 | 7 | 19 | 31-51 | 28 |
| 19. ბულონი | 33 | 5 | 9 | 19 | 24-56 | 24 |
| 20. გრენობლი | 33 | 3 | 7 | 23 | 23-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - ნიანგი (მარსელი); 14 - გამეირო (ლორიანი), ნენე (მონაკო); 13 - ერდინგი (პსჟ), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 12 - ჟერვინიო (ლილი), ფრო (ლილი); 11 - ჟელენი (ოსერი), რემი (ნიცა); 10 - შამახი (ბორდო), მონტანიო (მონპელიე), ჰაჯი (ნანსი).

## ლიგა 2

## XXXIII ტური

**ვანი-ისტრი** 2:0

გოლები: 1:0 რესე (50), 2:0 კამარა (52)

**სტრასბური-დიჟონი** 3:1

გოლები: 1:0 ფოვერჟი (3), 2:0 გიე (35), 3:0 შიკიმიჩი (45), 3:1 რიბასი (71-პენ)

**სედანი-ლავალი** 0:0

**ბრესტი-ბასტია** 4:0

გოლები: 1:0 რუ (12), 2:0 რუ (70), 3:0 ლაურენტი (82), 4:0 სოკრიე (89)

**არლი-გენგამი** 1:1

გოლები: 1:0 აიევი (65), 1:1 ჟირესი (69)

**კლერმონი-მეცი** 2:0

გოლები: 1:0 არნო (51), 2:0 აკინი (69)

**შატორუ-ნანტი** 2:2

გოლები: 1:0 ბუენგო (18), 2:0 ბუენგო (33), 2:1 ჯარჯა (71), 2:2 ჯორჯევიჩი (86)

**ანჟერი-ტური** 0:1

გოლი: 0:1 ატიკი (87)

**კაენი-ნიმი** 0:0

**აიაჩო-ლე ავრი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 33 | 17 | 13 | 3 | 46-23 | 64 |
| 2. ბრესტი | 33 | 18 | 7 | 8 | 48-27 | 61 |
| 3. არლი | 33 | 13 | 11 | 9 | 39-35 | 50 |
| 4. მეცი | 33 | 12 | 13 | 8 | 38-35 | 49 |
| 5. კლერმონი | 33 | 13 | 8 | 12 | 41-35 | 47 |
| 6. ტური | 33 | 11 | 13 | 9 | 44-40 | 46 |
| 7. ნიმი | 33 | 12 | 10 | 11 | 33-38 | 46 |
| 8. ანჟერი | 33 | 12 | 9 | 12 | 39-39 | 45 |
| 9. ლავალი | 33 | 9 | 17 | 7 | 40-32 | 44 |
| 10. დიჟონი | 33 | 10 | 14 | 9 | 41-38 | 44 |
| 11. ლე ავრი | 32 | 12 | 8 | 12 | 37-40 | 44 |
| 12. სედანი | 33 | 9 | 15 | 9 | 40-39 | 42 |
| 13. ნანტი | 33 | 11 | 9 | 13 | 40-45 | 42 |
| 14. სტრასბური | 33 | 9 | 13 | 11 | 39-42 | 40 |
| 15. აიაჩო | 32 | 11 | 7 | 14 | 33-36 | 40 |
| 16. გენგამი | 33 | 7 | 15 | 11 | 29-34 | 36 |
| 17. ვანი | 33 | 8 | 12 | 13 | 33-44 | 36 |
| 18. შატორუ | 33 | 7 | 13 | 13 | 41-50 | 34 |
| 19. ისტრი | 33 | 8 | 10 | 15 | 28-47 | 34 |
| 20. ბასტია | 33 | 8 | 7 | 18 | 36-46 | 31 |

**ბომბარდირები:** 20 - ჟირუ (ტური); 18 - მოდესტე (ანჟერი); 14 - რუ (ბრესტი), რიბასი (დიჟონი); 13 - ანდრე (ბასტია); 12 - ფოვერჟი (სტრასბური); 11 - ბუენგო (შატორუ), დიალო (ლე ავრი); 10 - აიტე (ნიმი), ალარი (სედანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფსბურგი



ჟერარ ულიე მომავალი სეზონიდან ვოლფსბურგს გაწვრთნის

# გადანყვდა: ულიე მგლების თავკაცად!

## რას იზამს მარკუს ბაბელი?

გასული უქმეები გერმანიის მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგისთვის" ძალიან მძიმე აღმოჩნდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ „მგლებმა" ევროსაგზურებისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ვერდერთან" წააგეს (2:4 საკუთარ მოედანზე) და გარდა ამისა, კიდევ ერთმა კონკურენტმა, „შტუტგარტმა", „ლევერკუზენი" დაამარცხა. შედეგად, სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, „ვოლფსბურგს" ევროპის ლიგაში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსიღა შერჩა.

მიუხედავად ამისა, კლუბის მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** მთლად ცუდ ხასიათზე არ უნდა იყოს, რადგან, როგორც „კიკერი" იუწყება, ეს გამოცემა ცრუ ინფორმაციას არასდროს ავრცელებს, მან მომავალი სეზონისთვის მწვრთნელი იპოვა. ყველაზე ავტორიტეტული გერმანული სპორტული გამოცემა წერს, რომ დიტერ ჰიონესი უკვე ფაქტობრივად ყველაფერზე შეუთანხმდა მისთვის სასურველ კანდიდატს, 62 წლის **ჟერარ ულიეს** და მომავალი სეზონიდან „ვოლფსბურგს" სწორედ ეს უკანასკნელი გაწვრთნის. თუ „მგლები" ევროპის ლიგის საგზურს ამ სეზონში ვერ მოიპოვებენ, „ვოლფების" ევროპაში დაბრუნებისთვის გაისად ულიე იზრუნებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ ჟერარ ულიეს „ვოლფსბურგში" დანიშვნის ამბავი ოფიციალურად მაქსიმუმ მომავალ კვირაში დადასტურდება. „კიკერის" ცნობით, დიტერ ჰიონესი რამდენჯერმე შეხვდა ულიეს, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია და საბოლოოდ, მიზანს მიაღწია, ფრანგი დაითანხმა. გაირკვა ისიც, რომ ულიე „ვოლფსბურგს" იმ შემთხვევაშიც ჩაიბარებს, თუ გუნდი ევროპის ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს.

გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, ვინ იქნება ულიეს ასისტენტი. ჰიონესს უნდა, რომ ჟერარის მარჯვენა ხელი **მარკუს ბაბელი** იყოს, რომელმაც თავის მხრივ, ასევე დაადასტურა, რომ „ვოლფსბურგში" მუშაობით დაინტერესებულია. მაგრამ ბაბელი ჯერ მაინც ყოყმანობს – მას ურჩევნია, რომ სხვა კლუბში მთავარი მწვრთნელი გახდეს და ჯერჯერობით შეთავაზებებს ელოდება. გამორიცხული არაა, რომ ულიეს თანაშემწედ გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **კრისტიან ციგე** დაინიშნოს, რომელმაც ახლახან აიღო მწვრთნელის ლიცენზია და რომელიც, ბაბელის დარად, 2000/2001 წლებში, „ლივერპულში" სწორედ იმ დროს თამაშობდა, როცა მერსისაიდულ გრანდს ულიე წვრთნიდა. ჟერარი „ლივერპულს" 1998-დან 2004 წლამდე ავარჯიშებდა, 2005-დან 2007 წლამდე კი „ლიონის" მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

**გოტფრიდ ლენცი**

მწვრთნელი

# რანიერის შოუ, ანუ წარმატების ფორმულა

**RANIERI SHOW - სწორედ ასე დაასათაურეს ორშაბათის „გაძეტა დელო სპორტის" ერთ-ერთი წერილი. ალბათ ყველასთვის გასაგებია, რომ ლაპარაკია რომაულ დერბიზე და „ჯალოროსის" მართლაც უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაზე. ეს იყო თამაში, რომელმაც ნათლად გვიჩვენა, თუ ვინ არის „რომას" წარმატების მთავარი შემოქმედი. ცხადია, სინიორ კლაუდიო რანიერის ვგულისხმობთ...**

რომაული დერბი მშვიდ ვითარებაში ვის გაუგია, მაგრამ ასეთი დაძაბული და დრამატული პაექრობა მაინც რთულად გასახსენებელია. მატჩამდე „ლაციოს" თავკაცმა **ედოარდო რეიამ** ჟურნალისტებთან ბევრი იბაქიბუქა, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო და რა გამოვიდა ამ საქმისგან, ყველამ ვნახეთ, თუმცა ერთი კი ნამდვილად სწორი თქვა - დარწმუნებული ვარ, ისეთი დაძაბული დერბი იქნება, ბოლო ათი წელი რომ არ გამართულაო. რეიამ ყველაზე უკეთ იცოდა, თუ როგორი შემართებით ემზადებოდნენ მისი ფეხბურთელები ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი პაექრობისთვის.

„ლაციოსთვის" კვირას გამართულ დერბის მართლაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სატურნირო, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. გუნდმა სეზონი ჩააგდო და რეაბილიტაციისთვის მოსისხლე მტერზე გამარჯვება აუცილებელი იყო. ეს იყო ბოლო შანსი იმისა, რომ მიმდინარე სეზონში „ბიანკოჩელესტეს" გულშემატკივრებს ფეხბურთელებისთვის ოვაციები მოეწყოთ. ამად იყო რომ ეპიზოდებში რეიას შეგირდები უფრო მეომრებს გავდნენ და არა ფეხბურთელებს. მათ თვალებში ისეთი ცეცხლი ენთო, როგორც არასდროს და პირველ ტაიმში ამან გაამართლა კიდეც. მაგრამ, ყველაფერი ერთი ადამიანის გამჭრიახობამ და გონივრულმა გადაწყვეტილებებმა შეცვალა.

**კლაუდიო რანიერიმ** შემტევი სტრატეგია აირჩია და სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი ნომინალური თავდამსხმელი დააყენა: **ფრანჩესკო ტოტი, ლუკა ტონი, მირკო ვუჩინიჩი**. მართალია, ტოტის სიღრმიდანაც შეუძლია თამაში და კარიერის საწყის წლებში სწორედ პლეიმეიკერი იყო, მაგრამ ბოლო რამდენიმე სეზონია ცენტრფორვარდის პოზიციაზე ირჯება. ამჯერად, წინა ხაზზე ვუჩინიჩი და ტონი მოქმედებდნენ, ოდნავ უკან კი „პუპონე" თამაშობდა. ნახევარდაცვაში **დავიდ პისარო, სიმონე პეროტა** და **დანიელე დე როსი** ვიხილეთ, რაც ასევე იოლად პროგნოზირებადი იყო. რეიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ შემადგენლობას იოლად მოუძებნა სუსტი მხარე და შესაბამისი სტრატეგიაც შეიმუშავა - მისმა „ლაციომ" სისწრაფეზე გააკეთა აქცენტი და პრესინგზე, რომელიც მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე გაჩაღდა. ფრანჩესკო ტოტი ახალი გამოჯანმრთელებულია და ოპტიმალური ფორმისგან შორს არის, შესაბამისად, მას გაუჭირდა ასეთ სიმჭიდროვეში შესაძლებლობების დემონსტრირება. დანიელე დე როსი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ყველაზე ნაკლებად სწორედ მაღალი სისწრაფით და სხარტი მოძრაობებით გამოირჩევა. იგივე შეიძლება ითქვას ლუკა ტონიზე, რომელიც რიგ ეპიზოდებში იმდენად ტლანქი და მოუქნელი ჩანდა, რომ საქველმოქმედო შეხვედრაში მოასპარეზე ვეტერანი ფეხბურთელი გეგონებოდათ. ერთი სიტყვით, პირველ ნახევარში „რომა" მძიმედ გამოიყურებოდა და შედეგიც შესაბამისი მიიღო, 0:1.

აშკარა იყო, რომ რანიერის რაიმე უნდა ელონა, მან კი საუკეთესო გამოსავალი მონახა - მოძრაობაზე გააკეთა აქცენტი და მეტოქეს მთავარი კოზირი მოუსპო. ფრანჩესკო ტოტი და დანიელე დე როსი გაიყვანა მინდვრიდან და მათ ნაცვლად, თამაშში **როდრიგო ტადეი** და **ჟერემი მენეზი** ჩართო. სწორედ მათ შეიტანეს შეხვედრაში გარდატეხა და ფაქტობრივად, წაგებული თამაში შემოატრიალეს. მეორე ტაიმმა ნათლად დაგვანახვა, რომ „რომას" შესწევს სკუდეტოს მოპოვების ძალა - შეიძლება, ასეც ითქვას: „რომა" საჩემპიონო გუნდია. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ.

### ერთსულოვნება

როდესაც **მარჩელო ლიპის** დაეკითხნენ რანიერის მიერ გაწეულ სამუშაოზე, განაცხადა - მან მთავარი შეძლო, გუნდი ერთ მუშტად შეკრაო. ის, რომ „ჯალოროსი" ერთ მუშტად შეკრული, ერთი იდეის და მიზნის ქვეშ გაერთიანებული გუნდია, „ლაციოსთან" ჯახმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამ მხივ, ყველაზე უფრო საგულისხმო ტოტის და დე როსის საქციელი გახლდათ - მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელმა თამაშიდან გუნდის ორი უდავო ლიდერი მოხსნა, მათ ეს არ გაუპროტესტებიათ და შეხვედრის ბოლომდე, ერთგულად უქომაგეს თავისიანებს. მართლაც საინტერესო სანახავი იყო სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ორი ყველაზე გამორჩეული „რომანისტა", რომლებიც მთელი თავისი არსებით ჩართულნი იყვნენ თამაშში. დე როსი სულაც ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც **მირკო ვუჩინიჩს** გამათანაბრებელი გოლი მიულოცა



კლაუდიო რანიერი და რომას სპორტული დირექტორი ბრუნო კონტი დერბიში გამარჯვებას ზეიმობენ

და გადაეხვია. მატჩის მიწურულს, რანიერიმ მირკოც გამოცვალა და ეს უკანასკნელი სწორედ ტოტისა და დე როსისკენ გაემართა, სადაც მას გულთბილი დახვედრა გარანტირებული ჰქონდა.

შეიძლება იკითხოთ, ვინ არ გამოუცვლიათო, მაგრამ ტოტის და დე როსის შემთხვევა გამორჩეული გახლდათ. „რომა" სწორედ მას შემდეგ ათამაშდა, როდესაც მოედანი ფრანჩესკომ და დანიელემ დატოვეს, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ ეს ორი გამორჩეული ფეხბურთელი გუნდის თამაშს მხოლოდ დაღს ასვამდა. ასეთ დროს, ძნელია პირადზე მაღლა გუნდის ინტერესები დააყენო, თუმცა „ჯალოროსიში" ამ მხრივ ყველაფერი მართლაც სამაგილოთოდ ყოფილა და ეს უდავოდ კლაუდიო რანიერის დამსახურებაა.

აქვე, გავიხსენოთ ეპიზოდი, როდესაც ედუარდო რეიამ **ლიხტშტაინერი მაურო სარატეთი** შეცვალა და ამით შეტევის გაძლიერება სცადა. პრინციპში, ეს გამოუვიდა კიდეც, არგენტინელი აქტიურად ჩაერთო თამაშში, მაგრამ ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ - ვინც თამაშს უყურა, შეამჩნევდა როგორ დატოვა მოედანი ლიხტშტაინერმა, არც თანაგუნდელს გადაეხვია, მთავარ მწვრთნელს კი სულაც ხელი აუკრა და უკმაყოფილოდ დატოვა მოედანი. გასაგებია, რომ „ლაციო" აგებდა და ფეხბურთელები მთლად კარგ ხასიათზე არ იყვნენ, მაგრამ ზუსტად იმავე მდგომარეობაში გახლდნენ ტოტი და დე როსი, რომლებიც რადიკალურად განსხვავებულად მოიქცნენ.

### რეზერვი

დერბიმ ნათლად დაგვანახვა, რომ „რომას" საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს. „ჯალოროსის" თავკაცები მუდამ იმაზე წუწუნებდნენ, თუ ვინმე დაგვემტვრა, ღირსეული შემცვლელის პოვნა გვიჭირს და დიდ წარმატებებამდე სწორედ ეს გვაკლდებაო. სწორი მუშაობით და გნებავთ, სატრანსფერო პოლიტიკით, რანიერიმ შეძლო ის, რომ საჭიროების შემთხვევაში, თამაშში გარდატეხის შეტანა შეუძლია. ამ შემთხვევაში, ჟერემი მენეზით და როდრიგო ტადეით შეცვალა თამაშის რიტმი, თუმცა შეეძლო **ჟულიო ბაპტიშტაც** შეეყვანა მოედანზე. მაგალითად, „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი რანიერის ერთადერთ შეცდომად ტონის ბაპტიშტათი არშეცვლას მიიჩნევს - ლუკა ბევრს იბრძოდა და გარკვეულ ეტაპზე თავისი საქმე გააკეთა კიდეც, მაგრამ ბოლო ნახევარ საათში ბრაზილიელი ალბათ მართლაც უფრო ეფექტური იქნებოდა. ასეა თუ ისე, მთავარი სწორედ ის გახლავთ, რომ „რომას" საკადრო რეზერვი აქვს, რომელიც აუცილებელია მაღალი მიზნების მისაღწევად. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, რანიერიმ სწორედ შეცვლაზე შესული ფეხბურთელები შეაქო:

*„პირველი ტაიმი მეტად მძიმე გამოდგა, მეტოქემ პრესინგი შემოგვთავაზა და მოედნის თითოეულ მონაკვეთზე დიდი ბრძოლა გაგვიმართა. ამად იყო, რომ გაგვიჭირდა შესაძლებლობების დემონსტრირება და ტაიმი წავაგეთ კიდეც. საბედნიეროდ, სწორი შეცვლები გავაკეთე და მეორე ნახევარში თამაში საჩვენოდ შემოვატრიალეთ. მენეზმა და ტადეიმ ჩემი დავალებები პირნათლად შეასრულეს, რამაც მიგვიყვანა კიდეც ჩვენთვის სასურველ შედეგამდე. მთლიანად გუნდმა გამოავლინა მებრძოლი ხასიათი და მთავარი სწორედ ეს გახლავთ. რაც შეეხება გარდამტეხ მომენტს, ვფიქრობ, მაშინ შეგვესხა ფრთები, როდესაც მეტოქემ თერთმეტმეტრიანი გააცუდა. მეორე გოლი რომ გაგვეშვა, არარეალური ამოცანის წინაშე ვდგებოდით, ასე კი შანსი შევინარჩუნეთ და მეტოქის ნახევარზე დიდი ძალებით გადავედით".*

### მოტივაცია

ვერ ვიტყვით, რომ „ინტერისთვის" სკუდეტო ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობთ, „რომა" გაცილებით უფრო მოტივირებულია. „ნერაძურისგან" განსხვავებით, „ჯალოროსის" იმედები მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატს უკავშირდება. მართალია, რანიერის სამწყსო იტალიის თასისთვისაც იბრძვის, მაგრამ ეს უფრო დესერტია და არა გვგონია, რომელიმე მნიშვნელოვანი ტროფეის გარეშე მას დიდი ფასი ჰქონდეს. შესაბამისად, „რომა" მთლიანად სკუდეტოზეა კონცენტრირებული, მაშინ, როდესაც „ინტერი" ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვისაც იბრძვის. მართალია, მილანელები ამაზე ღიად არ საუბრობენ, მაგრამ სავარაუდოდ, მათთვის ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში ასპარეზობა პრიორიტეტულიც უნდა იყოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონტინენტის უძლიერესი გუნდის სტატუსს „ინტერი" თითქმის ნახევარი საუკუნეა არ დაუფლებია, სკუდეტოს კი აგერ უკვე მერამდენე წელია, მიჯრით იგებს.

ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდება სერია A-ს მიმდინარე ჩემპიონატი, „ინტერი" დიდი გუნდია და ასე იოლად არ დანებდება, მაგრამ ერთი ცხადია - ასეთი დაძაბული ფინიში კალჩოს იმიჯს ნამდვილად წაადგება. „კალჩოპოლზე" წერას და საუბარს, აშკარად სერია A-ს ბატალიებზე ბჭობა ჯობია.

**ლაშა წიკლაური**

ვერდიქტი

# მუტუს ცხრა თვე

იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა **ადრიან მუტუს** 9-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუმინელი ფორვარდი საყვარელ საქმიანობას ამა წლის 29 ოქტომბერს დაუბრუნდება.

როგორც იცით, მუტუ დოპინგ ტესტზე ჩავარდა და კარიერაში მეორედ მიიღო ხანგრძლივვადიანი დისკვალიფიკაცია. აპენინელი ჟურნალისტების ვარაუდით, ასეთი მძიმე სასჯელი ადრიანს „ფიორენტინას" დატოვებად დაუჯდება. ფლორენციული კლუბის მესვეურები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ, სამაგიეროდ, **ჩეზარე პრანდელიმ** მოისურვა ჟურნალისტებთან გასაუბრება და შემდეგი განაცხადა:

*„მუტუ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, ძირითადად მის გარეშე გვიწევს ფონს გასვლა. ჯერ ტრავმა ჰქონდა, რომლის მკურნალობამაც დიდი დრო წაიღო, შემდეგ კი დოპინგ ტესტზე ჩავარდა და კვლავ ჩამოშორდა ფეხბურთს. როგორც ვიცი, არ იცოდა იმის შესახებ, რომ აკრძალულ პრეპარატს იღებდა და მინდა, მჯეროდეს ამის. ნებისმიერ შემთხვევაში, წარმატებებს ვუსურვებ, იმედია, მასთან მუშაობის საშუალება კიდევ მომეცემა".*

**ლაშა წიკლაური**



ადრიან მუტუ განაჩენის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი

# გაურკვევლობა გრძელდება

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ვენაში, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება გუშინ საღამოს ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული. შესაძლოა, ახლა, როცა თქვენ ამ სტრიქონებს კითხულობთ, ისინი უკვე ავსტრიაშიც იყვნენ ან იქით მიმავალ გზაზე მაინც. ნაკრები ღამით აეროპორტში მაინც აპირებდა მისვლას იმ დროს, როცა ევროპისკენ რეისებია დაგეგმილი, სავარაუდოდ, ჰპირდებოდნენ, ეგებ, იყოს ფრენებიო, დაზუსტებულ პასუხს ვერავინ იძლეოდა.

ფრენების შეფერხების მიზეზი ყველამ იცით - ისლანდიაში ამოფრქვეული ვულკანის ფერფლმა მთელი ევროპის საჰაერო სივრცე დაფარა და აეროპორტები დახურულია. თუმცა ბოლო დღეებში მდგომარეობა გამოსწორდა. ვენის აეროპორტიდან გუშინ საღამოს თვითმფრინავები გაფრინდნენ დნეპროპეტროვსკსა და სტამბოლში. გუშინდელი საღამოს მონაცემებით, ვენა-თბილისის რეისი გაუქმებული არ იყო, რასაც ვერ ვიტყვით პარიზსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქებზე.

ამდენად, წუხელ ვენის რეისით გაფრენის შანსი რჩებოდა, მაგრამ თუ ჩვენი ნაკრები თბილისის აეროპორტიდან მაინც ვერ გაფრინდებოდა, მაშინ დღეს უკვე ალტერნატიული გზების ძიებას დაიწყებდნენ კიევის, მინსკის ან სხვა რომელიმე აღმოსავლეთევროპული ქვეყნიდან. თუმცა ულრუბლო ცა არც აქაა - უკვე წუხელ საღამოს ისლანდიიდან დაძრულმა ფერფლმა აღმოსავლეთ ევროპაში გადმოინაცვლა და კავკასიონის მთებამდეც მოაღწია. ამ პირობებში იქნებ ყველაზე რეალური ისევ თურქეთიდან გამგზავრება იყოს.

იმედია, პრობლემა ჩვენს სასიკეთოდ გადაიჭრება, თორემ ორგანიზატორები ევროპის ჩემპიონატის გადატანას არ აპირებენ. ჩვენი ნაკრები ტურნირზე ასეთი შემადგენლობით აპირებს გამოსვლას: **დავით ასუმბანი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ზაზა კედელაშვილი** (73), **ლევან ნიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100).

ეს შვიდეული 22-24 აპრილს ევროპის პირად პირველობაში იჭიდავებს, მაგრამ იქ 25 აპრილს გუნდური ჩემპიონატიც ტარდება პრინციპით „კედელი-კედელზე“. ოღონდ იქ ხუთი წონითი კატეგორიაა - 66, 73, 81, 90 და +90. დასახელებული შვიდეული ამ ტურნირშიც იჭიდავებს, ოღონდ მათ მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანიც** დაემატება, რომელიც ნაკრების თავკაც **ამირან ტოტიკაშვილს** საგანგებოდ გუნდური პირველობისთვის მიჰყავს.

ირაკლი თავაძე

# დურმიშხან ბერუაშვილის ტურნირი

ცნობილი ფალავნის, დურმიშხან ბერუაშვილის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი გორში შემოდგომით იმართებოდა, ამიერიდან კი, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, გაზაფხულზე, ამ სახელოვანი ათლეტის დაბადების დღეს ჩატარდება. 17 აპრილს დურმიშხან ბერუაშვილი 75 წლისა გახდებოდა. გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში თავი მოიყარეს საგარეჯოს, ბორჯომის, კასპის, ხაშურის, ქარელის, სამაჩაბლოს, გორის (ორი), თბილისის (სამი) სპორტსკოლების წარმომადგენლებმა და ბაქოდან ჩამოსულმა სტუმრებმა. გამორჩეულად კარგად იჭიდავეს გორელმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები **ირაკლი ცირეკიძე, ლაშა გუჯეჯიანი, გრიგოლ მამრიკიშვილი** და **მინდია ბოდაველი** ესწრებოდნენ და გამარჯვებულთა დაჯილდოებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

**პპარისხლზეპი**

**50 კგ:** 1. აკაკი შენგელია (ბორჯომი), 2. გიორგი თამლიანი, 3. ლევან ორმოცაძე (ორივე — თბ. „შევარდენი“) და ლაშა ჩადუნელი (ხაშური.)

**55 კგ:** 1. გიგა აფაქიძე, 2. გიორგი გორგაძე (ორივე – „შევარდენი“), 3. ზეზვა ახალკაცი და მინდია ლოლიჯაშვილი (ორივე - გორი).

**60 კგ:** 1. გიგა ხორბალაძე (გორი), 2. გურამ მათიაშვილი 3. თენგიზ მუსელიანი (ორივე – „შევარდენი“) და ანზორ კევლიშვილი (ბორჯომი).

**66 კგ:** 1. ლევან გურჩიანი (საგარეჯო), 2. თენგო ბაჭაძე, 3. ლევან ტერმაკოზაშვილი და ბექა ავაზნელი (სამივე - გორი).

**73 კგ:** 1. ბექა ლვინიაშვილი, 2. ვანო კობალაძე, 3. ბექა ავაზნელი (სამივე - გორი) და საბა ბეღელური („შევარდენი“).

**81 კგ:** 1. გიორგი გოგინაშვილი, 2. ზაზა ჭილლაძე, 3. გიორგი შატაკიშვილი (სამივე - გორი) და გიორგი მაჭარაშვილი (ხაშური).

**90 კგ:** 1. დათო ბურდული (კასპი), 2. დავით ჩოფური (თბ. დილომი), 3. ბაქარ მაზიაშვილი (გორი) და რობერტ ბზიშვილი („შევარდენი“).

**+ 90 კგ:** 1. გიგა თაყაძე (გორი), 2. ლევან ნაკვეთური („შევარდენი“), 3. გიორგი გელაშვილი და ბექა მჭედლიძე (ორივე - გორი).

შენიშვნა: 66 და 73 კგ. წონით კატეგორიაში მესამე პრიზიორი ბექა ავაზნელი ერთი და იგივე სპორტსმენი არ არის (ავტ.)

ვასილ ბალახაძე
გორიდან
ავტორის ფოტო



აჯილდოებს დურმიშხანის ძმა სიმონ ბერუაშვილი

წყალბურთი



მარცხნიდან: რევაზ ჩომახიძე, ალექსანდრე ბითაძე, გია ნაცვლიშვილი, არჩილ გეგენავა

# ევროპასაც ინტერესი გავუჩინეთ

წლეულს აგვისტოში შტუტგარტი 1993 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის დასკვნით ეტაპს უმასპინძლებს. 16 გუნდს შორის იქნება საქართველოს ნაკრები, რომელმაც გორჟუფის საკვალიფიკაციო რაუნდში მესამე ადგილი დაიკავა და ფინალის საგზური დაიმსახურა.

სწორედ, ახალგაზრდა წყალბურთელების პოლონურ წარმატებას მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში პრესკონფერენცია, რომელსაც სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, გენერალური მდივანი, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ალექსანდე ბითაძე**, პარლამენტარი **არჩილ გეგენავა** და ჩვიდმეტწლიანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჩომახიძე** უძღვებოდნენ.

*„ახალგაზრდა წყალბურთელთა ფინალში გასვლა იმის დასტურია, რომ სპორტის ამ სახეობის განვითარებასთან დაკავშირებით სწორი სტრატეგია ავირჩიეთ. შევქმენით ეროვნული გუნდი და სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ნაკრები. ერთ-ერთმა უკვე გვასახელა.*

*ქვეყნის უპირველესი გუნდის გასაძლიერებლად იძულებული ვიყავით, რამდენიმე წყალბურთელი უცხოეთიდან ჩამოგვეყვანა. მომავალში სწორედ ამ ბიჭებმა უნდა შეძლონ მათი ჩანაცვლება. ჩვენ იმედით შევყურებთ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპს. არ ვიცი, რამდენად გაგვიმართლებს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ 2016 წლის რიოს ოლიმპიადისთვის სერიოზული, კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება. მაისის პირველ დეკადაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე რეკონსტრუირებული საწყლოსნო კომპლექსი გაიხსნება, სადაც ქართველ წყალბურთელებს შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად საკმაოდ კარგი პირობები ექნებათ“,* — აღნიშნა გია ნაცვლიშვილმა და ახალგაზრდა სპორტსმენებს წარმატება მიულოცა.

შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა პოლონეთის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტზე ინგლისელებს სძლიეს, სლოვაკებთან დამარცხდნენ და ბელარუსებთან მატჩი ფრედ დაამთავრეს. გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძლებს აჯობეს და შტუტგარტში გასამგზავრებელი ბილეთებიც დაიბევეს.

*„ექვს თვეში ისეთი გუნდის მომზადება, რომელიც საკვალიფიკაციო ბარიერს გადალახავდა, არარეალურად მიმაჩნდა, მაგრამ წყალბურთელებისა და მწვრთნელების თავდადებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ბიჭებს გამგზავრების წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაულოცა პოლონეთისკენ მიმავალი გზა. მათაც პირობა პირნათლად შეასრულეს.*

*წინ უფრო რთული პაექრობები ელით: დასკვნითი ეტაპის ჯგუფურ ტურნირში სერბეთს, სლოვაკეთსა და საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. ფინალში მათ საპრიზო ადგილებზე გასვლას არავინ უგეგმავს, რადგან ეს არარეალურია. მთავარია, ძალა და ენერგია არ დაიშურონ. ამ გუნდში არიან პერსპექტიული წყალბურთლები, რომლებსაც უახლოეს მომავალში ეროვნული ნაკრების სპორტული ღირსების დაცვაც შეეძლებათ.*

*რადგან ნაკრები ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ თბილისის რეკონსტრუირებულ საცურაო აუზში 19-21 მაისს საერთაშორისო ტურნირი გაიმართება ოთხი გუნდის მონაწილეობით: შეჯიბრების დღეებში თბილისს ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ლუქსემბურგელი თავკაცი, ლენ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ნორი კრუშტენი ეწვევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი საქმიანობით ევროპაც დავაინტერესეთ“,* — გვითხრა ბატონმა ალექსანდრე ბითაძემ.

პრესკონფერენციის შემდეგ კი რევაზ ჩომახიძეს გავესაუბრეთ:

— გორჟუფში მიღწეული შედეგით კმაყოფილი ვარ — შეგირდებმა მაქსიმალურად შეასრულეს მწვრთნელთა მითითებები. ინგლისელები ტურნირზე ერთ-ერთ ფავორიტად მიაჩნდათ, ჩვენთან დამარცხების შემდეგ კი საერთოდ გამოეთიშნენ შტუტგარტის საგზურისთვის ბრძოლას.

— **სლოვაკებთან დიდი ანგარიშით წაგების მიზეზი რა იყო?**

— ჩვენი მომზადების დონე საკმაოდ განსხვავებულია. კონკრეტულად სწორედ ეს მატჩია იმის მაჩვენებელი, თუ რა განსხვავებაა დღევანდელ ქართულ და ევროპულ წყალბურთს შორის. ალალად უნდა ვაღიაროთ, ჯერჯერობით მზად არ ვართ, მოწინავე საწყალბურთო ქვეყნების წარმომადგენლებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ. თუმცა, რაც შევძელით, ნამდვილად საამაყოა. რადგან ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს სულ რაღაც ექვსთვიანი ისტორია აქვს. რეალისტები ვართ და გულშემატკივრებს შტუტგარტის ფინალში განსაკუთრებულ შედეგებს ვერ შევპირდებით, მაგრამ ვეცდებით, დარჩენილ ოთხ თვეში თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ, ოსტატობა ავიმაღლოთ. უბრძოლველად არავის არაფერს დავუთმობთ.

ვაჟა დანელია
ავორის ფოტო

ფრენბურთი

# ჩხუბით დასრულდა

| | |
|---|---|
| ჯიკო-თბილისი | 1:3 |
| 25:22, 19:25, 13:25, 20:25 | |
| ბათუმი-ქუთაისი | 3:0 |
| 25:16, 25:7, 25:15 | |
| თბილისი 2-დუშეთი | 3:0 |
| (ტექნიკური მოგება) | |

ნახევარფინალი. 28 აპრილი.
ქუთაისის სპორტის სასახლე.
თბილისი-ბოლნისი
ჯიკო-ბათუმი




დასრულდა ქალ ფრენბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები, რომელთაც დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის სპორტული დარბაზი მასპინძლობდა. ნახევარფინალისტების ვინაობა ბოლო მატჩებამდე გახდა ცნობილი, პლეი ოფში „თბილისი“, „ჯიკო“, „ბათუმი“ და „ბოლნისი“ გავიდნენ. „დუშეთი“, „თბილისი-2“ და „ქუთაისი“ კი ასპარეზობას გამოეთიშნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტურის დასკვნითი მატჩისთვის ყველაფერი გარკვეული იყო, ჩემპიონატის ფავორიტებისა და პრინციპული მეტოქეების, დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“ და „თბილისის“ შეხვედრამ მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი ბოლომდე გაივსო. საქართველოს ზედიზედ რვაგზის ჩემპიონ „ჯიკოს“, რომელმაც დედაქალაქში „თბილისთან“ 0:3 დათმო, რევანში ენადა, არანაკლები მოტივაცია ჰქონდათ თბილისელებს, რომლებიც აგერ უკვე მეცხრე წელიწადია, ცდილობენ იმერელთა „ჰეგემონიის დამხობას“. „ჯიკოს“ ამ მატჩში რომც მოეგო, რეგულარულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე მაინც „თბილისი“ გავიდოდა, რადგან დედაქალაქელებს მოგებული სეტების მიხედვით უკეთესი კოეფიციენტი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, შეხვედრამ ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა. თუმცა მოხდა უსიამოვნო ინციდენტიც...

თამაშის დებიუტშივე გამოჩნდა, რომ მეტოქეები ერთმანეთისთვის არაფრის დათმობას აპირებდნენ. თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. დაძაბული პირველი სეტი „ჯიკოს“ სასარგებლოდ (25:22) დასრულდა და ვიფიქრეთ, რომ გამოცდილი ჯიხაიშელები „თბილისს“ საბოლოოდ გატეხდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა... დედაქალაქელები შესანიშნავად ათამაშდნენ. **სტურუა**, რომელიც ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩევა, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა, მის შესანიშნავ გადაცემებს კი **კაზარიანი** და **ზადინენჩენკო** აგვირგვინებდნენ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის თამაში უნდა გამოვყოთ, რომელიც ისე „დაფრინავდა“, რომ ჯიხაიშელებმა მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. მეორე სეტის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 1:1. მესამე პერიოდი თბილისელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. დედაქალაქელებს 13:4 მიჰყავდათ ანგარიში, როცა მსაჯობით უკმაყოფილო გულშემატკივარი მსაჯის კოშკურასთან მიიჭრა, მსაჯებს თბილისელთა ერთ-ერთი მწვრთნელი **ფელიქს სუქიაზოვი** გამოესარჩლა, მოედანი გადაკვეთა, გულშემატკივარს მივარდა და მისი მოედნიდან გაგდება სცადა, ამის დანახვაზე მწვრთნელს სხვა გულშემატკივრები შემოეხვივნენ და თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. ბოლოს, სამართალდამცავების ჩარევით მოხერხდა მდგომარეობის განმუხტვა და შეხვედრაც განახლდა. „თბილისმა“ მატჩი იმავე ტემპში გააგრძელა, როგორც დაიწყო და მეორე სეტში იოლი გამარჯვება - 25:13 მოიპოვა. ჯიხაიშელები უკვე მორალურად გატეხილნი ჩანდნენ და ეს მათ თამაშსაც დაეტყო. გამოცდილი ფრენბურთელები ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ, რითაც მათი მეტოქე შესანიშნავად სარგებლობდა. ბოლო სეტში ზადინენჩენკომ კიდევ ერთხელ „აინყვიტა“, თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და შეხვედრაც „თბილისის“ გამარჯვებით დასრულდა–3:1.

„თბილისი“ ნახევარფინალში მეოთხეადგილოსან „ბოლნისს“ დაუპირისპირდება. „ჯიკოს“ კი „ბათუმის“ სახით გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება.

ბათუმელები ბოლო შეხვედრაში „ქუთაისს“ დაუპირისპირდნენ და იოლად გაიმარჯვეს (3:0). რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს კიდევ ერთი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ „დუშეთის“ გამოუცხადებლობის გამო „თბილისი-2“-ს ტექნიკური მოგება (3:0) ჩაეთვალა.

ნახევარფინალურ შეხვედრებს 28 აპრილს ქუთაისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. 29 აპრილს კი ქუთაისშივე ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის გაიმართება.

დავით კოხრეიძე
დიდი ჯიხაიშიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოსპორტი

# ფედერაციის თავკაცი არ ხუმრობს...



**„რუსთავი 2-ის“ იუმორისტული პროგრამების სცენარისტი და მსახიობი ნიკოლოზ გრიგოლია რამდენიმე თვის წინათ საქართველოს მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. დღეს იგი „ლელოს“ სტუმარია.**

- ბავშვობიდან ფეხბურთი, ჭიდაობა, ფარიკაობა, ცურვა მიტაცებდა, მაგრამ ჩემგან სპორტსმენი ვერ დადგა. ყველაზე მეტად ფარიკაობა მაინტერესებდა, მაგრამ დაშნა ხელში არასოდეს მჭერია - ზესტაფონში მწვრთნელები ფარიკაობის ნაცვლად ფეხბურთს გვათამაშებდნენ.

**- მოტოციკლის სიყვარულიც ბავშვობიდან მოგყვებათ?**

- ძალიან მინდოდა მოტოციკლი მყოლოდა. ოცნება დაახლოებით 20 წლისამ ავისრულე. მას შემდეგ სულ ერთად ვართ. ყოველ შაბათს ან კვირას, თუ საშუალება გვეძლევა, მე და ჩემი მეგობრები ტყეში გავდივართ. ვეძებთ ტალახს და რთული გზების დასალაშქრად მივძვრებით. ზამთარიც ხელსაყრელია, აი, წვიმას კი ვერ ვიტანთ.

**- წარმოიდგენდით, რომ ფედერაციის პრეზიდენტი გახდებოდით?**

- არც მიოცნებია, ვინმეს რომ ეთქვა, ხუმრობად ჩავთვლიდი. უფროსი მოტომოყვარულებისგან ბევრი რამ ვისწავლე. ფედერაციის აღდგენაც მათი იდეა იყო. ძველების უმრავლესობა საზღვარგარეთ წავიდა. შევიკრიბეთ და ფედერაციის პრეზიდენტად მე ამირჩიეს.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ახალგაზრდობის დაინტერესებას?**

- შევეცდებით, მთელი საქართველო მოვიცვათ. ჩვენი მიზანია, მოტოციკლის მართვა ახალგაზრდობისთვის მხოლოდ გართობის საშუალება კი არა, უსაფრთხოებასა და პროფესიონალიზმთან ასოცირებულიც იყოს. ვისაც სურვილი აქვს, ფედერაციის კარი ყველასთვის ღიაა.

**- პირველ შეჯიბრებას როდის ჩაატარებთ?**

- ვაპირებდით ჩატარებას, მაგრამ გადავდეთ, რადგან გვინდა, ტურნირის ორგანიზაციული მხარე უფრო დახვეწილი იყოს. კარგად გვესმის, რომ შეჯიბრება საზოგადოების წინაშე წარდგენის კარგი საშუალებაა. ამიტომ მონდომებით მოვემზადეთ. პროგრამაშია ენდურო, სუპერ ბაიკი და სკუტერები. მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია, თუმცა მათ შეჯიბრების მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ.

**- რა მოთხოვნებზეა ლაპარაკი?**

- აუცილებელია მართვის მოწმობა, მოტოციკლები კი გამართული უნდა იყოს. აქტიურად ვთანამშრომლობთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან. მათთან შეთანხმებით მომავალში არაერთ შეჯიბრებას ჩავატარებთ.

**- საერთაშორისო ფედერაციასთან თუ გაქვთ ურთიერთობა...**

- ვეკონტაქტებით. ჩვენი გეგმების შესახებ ყველაფერი იციან. ამ ეტაპზე მათი ფინანსური მხარდაჭერა არ გვჭირდება. საქართველოში არიან კომპანიები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი დახმარება, ჩვენ გვერდით დგომა მათთვისაც მომგებიანია.

**- პირველ შეჯიბრებას ვგეგმავთო, თქვით. მონაწილეობას ხომ არ აპირებთ?**

- ოფიციალურ შეჯიბრებაში არასდროს გამოვსულვარ. ფედერაციის წევრების უმრავლესობა აპირებს. შეიძლება, მეც ვცადო ბედი. წესდება არ მიკრძალავს. მთავარია, საორგანიზაციო საკითხებისგან მოვიცალო.

**- საკმაოდ რისკიანი საქმისთვის მოგიკიდიათ ხელი...**

- სპორტის ეს სახეობა რისკს ნამდვილად შეიცავს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დაცემა მოსწონდეს. მოტო სახიფათო ტრანსპორტია. ქალაქში მოძრაობა ბევრად რთულია, ვიდრე ტყეში...

**- სულ ტყეში ხომ არ ივლით?**

- ფედერაციის მიზანი ისიცაა, მოტოთი მოძრაობა ქალაქში მაქსიმალურად უსაფრთხო გახდეს. სხვას არ უნდა შეუქმნა პრობლემები. დღეს ქალაქში მოძრაობისას მოტოს გამოჩენის მოლოდინი არ არის და ვინმესთვის მოულოდნელად შენც არ უნდა გამოძვრე. ისე უნდა იარო, ყველა გამჩნევდეს. აუცილებელია აქსესუარები. ჩაფხუტის ტარებას კანონი გავალდებულებს.

**- გამოდის, ქალაქში უფრო ექსტრიმი, ვიდრე... ტყეში...**

- ორივეგან, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული. ოღონდ ეგაა, საფრთხე ქუჩაში მეტია.

**- სპეციალური ტრასების მოწყობაზე არ ფიქრობთ?..**

- როგორ არა. საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, მაგრამ არის ისეთი სახეობები, სპეციალური ტრასა რომ სჭირდება. უახლოეს მომავალში ალბათ ვერა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით ამ საკითხს უთუოდ მოვაგვარებთ.

**სალომე ხარატიშვილი**

მოკლედ...

კრივი

## ცისკარიშვილი ოთხი წლით

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა. დელეგატებმა ფედერაციის პრეზიდენტად **პეტრე ცისკარიშვილი** მეორე ვადით ერთხმად აირჩიეს.

ცისკარიშვილი, რომელიც ქართულ კრივს სათავეში 2006 წელს ჩაუდგა, ამ თანამდებობაზე კვლავ ოთხი წლის ვადით იმუშავებს. ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტი შეინარჩუნა **ვლადიმერ ახალკაცმა**, ვიცე-პრეზიდენტებად კი **შალვა გოგოლაძე**, **გიორგი კოდუა**, **დავით წიკლაური** და **ჯემალ რაზმაძე** აირჩიეს. ამ უკანასკნელის გარდა, დანარჩენ სამ ვიცე-პრეზიდენტს ეს თანამდებობა აქამდეც ეკავათ.

ყრილობას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, მისი მოადგილეები, **გია გალდავა** და **ირაკლი სამყურაშვილი**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე** და სომხეთის კრივის ფედერაციის წარმომადგენლები.

ბეისბოლი

## ამერიკელებს ვძლიეთ

საქართველოს ახალგაზრდა ბეისბოლისტთა ნაკრების გამარჯვებით დასრულდა ამხანაგური მატჩი, რომელშიც ისინი ამერიკელი სამხედროებისა და საელჩოს თანამშრომლებით დაკომპლექტებულ გუნდს შეხვდნენ. თამაში **ნუგზარ კაპანაძის** გუნდმა დიდი სხვაობით, 11:4 მოიგო. მატჩი თავიდან თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლოს ქართველებმა იმძლავრეს და სოლიდურ უპირატესობასაც მიაღწიეს. სპორტის აკადემიის მოედანზე გამართულ შეხვედრას ასამდე გულშემატკივარი დაესწრო. ქართველთა და ამერიკელთა ამხანაგური მატჩი, სავარაუდოდ, მაისშიც გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტყვიის სროლა — მსოფლიოს თასი

# პეკინში მიზანს ააცილეს

**ნინო სალუქვაძემ** უშედეგოდ დაიწყო გამოსვლა პეკინში მიმდინარე მსოფლიოს თასზე. გუშინ ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპორტული პისტოლეტით სროლაში იასპარეზა, ფინალშიც შევიდა და საბოლოოდ მერვე ადგილზე დარჩა.

სალუქვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი 582 ქულით დაამთავრა, რაც არც მისთვისაა მაინცდამაინც გამორჩეული შედეგი და აქაც მეხუთე მაჩვენებელი აღმოჩნდა. შესარჩევი 585 ქულით **იინგ-იინგ ჭანგმა** მოიგო. მას ქულით ჩამორჩა მონღოლი **მუნკზულ ჩოგბადრანი**, 583-383 ქულა კი კიდევ ერთმა მონღოლმა, ოღონდ უკვე გერმანიის მოქალაქე მსოფლიოს ჩემპიონმა **მუნკბაიარ დორჯსურენმა** და ჩინელმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა **ვენჯუნ გუომ** დააგროვეს. სალუქვაძის დარად 582 დააგროვა ბულგარელმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მარია გროზდევამ**, ფინალურ ოქტეტს კი 581 ქულით აზერბაიჯანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ირადა აშუმოვა** და წარმოშობით ბელარუსი, ამჟამად კი ავსტრალიის მოქალაქე, მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი **ლოლიტა იევლევსკაია** აბოლოვებდნენ.

ფინალში მოვლენები ჩვენთვის არცთუ სასიამოვნოდ განვითარდა. სამწუხაროდ, სალუქვაძემ ტემპი ველარ შეინარჩუნა და ძალიან დაბალი შედეგი აჩვენა - 197 ქულა. მან მეორე სერიაში მეორე გასროლაზე წაიფორხილა, თორემ სხვა შემთხვევებში მონწოდების სიმაღლეზე იყო. თუმც ისიცაა, რომ ფინალური ეტაპის პირველი ორი სერია ბევრად უფრო მაღალ დონეზე ჩაატარა, ვიდრე - მომდევნო ორი, როცა ცხრიანები მოუმრავლდა.

არ ვიცით, რა იყო მისი ასეთი გამოსვლის მიზეზი, მაგრამ ფინალში მას ყველამ გაუსწრო. თანაც, 200-ქულიან მიჯნას ყველამ გადააბიჯა. საბოლოოდ ჩვენებურმა ჯამში 779 ქულა დააგროვა და მერვეზე დარჩა. ტურნირის ჩემპიონი დორჯსურენი გახდა, ვერცხლი იევლევსკაიამ მოიპოვა, ბრინჯაო - ჭანგმა.

გუშინვე პეკინის ოლიმპიურ სასროლეთზე სალუქვაძის პირადი მოსწავლე **ლევან ქადაგიძეც** გამოვიდა და, ადრინდელთან შედარებით, ბევრად უკეთ. მან 534 ქულა დააგროვა, რაც მისთვის კარგი შედეგია. ახლა კონკურენტთა ბევრად სოლიდური ჯგუფიც ჩამოიტოვა უკან - 60 მონაწილეს შორის 46-ე ადგილზე გავიდა. ის ყველაზე უკეთ მეხუთე სერიაში გამოვიდა, სადაც ათიდან პირველი ხუთი გასროლა ათიანში გაარტყა, სულ კი ამ სერიაში ექვსი ათიანი, სამი ცხრიანი მიითვალა და მხოლოდ ერთხელ გაარტყა შვიდიანში, სერია კი 94 ქულით დაასრულა.

ქადაგიძე დღესაც ისვრის - ამჯერად სპორტული პისტოლეტით, სალუქვაძე კი ამავე დისციპლინაში ხვალ გამოვა. იმედია, ჩვენებურები ამჯერად მეტი წარმატებით ისვრიან.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ჩვენი მსროლელებისთვის მსოფლიოს თასის პირველი ეტაპია მიმდინარე სეზონში - მარტში სიდნეიში გამართული ანალოგიური ეტაპი გამოტოვეს, აი, დარჩენილ ორ ტურნირში - ამერიკულ ფორტ ბენინგსა და ბელგრადში კი აუცილებლად გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

მეკლდეურობა



ნუცა ხუციშვილი



გუგა დაბრუნდაშვილი



თამუნა მელაძე

# სეზონი დაიწყეს...

ირაკლი გელდიაშვილის 26-ე მემორიალით გახსნეს წლევანდელი სეზონი საქართველოს მეკლდეურებმა. მას შემდეგ, რაც ხელოვნურ კედელზეც დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება, სპორტის ამ მამაცური სახეობის პოპულარობა მთელ მსოფლიოში გაიზარდა. ასეა ჩვენშიც, ზემოაღნიშნულ ასპარეზობაზე მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი — თბილისიდან (ორი გუნდი), მესტიიდან, ლენტეხიდან, სტეფანწმინდიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან. ცალკე ორი ნაკრები გამოიყვანა საქართველოს ეროვნულმა ფედერაციამ. ამ ფედერაციის პრეზიდენტად ამას წინათ ცნობილი სპორტული მუშაკი **გიორგი უდესიანი** აირჩიეს და წლის პირველ ასპარეზობას უკვე დაეტყო მისი ხელი - შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვლინდნენ ფინალისტები, საბოლოოდ კი ადგილები ასე განაწილდა:

**რთული ცოცვა. გოგონები.** 1. თამარ მელაძე, 2. ანა დულარიძე (ორივე — მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია), 3. სოფო მიმინოშვილი (თბილისი); **ვაჟები.** 1. გუგა დაბრუნდაშვილი, 2. ოთარ მაისურაძე, 3. ერეკლე მიქელაძე (სამივე — მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია).

**სწრაფი ცოცვა. გოგონები.** 1. ნუცა ხუციშვილი (თბილისი), 2. სოფო მიმინოშვილი, 3. მარიანა იოსელიანი (მესტია); **ვაჟები.** 1. გუგა დაბრუნდაშვილი, 2. გურამ გაზდელიანი (ლენტეხი), 3. ერეკლე მიქელაძე.

მომდევნო შეჯიბრება უძლიერესთა მონაწილეობით კვლავ თბილისში, მერიის თაოსნობით, სპორტის დეპარტამენტის დარბაზში გაიმართება მაისის პირველ დეკადაში. აქვე ვიტყვით, რომ დეპარტამენტმა მესტიის სპორტკომპლექსში უკვე დაიწყო ხელოვნური კედლის მოწყობა, სადაც მიხეილ ხერგიანის მემორიალი ჩატარდება. ასეთი თანამედროვე საასპარეზო სხვაგანაც იგეგმება, სადაც მეკლდეურობა განვითარებულია.

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ. პირველად გათამაშდა ი. გელდიაშვილის გარდამავალი თასი, რომელიც ორივე სახეობაში გამარჯვებულ გუგა დაბრუნდაშვილს გადაეცა.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



მანუჩარ მარკოიშვილი




ვიქტორ სანიკიძე

# არაკი მფრინავ სანიკიძეზე

## კანტუს მოულოდნელი...

შაბათს შემოგთავაზეთ **ვიქტორ სანიკიძის** ინტერვიუ, რომელშიც იგი იტალიის ჩემპიონატის გუნდებს მიზნების მიხედვით სამად ახარისხებდა: ერთნი ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ირჯებიან, მეორენი - პლეი ოფში მოსახვედრად, ხოლო მესამე კატეგორიას მეოთხედფინალში თამაში გარანტირებული აქვს და ზედა ოთხეულში დასამკვიდრებლად იბრძვის. ამ უკანასკნელთა შორის არიან **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" და ვიქტორ სანიკიძის „ვირტუსი".

■ ■ ■

ერთი კვირის წინ ბოლონიელთა ძლევის შემდეგ კანტუელებს მეორე ადგილზე დამკვიდრების კარგი შანსი ჰქონდათ. ამისთვის მათ საშინაო მატჩში ბოლოადგილოსანი „ფერარა" უნდა დაემარცხებინათ, თუმცა მანუს თანაგუნდელები ზედიზედ 6 მოგების შემდეგ მოედანზე მეტად თავდაჯერებულები გავიდნენ და დაისაჯნენ კიდეც - „ფერარამ" კანტუში პირველივე მეოთხედში მოიპოვა უპირატესობა (17:11) და მატჩი ისე ჩაამთავრა, რომ მასპინძელთათვის ანგარიშის გათანაბრების უფლებაც არ მიუცია - 76:64.

ფერარელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, თუმცა ზედიზედ ორი იერიში მანუჩარმა სამქულიანებით დააგვირგვინა და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა (32:36).

მანუს მეტი სამიანი არ უსვრია. 2-დან 2 შორეულ ტყორცნას მან 5-დან 3 ორქულიანი მიამატა და 21 წუთში 12 ქულა მიითვალა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე თითო მოხსნა-პასია. 36-ე წუთზე მარკოიშვილმა მეხუთე ჯარიმა მიიღო და ბოლო წუთებზე თანაგუნდელებს ველარ დაეხმარა.

„კანტუში" ქართველზე მეტი მხოლოდ სერბმა **ვლადიმირ მიკოვმა** ჩააგდო - 17 ქულა. „ფერარას" გამარჯვება კი უმთავრესად ამერიკელი **შაროდ ფორდის** დამსახურებაა - 21 ქულა.

■ ■ ■

წინა ტურში „კანტუსთან" წაგების შემდეგ ძალების მობილიზება მოახერხა სანიკიძის „ვირტუსმა". ბოლონიელებმა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „ბენეტონთან" სტუმრად ითამაშეს და ქულამწირ მატჩში 61:50 იმარჯვეს.

პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 10:7 მოიგეს. მეორე ათწუთეულში სანიკიძემ საკუთარი ანგარიში ჩატენვით გახსნა, ამას საჯარიმო და ორქულიანი მიაყოლა, თუმცა დიდ შესვენებაზე თავაწეული მაინც „ბენეტონი" გავიდა - 34:28.

მესამე პერიოდის დასაწყისში მწვანეები („ბენეტონი") 39:30 დაწინაურდნენ, თუმცა ეს მატჩის გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა - „ვირტუსმა" 19:0 გაქცევა მოაწყო და 49:39 დაწინაურდა. იტალიურ მასმედიაში ამ სპურტზე ბევრი დაიწერა. საუბარს ყველა გამოცემა ერთი და იმავე ფრაზით ამთავრებს - 19:0 გაქცევა ვიქტორ სანიკიძის ეფექტურმა ჩატენვამ დააგვირგვინაო.

მესამე პერიოდში 8-წუთიანი მშრალი თამაშით გულგატეხილმა ბენეტონელებმა მეოთხე პერიოდში თამაშის შემოტრიალება ველარ შეძლეს და 11 ქულის სხვაობით წააგეს.

მატჩის ბოლო წამზე **ჟასმინ ჰუკიჩის** ნასროლმა სამქულიანმა მიზანს ვერ მიაღწია და საფინალო სირენისას ბურთი ვიქტორს შერჩა - დაცვითი მოხსნა მიითვალა.

მან 24 წუთში 9 ქულა (6-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 7 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

გამოცემამ „რეალბასკეტმა" სანიკიძის გარჯა 6.5 ბალით შეაფასა. ყველაზე მეტი ქულა მისმა თანაგუნდელმა **დევიდ მოსმა** მიიღო - 7.5. მან 13 ქულა ჩააგდო.

იქვე თითოეული კალათბურთელის თამაში მოკლედაა შეფასებული. აი, რა წერია ქართველ ფორვარდზე: *„სანიკიძის ფრენა უკვე არაკად იქცა. იგი მოედნის ყველა მონაკვეთში სახიფათოა. მან „ვირტუსს" რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა. ქართველის წინააღმდეგ თამაში გაუჭირდათ სანდრო ნიჩევიჩსა და ჩარლზ უოლესს. ვიქტორ სანიკიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თამაშში ნათელი ფერების შეტანა შეუძლია."*

- მატჩის დასაწყისში ვნერვიულობდით, თუმცა მოთმინება გამოვიჩინეთ და მესამე პერიოდში დადგა ის მომენტი, როცა ჩვენს თამაშს უნდა აენერვიულებინა მასპინძლები. დაცვაში შესანიშნავად გავისარჯეთ, - აღნიშნა ნამატჩევს „ვირტუსის" თავკაცმა **ლარდო ლინომ**.

■ ■ ■

სერია A-ს სატურნირო ცხრილსაც დავხედოთ. რადგან „ნაპოლი" ტურნირიდან მოიხსნა, „კანტუს" მასთან უთამაშებლად მოგება ჩაეთვალა და სადღეისოდ 25 მატჩიდან 15 მოგება აქვს. 24 შეხვედრაში 15 გამარჯვება უწერია „ვირტუსს". თუ სხვა ქვეყნებში მოგებაზე 2 ქულა იწერება, ხოლო წაგებაზე - 1, იტალიის ჩემპიონატში ქულები მხოლოდ გამარჯვებაზე ირიცხება, წაგებულს 0 ეწერება.

ასე რომ, „კანტუსაც" და „ვირტუსსაც" 30-30 ქულა აქვთ და მეორე-მეხუთე ადგილებს „მილანთან" და „კასერტასთან" ინაწილებენ.

მანუჩარის თანაგუნდელებს რეგულარულ ჩემპიონატში სამი მატჩიღა დარჩათ: „აველინოსთან" (სტუმრად), „ვარეზესთან" (შინ) და „მონტეპასკისთან" (სტუმრად).

სანიკიძის გუნდს პლეი ოფებამდე ოთხი მატჩი აშორებს: „კრემონასთან" (შინ), „სკავოლინისთან" (სტუმრად), „რომასთან" (სტუმრად) და „მონტეპასკისთან" (შინ).

■ ■ ■

იტალიის მესამე ლიგის ბოლო ტურში იოლად გაიმარჯვა **ნიკა მეტრეველის** „ფერენტინომ" - „მატერას" 71:57 აჯობა.

ქართველმა ფორვარდმა 14 წუთი ითამაშა და 9 ქულა მიითვალა, რასაც 4 მოხსნა და 1 პასი მიამატა.

28 ტურის შემდეგ „ფერენტინოს" 14 მოგება აქვს და ცხრილში მეათე ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი „ფერენტინოში" სიენას „მონტეპასკიდანაა" განათხოვრებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# უდანაკარგოდ



ვლადიმერ ბოისა

ხორვატიის ჩემპიონატში უდანაკარგო სვლას განაგრძობს **ვლადიმერ ბოისას** „ზადარი", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად „ზაბოკთან" 96:82 იმარჯვა.

ბოისამ 26 წუთი ითამაშა, 4 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. მისი თანაგუნდელი **ჰროვე პერიჩი** კი 29 წუთში 29 ქულას და 11 მოხსნას გამორჩა.

„ზადარი" ხორვატიის პირველობის ცხრილში ერთპიროვნული ლიდერია. მას ორ-ორი მოგებით ჩამორჩებიან „ცედევიტა" და „ციბონა".

ზადარელები მომდევნო მატჩს 27 აპრილს ჩაატარებენ - „სვიეტლოსტს" უმასპინძლებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# შენგელია ევროთასით

## ცქიტიშვილის 22, 11 და 3-დან 3 სამიანი

გასულ უქმეებზე ესპანეთის პირველობაზე **თორნიკე შენგელიასა** და **გიორგი შარაბიძის** „ვალენსიას" არ უთამაშია. მიზეზი საპატიო იყო - ვალენსიელებმა ევროთასის ფინალურ ოთხეულში გააღწიეს, სადაც ჯერ ნახევარფინალი მოიგეს, შემდეგ ფინალი და გაისად ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ნახევარფინალში „ნარინჯისფრებმა" ბერძნული „პანელინიოსი" 92:80 დაამარცხეს, ხოლო ფინალში გერმანული „ალბა" - 67:44.

ორივე შეხვედრაში შენგელია მატჩის განაცხადში იყო, თუმცა მწვრთნელმა **ნევენ სპაჰიამ** მისი მოედანზე შეყვანისგან ორჯერვე თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ ამავე ტურნირში (მაშინ ულების თასი ერქვა) 2006 წელს **გიორგი ცინცაძემაც** გაიმარჯვა. მაშინ იგი მოსკოვის „დინამოს" ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

ესპანეთის ჩემპიონატში პლეი ოფში გასვლის საკითხს დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა **ნიკა ცქიტიშვილის** „ფუენლაბრადამ", რომელმაც შინ „კახა ლაბორალთან" 80:86 დათმო.

ვიდრე ცქიტოს მონაგარზე შევჩერდებოდეთ, გეტყვით, რომ რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი და „ფუენლაბრადა" მერვეადგილოსან (პლეი ოფში სწორედ 8 გუნდი გადის) „ესტუდიანტესს" 3 მოგებით ჩამორჩება. ძნელი სავარაუდოა, მადრიდელებმა დარჩენილი ოთხივე მატჩი მოიგონ, ხოლო მათმა კონკურენტებმა ყველა წააგონ...

გამოცემა „სოლობასკეტის" მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მატჩის ბოლოს კარგად ათამაშებულ სტუმრებს ცქიტიშვილი და **ბურშტეინი** მისდევდნენ, თუმცა საბოლოოდ მაინც ძლიერმა იმარჯვაო...

ნიკამ მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო და ოქმში ორი წყვილი ციფრი ჩაიწერა: 22 წუთი, 11 ქულა. მან თამაშიდან ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა: 3-დან 3 სამქულიანი, 1-დან 1 ორიანი.

ტალ ბურშტეინმა 15 ქულა ჩააგდო, ხოლო **ჯერალდ ფიტჩმა** ყველაზე მეტი - 16, თუმცა იგი ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო თანაგუნდელებს ბოლო წუთებზე ვერ დაეხმარა.

მომდევნო ტურში, 25 აპრილს „ფუენლაბრადა" სევილიაში ჩავა და ნიკას ყოფილ კლუბ „კახასოლს" დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ სევილიელთა ღირსებას საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი, **ტაირონ ელისი** იცავს. ბოლო ტურში „კახასოლმა" „ბლუსენსი" სტუმრად 91:78 დაამარცხა.

ელისმა 31 წუთში 12 ქულა (11-დან 4 სამიანი) და 4 მოხსნა მიითვალა.

„კახასოლს" 30 ტურის შემდეგ 17 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა. მეოთხეა „ვალენსია" - 20 მოგება, 9 წაგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# მეტრეველის წინსვლა



ალექსანდრე მეტრეველი

ჩარლსტონის საერთაშორისო ტურნირმა **ანა ტატიშვილს** 2 ათასი დოლარი და 12 სარეიტინგო ქულა შემატა, თუმცა ანამ სამხრეთკაროლინურ ტურნირში შარშანაც იასპარეზა, მაშინ დაგროვილი ქულები კი ქართველს დააკლდა. ამიტომაც ანას გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგ-ლისტში პროგრესი არ ჰქონია, ქულათა ოდენობა 380-მდე კი გაზარდა, მაგრამ კლასიფიკაციის კიბეზე ერთი საფეხურით დაქვეითდა კიდეც, ჩვენებური მსოფლიოს 155-ე ჩოგანია. 20 წლის ჩოგბურთელი წლის რბოლაში 127-ე, ხოლო წყვილთა რეიტინგში 107-ე პოზიციაზეა.

19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** 364 ქულით კვლავ მსოფლიოს 162-ე ჩოგანია. ოქსანა წყვილთა რეიტინგში 115-ე პოზიციაზე გადავიდა. იოჰანესბურგში ასპარეზობამ ჩვენებურს 1500 დოლარი და 20 ქულა მოუპოვა. სხვები: 211 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 250 ქულა; 349 (-1) **სოფიო შაფათავა** - 112; 420 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 80; 433 (+14) **თათია მიქაძე** - 77; 456 (-3) **მანანა შაფაქიძე** - 69; 518 (+30) **ეკა გორგოძე** - 56; 1025 (-1) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1060 (-1) **ანა ჯიქია** - 5. 22 წლის თათია მიქაძეს კარიერის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. მას სუეცის (ეგვიპტე) ტურნირზე მიღებული 6 ქულა და 490 დოლარი დაერიცხა. ყველაზე დიდი წინსვლა კი 18 წლის ეკა გორგოძეს აქვს, იმავე სუეცის ტურნირზე ფინალში გასვლამ ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელი 30 საფეხურით დააწინაურა, თუმცა კარიერის მიღწევამდე ეკას ბევრი უკლია. მანანა შაფაქიძეს შემდეგ კვირაში დაერიცხება ასტანის ტურნირის მოგებისთვის კუთვნილი 12 ქულა და პროგრესიც შემდეგ რეიტინგზე აისახება (სავარაუდოდ, ნახევარი ასეულით წაიწევს).

ვაჟთა რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 49 ქულით მსოფლიოს 535-ე ჩოგანია (-4), ხოლო **ლაზარე კუხალაშვილი** 6 ქულით 1078-ე პოზიციაზეა. ახალგაზრდულ რეიტინგში მნიშვნელოვნად წაიწია 16 წლის **ალექსანდრე მეტრეველმა**, რომელმაც ისრაელში ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო. მეტრეველი 18-წლამდელთა კლასიფიკაციაში მსოფლიოს 207-ე ჩოგანია. ერთ კვირაში მან თითქმის 80 საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# 5 პასი



**ლაშა გამყრელიძის** „მიტელდოიჩერმა" გერმანიის ბუნდესლიგაში აუტსაიდერ „პადერბორნს" სძლია. შინაურ კედლებში „მგლებმა" თავიდანვე მოიპოვეს 10-ქულიანი უპირატესობა, თუმცა მესამე პერიოდში სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. გადამწყვეტ მომენტში გამყრელიძის გუნდმა იყოჩაღა და „პადერბორნი" 88:84 დაამარცხა.

ქართველმა გამთამაშებელმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და მოედანზე 17 წუთი გაატარა. დროის ამ მონაკვეთში მან მეტოქის კალათის მიმართულებით მხოლოდ ორჯერ ისროლა (ორივე სამქულიანი მიზანს ასცდა). სამაგიეროდ, თანაგუნდელებს 5 პასით შეეწია.

„მიტელდოიჩერს" შეტევაში **ანატოლი კაშიროვი** გაუძლვა, რომელმაც 24 ქულა მიითვალა.

ლაშას თანაგუნდელები სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე არიან. მათ 16 მოგება და 15 წაგება უწერიათ. მიტელდოიჩერელებს პლეი ოფში გამსვლელ რვა გუნდს შორის მოხვედრა გაუჭირდებათ, რადგან მერვე ადგილზე მყოფ „ბრაუნშვაიგს" ორით მეტი, 18 მატჩი აქვს მოგებული, რეგულარული ეტაპის დასრულებამდე კი სამი ტურია დარჩენილი. „მგლები" უახლოეს შეხვედრას 23 აპრილს ჩაატარებენ - „ოლდენბურგს" ეწვევიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



მარცხნივ დავით ქუბრიაშვილი

# აჟენი ელიტაშია, ჩემპიონობისთვის სამი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პლეი ოფის მონაწილე ექვსივე გუნდის ვინაობა რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაირკვა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი - "ტულონი", „კლერმონი“ და „კასტრი“ განაგრძობს. მათ მეტოქეობას გაუწევენ მოქმედი ჩემპიონი „პერპინიანი“, „ტულუზი“ და „მეტრო რასინგი“.

ბოლო ტურში გასარკვევი ისღა დარჩა, რომელი გუნდები მოიპოვებენ პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას. შეგახსენებთ, რომ პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები ნახევარფინალში ავტომატურად ხვდებიან. დანარჩენი ოთხი კი ნახევარფინალის შესარჩევ მატჩებში დაუპირისპირდება ერთმანეთს.

წესით, პირველ ან მეორე ადგილზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს „პერპინიანს“, რომელიც 75 ქულით მეორე ადგილზეა და ბოლო ტურში შინ ეთამაშება დივიზიონიდან უკვე გავარდნილ, აუტსაიდერ „ალბის“. კატალონიელებს საკუთარ მოედანზე დივიზიონის უსუსტესი გუნდის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ.

დარჩენილ ერთ ადგილზე კი პრეტენზიას სამი „ქართული გუნდი“ აცხადებს. ბოლო ტურში სამივე სტუმრად თამაშობს. ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონს“, რომელიც 76 ქულით პირველ ადგილზეა და სტუმრად **დავით ხინჩაგიშვილის** უმოტივაციო „ბრივის“ დამარცხებით რეგულარულ გათამაშებას მოიგებს.

ტულონელებს სამი იანვრის შემდეგ არ წაუგიათ, მათ ზედიზედ რვა შეხვედრა მოიგეს და სატურნირო ცხრილში ყველას გადაასწრეს. სიმბოლურია, რომ „ტულონი“ სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე ქვეყნის ჩემპიონ „პერპინიანის“ დამარცხების შემდეგ დამკვიდრდა. მარსელში, „ველოდრომზე“ 58 ათასი ქომაგის მხარდაჭერით ფრთაშესხმულმა ქუბრიაშვილმა და კომპანიამ კატალონიურ კლუბს - 33:23 მოუგეს.

პირველი ტაიმი ნომინალურმა მასპინძლებმა ხუთი ქულით - 18:13 მოიგეს. მეორე ნახევრის შუაში კი ტულონელთა უპირატესობამ 14 ქულას მიაღწია. ორი ლელო მეტოქეს „ტულონის“ ავსტრალიელმა ფულბეკმა **ლაკი რუნიმ** გაიტანა. ჩვეულად შედეგიანი იყო ინგლისელი მგეზავი **ჯონი ვილკინსონი**, რომელმაც გუნდს 23 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო, ორი არეკნი და ერთი გარდასახვა). ქუბრიაშვილმა სრულად ითამაშა.

**აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“, რომელიც საკმაოდ დიდხანს ლიდერობდა, სტუმრად დამარცხდა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონთან“ -19:25. „ვულკანებმა“ პირველი ნახევარი 5:16 წააგეს. ისევ ვერ იყოჩაღა ავსტრალიელმა მგეზავმა **ბრუკ ჯეიმზმა**, რომელმაც რამდენიმე საჯარიმო და ერთი გარდასახვა ვერ გაიტანა. კლერმონელებს კარში დარტყმის მაჩვენებელი შეცვლაზე შესულმა საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერმა **მორგან პარამ** გამოუკეთა.

პარამ მეორე ტაიმში **ელვის ვერმულენისა და გონსალო კანალეს** ლელოები გარდასახა, რასაც კიდევ ორი საჯარიმო მიუმატა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს. გიორგაძე ტრავმას იშუშებს.

„კლერმონი“ ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება უმოტივაციო ბასკურ „ბიარიცს“, თუმცა მასპინძლები უბრძოლველად არაფერს დათმობენ. „კასტრს“ კიდევ უფრო რთული მეტოქე ჰყავს. „გლობუსას“ გუნდს ბოლო ტურში ურთიერთობის გარკვევა სტუმრად მოუწევს ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტ „ტულუზთან“.

**დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა“ პლეი ოფში მოხვედრის შანსი სტუმრად „ბაიონთან“ წაგებით დაკარგა - 25:33. ბრიველებმა პირველი ტაიმი 3:16 წააგეს. მეორეში ბევრს ეცადნენ, მაგრამ მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება ვერაფრით შეძლეს. რასაც მასპინძლებს გამორჩნენ, შვიდი ქულის სხვაობით მარცხი და ერთი პრემიალური ქულა იყო. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს.

უშელავათო ბრძოლა გაიმართა მონტობანში, სადაც **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანი“ **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიესთან“ დამარცხდა - 6:19. თამაში საკმაოდ უხეში გამოდგა და არბიტრი იძულებული გახდა, ხუთი მორაგბე გაესინბინებინა. მათ შორის ერთ-ერთი იყო გორგოძეც, რომელმაც მოედანი ათი წუთით 57-ე წუთზე დატოვა. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს. ჩხაიძე თამაშში ექვსი წუთის მერე ჩაერთო. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

XXVI ტური: კლერმონი-კასტრი 25:19, ბაიონი-ბრივი 33:25, მონტობანი-მონპელიე 6:19, ბურგუენი-ტულუზი 15:13, ალბი-სტად ფრანსე 38:24, ტულონი-პერპინიანი 33:23, მეტრო რასინგი-ბიარიცი 29:22

სატურნირო მდგომარეობა: 1. ტულონი - 76 ქულა, 2. პერპინიანი - 75, 3. კლერმონი - 74, 4. კასტრი - 73, 5. ტულუზი - 70, 6. მეტრო რასინგი - 64, 7. ბიარიცი - 58, 8. ბრივი - 57, 9. სტად ფრანსე - 53, 10. მონპელიე - 51, 11. ბურგუენი - 49, 12. ბაიონი - 47, 13. მონტობანი - 45, 14. ალბი - 24.

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშება ორი ტურით ადრე მოიგო და პირველი დივიზიონის საგზური ავტომატურად მოიპოვა **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენმა“. ჩვენებურის გუნდმა 28-ე ტურში შინ გაანადგურა „ნარბონი“ - 57:10. ფეიქრიშვილმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 44-ე წუთზე შეცვალეს.

პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ და **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსმა“, თეორიულ შანსს ისევ ინარჩუნებს **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკი“, რომელიც შინ სწორედ „ლიონთან“ დამარცხდა - 18:25. დათუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს. კავთიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

„ოშთან“ სტუმრად წააგო „ოიონაქსმა“ - 20:36. ჟღენტს, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, 32-ე წუთზე არბიტრმა წითელი ბარათი უჩვენა.

აუტსაიდერ „ლანამეზანთან“ სტუმრად დამარცხდა **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბი“ - 16:39. მაგრაქველიძე თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო. სტუმრადვე დამარცხდა „გრენობლთან“ **გიორგი კუთარაშვილის** „დაქსი“ - 5:28. კუთარაშვილი მოედანზე 52-ე წუთიდან გამოჩნდა.

**II დივიზიონი**

XXVIII ტური: მონ დე მარსანი - კოლომიე 29:29, ორიაკი - ლიონი 18:25, ბორდო - ლა როშელი 14:28, გრენობლი - დაქსი 28:5, პო - ექსი 45:10, ოში - ოიონაქსი 36:20, ლანამეზანი - ტარბი 16:39, აჟენი - ნარბონი 57:10

სატურნირო მდგომარეობა: 1. აჟენი - 99 ქულა, 2. ლა როშელი - 86, 3. ლიონი - 85, 4. ოიონაქსი - 84, 5. გრენობლი - 78, 6. პო - 76, 7. ორიაკი - 71, 8. ნარბონი - 68, 9. ბორდო - 68, 10. ტარბი - 65, 11. მონ დე მარსანი - 59, 12. დაქსი - 59, 13. ოში - 51, 14. კოლომიე - 41, 15. ექსი - 31, 16. ლანამეზანი - 19

ზე 14

# შვიდგზის ჩემპიონი გალიდერდა

ზე 14-ის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე სატურნირო ცხრილის სათავეში ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ მოექცა. ზე 14-ის შვიდგზის ჩემპიონი, რომელიც ამ ტიტულს ბოლოს 2008 წელს დაეუფლა, სამხრეთ ნახევარსფეროს საუკეთესო კლუბის სახელისთვის ბრძოლას სერიოზულად აპირებს.

„კრუსეიდერზმა“ მეათე ტურში აუტსაიდერ ბლუმფონტეინის „ჩიტაზს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით - 45:6 მოუგო. ქრაისთჩერჩელებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორი რვა ნომრის, **თომას ვალდრომის** ანგარიშზეა. შვიდიდან ხუთი გარდასახვა გამოიყენა ფულბეკმა **კოლინ სლედმა**.

კრუსეიდერზელები მომდევნო ტურში ავსტრალიაში ეთამაშებიან პერთის „ფორსს“, რომელიც ათი ქულით მე-12 ადგილზეა. ახალზელანდიელებმა, სავარაუდოდ, ლიდერობის შენარჩუნება უნდა შეძლონ. მათ საამისოდ მეტოქეს მინიმუმ ოთხი ლელო აუცილებლად უნდა გაუტანონ.

მეორედ წააგო ზე 14-ის ამჟამინდელმა ჩემპიონმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა“. სამხრეთაფრიკელები ამჯერად ბრისბენში „რედსმა“ დაამარცხა - 19:12. „ლურჯმა ხარებმა“ თამაში აგრესიულად დაიწყეს და მეტოქე უკვე მეხუთე წუთზე დაალელოვეს. ლელო მესამეხაზელი **დერიკ ქუნის** ანგარიშზეა. მგეზავმა **მორნი სტეინმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

მომდევნო 20 წუთი ისე წარიმართა, წესით, აფრიკელები დიდი სხვაობით უნდა დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ „წითლებმა“ ზეწოლას გაუძლეს და 28-ე წუთზე მესამეხაზელმა **სკოტ ჰიგინბოთამ** საპასუხო ლელო გაიტანა. **ქუადე კუპერმა** ვერ გარდასახა, თუმცა ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე საჯარიმოთი მაინც დააწინაურა თავისიანები - 8:7.

„რედსმა“ თამაში, ფაქტობრივად, მეორე ტაიმის საწყის ოც წუთში მოიგო. ჯერ კუპერმა სამწუთიანი ინტერვალით სამი საჯარიმო გაიტანა - 14:7, მერე, 58-ე წუთზე გარემარბმა **როდ დევისმა** იყოჩაღა და გატანილი ლელოთი სხვაობა თორმეტ ქულამდე გაზარდა - 19:7.

„ბლუ ბულზმა“ მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ანგარიშის შემცირებაღა შეძლო. ლელო შეცვლაზე შესულმა მესამეხაზელმა **პედრი ფანენბურხმა** გაიტანა. სტეინმა ვერ გარდასახა - 12:19. პრეტორიელები მომდევნო ტურში აუტსაიდერ იოჰანესბურგის „ლაიონზს“ უმასპინძლებენ და ბრისბენელთა ჯავრს მათზე იყრიან.

ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო დურბანის „ნატალ შარქსმა“. „ზვიგენების“ მსხვერპლი სწორედ იოჰანესბურგის „ლაიონზი“ შეიქნა - 32:28. აღსანიშნავია, რომ „შარქსმა“ სტუმრად მესამედ მოიგო. პირველ ტაიმში დურბანელებმა სამი ლელო გაიტანეს, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ ოთხი ქულით აჯობეს - 22:18. ლელოები **ბისმარკ დუ პლესის, ოდვა ნდუნგანეს** და **პატრიკ ლამბიეს** ანგარიშზეა.

„ზვიგენებმა“ კიდევ ერთი ლელოს გატანა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეძლეს. ამჯერად თავი **ჟაკ ბოთამ** გამოიჩინა. ცხრა ნომერმა **რუან პინარმა** ოთხიდან სამი ლელო გარდასახა, რასაც ორი საჯარიმოც დაუმატა.

„ნატალ შარქსმა“ ამ გამარჯვების შემდეგ 21 ქულა დააგროვა, მე-9 ადგილზეა და პლეი ოფში, ანუ საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის თეორიულ შანსს ინარჩუნებს. მომდევნო ტურში დურბანელები უმასპინძლებენ ოქლენდის „ბლუზს“, რომელიც მათი უშუალო კონკურენტია.

ბრწყინვალედ ასპარეზობს კეიპთაუნის „სტორმერზი“, რომელმაც სტუმრად სძლია შარშანდელ ფინალისტ ჰემილთონის „ჩიფსს“ - 49:15. სამხრეთაფრიკელებმა მეტოქე ხუთჯერ დაალელოვეს. მგეზავმა **პიტერ გრანტმა** ხუთივე გარდასახა და სამი საჯარიმოც გაიტანა (19 ქულა).

მომდევნო ტურში ყველაზე საინტერესო იქნება მესამეადგილოსანი „სტორმერზის“ გასვლითი შეხვედრა ბრისბენში „რედსთან“, რომელსაც სამი ქულით უსწრებს.

ოქლენდის „ბლუზისა“ და პერთის „ფორსის“ დაპირისპირებაში, რომელიც ოქლენდელთა გამარჯვებით 38:17 დასრულდა, სამი ლელო გარემარბმა **ჯო როკოთოკომ** გაიტანა. ჯო ისეთ ფორმაშია, რომ მისი შეჩერება მომავალ უქმეებზე „ზვიგენებსაც“ ძალიან გაუჭირდებათ.

| X ტური | |
|---|---|
| ჩიფსი-სტორმერზი | 15:49 |
| ბრამბიზი-ჰარიკენზი | 13:23 |
| ბლუზი-ფორსი | 38:17 |
| კრუსეიდერზი-ჩიტაზი | 45:6 |
| რედსი-ბლუ ბულზი | 19:12 |
| ლაიონზი-ნატალ შარქსი | 28:32 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. კრუსეიდერზი - 34 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 34, 3. სტორმერზი - 33, 4. რედსი - 30, 5. ვორათაზი - 29, 6. ბრამბიზი - 26, 7. ბლუზი - 25, 8. ჰარიკენზი - 22, 9. ნატალ შარქსი - 21, 10. ჩიფსი - 21, 11. ჰაილენდერზი - 11, 12. ფორსი - 10, 13. ჩიტაზი - 9, 14. ლაიონზი - 5

**XI ტური. 23 აპრილი**

ჩიფსი-ჩიტაზი
ფორსი-კრუსეიდერზი
რედსი-სტორმერზი

**24 აპრილი**

ბლუ ბულზი-ლაიონზი
ნატალ შარქსი-ბლუზი
ვორათაზი-ბრამბიზი
ჰაილენდერზი-ჰარიკენზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ვილიამ გენია რაგბის ჭრილში

www.sport.gov.ge

კალათბურთი

ევროთასი. ოთხთა ფინალი



# პირველი თასი ესპანეთში წავიდა

რანგით მეორე ევროპული საკლუბო ტურნირი - ევროთასი „ვალენსიას“ ტრიუმფით დასრულდა. ბასკურ ქალაქ ვიტორიაში გამართული „ოთხთა ფინალის“ გადამწყვეტ მატჩში ესპანელებმა 23 ქულით გაანადგურეს გერმანიის „ალბა“ და ამ გამარჯვებით მომავალ წელს ევროლიგაში თამაში გაინაღდეს.

„ვალენსიამ“ პირველ რიგში დაცვაში უშეცდომო თამაშით მიაღწია მიზანს. „ალბამ“ ვერ ცერთ მეოთხედში 12 ქულაზე მეტის ალება ვერ შეძლო და ჯამში მხოლოდ 44 ქულას მოუყარა თავი. გარდა ამისა, ამ გუნდის ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ გადალახა 10-ქულიანი ზღვარი.

ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო, რომელიც „ვალენსიამ“ ერთი ქულით მოიგო, სამაგიეროდ, მეორე მეოთხედის სტარტზე 11:0 „გაიქცა“ და ამის შემდეგ სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა, რამაც საბოლოოდ 23 ქულას მიაღწია - 67:44.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი „გოლდენ სტეიტის“ ყოფილი მოთამაშე, სერბი ცენტრი **კოსტა პეროვიჩი** გახდა, რომელმაც 17 ქულა ჩააგდო, თუმცა ფინალური შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელად ავსტრალიელი **მეტ ნილსენი** დაასახელეს, რომელიც პირველ რიგში ლიდერის თვისებებითა და დაცვაში კარგი თამაშის გამო გამოარჩიეს.

**ალბა-ვალენსია 44:67**

10:11, 12:25, 11:12, 11:19

ა: ბაიერსი (9), ჰამანი (9), ჯენკინსი (6).

ვ: პეროვიჩი (17), კელატი (13+5 მოხსნა), მარინოვიჩი (12), ნილსენი (7+6 მოხსნა), დე კოლო (7+5 მოხსნა).

პრობლემა



# დაზარალებული სპორტი

ისლანდიაში ვულკან ეიაფიატლაიოკუტლის ამოფრქვევამ კორექტივები შეიტანა მსოფლიოს სპორტულ კალენდარში. ბუნებრივი კატაკლიზმის მსხვერპლი პრაქტიკულად ყველა დიდი ტურნირი გახდა, რომელიც ამ პერიოდში გაიმართა ან უნდა გაიმართოს.

თავდაპირველად, ვულკანის ამოფრქვევით ფორმულა 1-ის სამყაროს წარმომადგენლები დაზარალდნენ, რომლებიც კვირის შუაში აზიაში გადაბარგდნენ. შანხაი, სადაც ჩინეთის გრანპრი გაიმართა, ბევრისთვის მიუწვდომელი წერტილი გახდა. დახურული აეროპორტების გამო ჩინეთში დროულად ჩასვლა ვერ მოახერხა საჯინიბო „ვირჯინის“ რამდენიმე თანამშრომელმა. „უილიამსმა“ ინგლისიდან დროულად ვერ მიიღო ახალ შექმნილი აეროდინამიკური ელემენტი, რომლის გამოცდაც ჩინეთში უნდა შემდგარიყო.

ხოლო მათ, ვინც ჩინეთში ჩაალწიეს, ახლა იქიდან ევროპაში გამომგზავრების პრობლემა შეექმნათ. შანხაიში 48 საათით გაუქმდა თითქმის ყველა რეისი. არ არის გამორიცხული, რომ ჩინეთიდან ევროპისკენ პირველი რეისი მხოლოდ მაისში დაუშვან, რაც ხელს შეუშლის გუნდების მზადებას მომდევნო გრანპრისთვის. ერთ-ერთი გამოსავალი ის არის, რომ საჯინიბოებმა ტექნიკა ზღვით გადაიტანონ დანიშნულების ადგილას. მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი სამი კვირის შემდეგ ბარსელონაში გაიმართება.

კიდევ უფრო არ გაუმართლათ მოტოგრან-პრიში მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის - იაპონიის გრანპრის ორგანიზატორებს. ეს რბოლა, რომელიც 25 აპრილს მოტეგის ტრასაზე უნდა გამართულიყო, ოფიციალურად გაუქმდა და მისი ჩატარება ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის დაგეგმეს. ამ შემთხვევაშიც მიზეზი ის არის, რომ იაპონიაში ჩასვლას ვერ ახერხებენ ჩემპიონატის მონაწილეები.

კვირას ჰოლანდიაში გაიმართა სახელგანთქმული ერთდღიანი კლასიკური ველორბოლა - „ამსტელ გოლდ რეისი“, რომელმაც ამჯერად ძალიან სუსტი შემადგენლობა შეკრიბა. ჰოლანდიაში ჩასვლა ვერ შეძლეს მსოფლიო პელოტონის ლიდერებმა - **ალეხანდრო ვალვერდემ, ლუის ლეონ სანჩესმა** და **კარლოს სასტრემ**, რომლებსაც ავიაბილეთების დაბრუნებამ მოუწიათ. მათ არყოფნაში კარიერაში პირველად „ამსტელ გოლდ რეისი“ ბელგიელმა **ფილიპ ჟილბერმა** მოიგო, ხოლო მეორე ადგილი კი ყველასთვის უცნობმა კანადელმა - **რაიდერ ჰესიედალმა** მოიპოვა.

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# პორტლენდის მინისენსაცია

## კევინ გარნეტი მეორე მატჩს გამოტოვებს, ოქური მთელ პლეი ოფს

ასოციაციის მოქმედმა ჩემპიონმა „ოკლაჰომაზე“ დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო ტიტულის დაცვა. უკვე პირველ მეოთხედში 14-ქულიანი უპირატესობის დაბევებით **ფილ ჯექსონის** ბიჭებს დარჩენილ დროში დიდად აღარ მოუკლავთ თავი და ძირითადად იმით იყვნენ დაკავებული, რომ თამაშის საშუალებას არ აძლევდნენ მეტოქეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩა **რონ არტესტი**, რომელიც წამით არ მოსცილებია სტუმართა ლიდერ **კევინ დურანტს**. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რონი მიხვდა, რომ რეგულარულის საუკეთესო სნაიპერისგან ხიფათი მოსალოდნელი აღარ იყო, ოპონენტს პირადი ანგარიშის შევსებისა და მატჩის ღირსეული სტატისტიკით დასრულების საშუალება მისცა. მაგრამ „ოკლაჰომას“ ფორვარდი მაინც ვერ დარჩებოდა კმაყოფილი თავისი მოქმედებით - თამაშიდან 24 სროლა და მხოლოდ შვიდი ზუსტი.

თავიანთი ანტიგმირი მასპინძლებსაც ჰყავდათ - **კობი ბრაიანტი**. მართალია ის „ლეიკერსში“ ყველაზე შედეგიანი იყო, მაგრამ მაინც მოახერხა თამაშიდან 13 და საჯარიმოს ხაზიდან 5 სროლის აცილება. რომ არა ფარქვეშ **პაუ გასოლისა** და **ენდრიუ ბინუმის** (ორივე ორმაგი დუბლი შეასრულა) დამაჯერებელი მოქმედება, არავინ იცის, როგორი იქნებოდა აღნიშნული შეხვედრის საბოლოო ანგარიში. ასე მაგალითად, შეხვედრის ბოლოს „ოკლაჰომა“ ძალიან მიუახლოვდა მეტოქეს - 73:79. სწორედ ამ დროს გასოლის ორმა ზუსტმა საჯარიმომ და **დერეკ ფიშერის** დროულმა სამქულიანმა აარიდა „ლეიკერსს“ მოსალოდნელი გართულებები.

■ ■ ■

*„ხანდახან გაქვს ისეთი მატჩები, როცა პრაქტიკულად ყველაფერი გამოგდის მოედანზე“*, - ასე მოკლედ დაახასიათა თავისი თამაში პირველი ტეხასური დერბის გმირმა **დირკ ნოვიცკიმ**. გერმანელმა ფორვარდმა თამაშიდან 12 სროლა (14-დან) გამოიყენა და 12-დან 12 საჯარიმო ჩააგდო, რითაც გუშინდელი დღის მთავარი ბომბარდირი გახდა - 36 ქულა. გერმანელს ოსტატობა მეტოქეებმაც შეუქეს. *„მან ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა*, - განაცხადა **მანუ ჯინობილიმ**. *- ვიცოდით, რომ დირკს შეუძლია მაღალი შედეგიანობის ჩვენება, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით, რომ 40 წუთში მხოლოდ ორ სროლას ააცილებდა. თანაც მისთვის აბსოლუტურად სულერთი იყო როგორი მდგომარეობიდან ესროდა ბურთს - ის მაინც კალათში ვარდებოდა“.*

ცნობისთვის, არგენტინელმა **ტიმ დანკანთან** ერთად ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „დალასს“ კომფორტული უპირატესობა არ მოეპოვებინა, მაგრამ სწორედ ამ დუეტის სინდისზეა „მავერიქსის“ მიერ მეორე მეოთხედის ბოლოსა და მესამეს დასაწყისში მოწყობილი გაქცევა. დანკანმა ორი საშუალო ტყორცნა ააცილა, ჯინობილიმ ამდენჯერვე დაკარგა ბურთი, თამაშში შესულმა **როჯერ მეისონმა** კი აცილებულ სროლებსა და შეცდომებს შორის ისიც მოახერხა, რომ 59 წამში 3 პერსონალური „აიკიდა“. ასეთი უპასუხისმგებლობისთვის „სპურსი“ ძალიან მალე დაისაჯა - **ჯეისონ კიდის** შორეულმა ტყორცნამ და **კერონ ბატლერის** ხუთქულიანმა შეტევამ წერტილი დაუსვა დალასელთა სპურტს. მასპინძლები 12 ქულით დაწინაურდნენ. მატჩის დარჩენილ დროში „სან ანტონიოს“ მონდომებას შედეგი არ მოჰყოლია - ნოვიცკიმ და კომპანიამ დამაჯერებლად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე. მასპინძელთა მხრიდან საკონტროლო გასროლა იმავე კიდმა და **ჯეისონ ტერიმ** შეასრულეს.

■ ■ ■

არ გამართლდა იმათი პროგნოზი, ვინც ამტკიცებდა, რომ „ფინიქსი“ ოთხ მატჩში გაუსწორდებოდა „პორტლენდს“, რომელიც პლეი ოფს თავისი ტრავმირებული ლიდერის - **ბრენდონ როის** გარეშე თამაშობს. რა თქმა უნდა, ერთი შეხვედრით რთულია **ნეიტ მაკმილანის** გუნდის ბრძოლისუნარიანობის შემოწმება, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ სწორედ „პორტლენდი“ გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ამ პლეი ოფში გასვლითი შეხვედრა მოიგო, ძალიან ბევრს ნიშნავს. მერვედფინალური ეტაპის სადებიუტო შეხვედრებიდან სწორედ აქ ვიხილეთ ყველაზე დაძაბული ბრძოლა.

ყველაზე საინტერესო მატჩის დასასრული გამოვიდა. სტუმრებმა უნაკლოდ შესრულებული საჯარიმოებით, **ჯარედ ბეილესის** აცილების შემდეგ **ლამარკუს ოლდრიჯის** დამატებით, აგრეთვე მატჩის გმირის **ანდრე მილერისა** და **ნიკოლა ბატუმის** ორი შორეული ტყორცნით ორქულიანი ჩამორჩენა შვიდქულიან უპირატესობად აქციეს. მატჩის დასრულებამდე წუთ-ნახევარი რჩებოდა, მაგრამ „პორტლენდმა“ თავად გაირთულა საქმე და კინაღამ წააგო თითქმის მოგებული მატჩი - **მარკუს კემბი** ბურთის ჩატენვისას შეცდა, ბატუმმა და ოლდრიჯმა უწყინარ სიტუაციაში დაკარგეს ბურთი, გარდა ამისა, „ფინიქსი“ შეგნებული ჯარიმების ტაქტიკაზე გადავიდა და სტუმრებმა ექვსი საჯარიმოდან მხოლოდ ორი ჩააგდეს. ამ ყველაფერს მოჰყვა **ჯეისონ რიჩარდსონის** სამქულიანი და „პორტლენდის“ უპირატესობიდან თითქმის აღარაფერი დარჩა - 100:103. იქვე ბეილესმა ორივე საჯარიმო ააცილა და „სანზმა“ მატჩის გადარჩენის კარგი შანსი მიიღო, მაგრამ **სტივ ნეშის** ტყორცნა მიზანს აცდა და პლეი ოფის პირველი მინი-სენსაციაც დაფიქსირდა.

■ ■ ■

გუშინ, აღმოსავლეთ კონფერენციაში გამართულ ერთადერთ შეხვედრაში საყოველთაო ყურადღება „ორლანდოს“ ცენტრ **დუაიტ ჰოვარდისკენ** იყო მიმართული, რომელმაც კინაღამ პლეი ოფის რეკორდი დაამყარა ერთ მატჩში დაფარებების რაოდენობით. „შარლოტთან“ პირველივე მეოთხედში „სუპერმენის“ ანგარიშზე 6 (!!!) ბლოკ-შოტი იყო, ხოლო, როცა დუაიტმა მეორე მეოთხედის 33-ე წამზე **ბორის დიაოს** დაუფარა, ყველას ეგონა, რომ ჰოვარდი გააუმჯობესებდა **მარკ იტონისა** და **ჰაკიმ ოლაჟუონის** რეკორდს. „სუპერმენს“ შეეძლო მხოლოდ ამ ამოცანის გადაწყვეტით ყოფილიყო დაკავებული, რადგან მის ნაცვლად ქულებს **ჯამირ ნელსონი** აგროვებდა, რომელმაც მარტო პირველ ტაიმში 24 ქულა ჩაიწერა აქტივში.

მაგრამ მეორე ნახევარში „ორლანდოსა“ და მის ლიდერს გეგმები შეეცვალათ, რადგან პლეი ოფის დებიუტანტი „ბობკეტსი“ 22-ქულიანი ჩამორჩენის (43:65) შემდეგ ერთბაშად გამოფხიზლდა და **უოლასი-ფელტონი-ჯექსონის** ტრიოს მონდომებით სხვაობა ხუთ ქულამდე დაიყვანა. მაგრამ „შარლოტის“ კალათბურთელებმა უფრო მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. მატჩის ბოლოს ნელსონი საჯარიმოს ხაზიდან არ ცდებოდა, ჰოვარდმა საშუალო მანძილიდან ჩააგდო და თავისი მოკრძალებული მონაგარი 5 ქულამდე აიყვანა, იყო კიდევ **მიკაელ პიეტრუსის** სამქულიანი (ფრანგმა პერიმეტრიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა)... ამ ყველაფერმა ჯამში „ორლანდოს“ სერიაში პირველი გამარჯვება მოუტანა.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ „ბოსტონ სელტიქსის“ ერთ-ერთ ლიდერს **კევინ გარნეტს** „მაიამი ჰიტთან“ პირველი საპლეიოფო მატჩის დროს გამოჩენილი უხეშობა არ აპატია და ვეტერანი კალათბურთელი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრის ბოლოს გარნეტმა თანაგუნდელი **პოლ პირსი** დაიცვა და მაიამელ **კვენტინ რიჩარდსონს** სახეში იდაყვი ჩაარტყა.

ასე რომ, კევინი გამოტოვებს სერიის მეორე შეხვედრას, რიჩარდსონს კი ლიგისთვის 25 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

■ ■ ■

სერიოზული აღმოჩნდა „იუტა ჯაზის“ ცენტრის **მეჰმეთ ოქურის** ტრავმა, რომელიც კალათბურთელმა „დენვერთან“ მატჩში მიიღო. თურქ კალათბურთელს აქილევსის მყესი აქვს განყვეტილი და ამის გამო არა მარტო მიმდინარე პლეი ოფს, არამედ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატსაც გამოტოვებს, რომელიც ოქურის სამშობლოში გაიმართება.

ამ სეზონში მეჰმეთმა 73 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მისი სტატისტიკური მონაგარი 13.5 ქულასა და 7.1 მოხსნას შეადგენდა.

**ლეიკერსი-ოკლაჰომა 87:79**

27:13, 20:26, 17:17, 23:23

ლ: ბრაიანტი (21), გასოლი (19+13 მოხსნა+3 დაფარება), ბინუმი (13+12 მოხსნა+4 დაფარება), ფიშერი (11).

ო: დურანტი (24+6 მოხსნა), უესტბრუკი (23+8 პასი), გრინი (10).

**სერია: 1:0**

**ორლანდო-შარლოტი 98:89**

31:20, 28:23, 17:23, 22:23

ო: ნელსონი (32+6 პასი), ლუისი (19+5 მოხსნა), პიეტრუსი (14), კარტერი (12), რედიკი (10), ჰოვარდი (5+9 დაფარება+ 7 მოხსნა).

შ: უოლასი (25+17 მოხსნა), ფელტონი (19), ჯექსონი (18+9 მოხსნა).

**სერია: 1:0**

**დალასი-სან ანტონიო 100:94**

23:18, 27:27, 26:24, 24:25

დ: ნოვიცკი (36+7 მოხსნა), ბატლერი (22+6 მოხსნა), კიდი (13+7 მოხსნა+11 პასი+4 ჩაჭრა), ჰეიუუდი (10+6 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (27+8 მოხსნა), ჯინობილი (26+6 პასი), პარკერი (18), მაკდაესი (10+8 მოხსნა).

**სერია: 1:0**

**ფინიქსი-პორტლენდი 100:105**

24:25, 19:19, 29:26, 28:35

ფ: ნეში (25+9 პასი), სტაუდმაიერი (18+8 მოხსნა), რიჩარდსონი (14+10 მოხსნა), ბარბოზა (13), ფრაი (12).

პ: მილერი (31+5 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (22), ბატუმი (18+5 მოხსნა), ბეილესი (18), კემბი (4+17 მოხსნა+3 დაფარება).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი — ტურნირების მიმოხილვა

# სტოსურის მეორე ტიტული



თუ გასულ კვირას მამაკაცები ერთ ტურნირზე არკვევდნენ ურთიერთობას, WTA-ის ტურში ორი შეჯიბრება გაიმართა. ერთ-ერთი იყო 700-ათასიანი საპრიზო ფონდის ტურნირი ჩარლსტონში. იქაურ მწვანე გრუნტზე სათამაშოდ რეიტინგის საუკეთესო ათეულის სამი წარმომადგენელი ჩავიდა - **კაროლინ ვოზნიაცკი, ელენა იანკოვიჩი** და **ვიქტორია აზარენკა**, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ფინალამდე ვერ მიაღწია.

ბელარუსი ბრძოლას მეორე წრიდან გამოეთიშა - ისევე როგორც ერთი კვირის წინ მარბელიაში, აზარენკამ მატჩის მსვლელობისას მიატოვა ტურნირი. ამჯერად გაუმართლა **კრისტინ მაკჰეილს**, რომელიც თავის მხრივ, შემდეგ რაუნდში **მელანი ოუდინთან** განადგურდა - 4:6, 0:6.

იანკოვიჩმა მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ **დანიელა ჰანტუხოვას** ბარიერი იქცა გადაულახავად. არადა, სერბისთვის სლოვაკთან მატჩი შესანიშნავად დაიწყო - პირველი სეტი 6:1 მოიგო, მაგრამ ამის შემდეგ დანიელამ თამაშის სურათი შეცვალა და გამარჯვება მოიპოვა.

პირველ ნომრად განთესილი კაროლინ ვოზნიაცკი კი ნახევარფინალიდან ჩამოშორდა ბრძოლას - დანიელმა **ვერა ზვონარევასთან** მატჩი ვერ დაასრულა. პირველი სეტის მეექვსე გეიმში ვოზნიაცკი მოჭრილ ბურთს გაეკიდა და ფეხი გადაუბრუნდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ კაროლინი მაინც დაბრუნდა კორტზე, მაგრამ მოედანზე ცოტა ხანი დაყო და გონივრული გადაწყვეტილება მიიღო - თამაში შეწყვიტა.

ფინალში ზვონარევას ავსტრალიელი **სამანტა სტოსური** ხვდებოდა, რომელთანაც რუსს ბოლო ოთხი შეხვედრა ჰქონდა წაგებული. გადამწყვეტი მატჩის დასაწყისი ინდიან უელსში ცოტა ხნის გამართული შეხვედრის პირველ სეტს ჰგავდა. სტოსური მთლიანად დომინირებდა კორტზე და რუსს განძრევის საშუალება არ მისცა. შედეგიც შესაბამისი იყო - 6:0. ავსტრალიელმა პირველ სეტში 14 „ვინერსის" (აქტიური მოქმედების ალებული ქულა) დაგროვება მოასწრო და ამასთან მხოლოდ ორი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მეორე სეტის დასაწყისიც პირველს ჰგავდა. 0:3-ზე ზვონარევამ მთელი ჯავრი ჩოგანზე იყარა, რომელიც ისე დაახეთქა კორტზე, რომ შუაზე გადატეხა. ამან ცოტა ხნით უშველა რუსს - მან ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და შემდეგ პირველი გეიმი აილო მატჩში. თავად სტოსურიც ოდნავ მოდუნდა, რითაც ზვონარევამ კარგად ისარგებლა - პირველი ბრეიკი გააკეთა და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. ეს იყო და ეს. სამანტამ აგრესიული თამაში დაიბრუნა და იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე - 6:0, 6:3. სტოსურმა კარიერაში მეორე ტიტული მოიგო. საინტერესოა ამ მატჩის ერთი სტატისტიკური მონაცემი - ავსტრალიელს 36 „ვინერსი" ჰქონდა, ზვონარევას - მხოლოდ ოთხი.

ბარსელონის ტურნირმა უფრო სუსტი შემადგენლობა შეკრიბა - კატალონიის დედაქალაქში პირველ ნომრად განთესილი იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** რეიტინგში მე-17 ადგილს იკავებს. ფრანჩესკამ თავისი მაღალი სტატუსი საქმეში დაამტკიცა - კარიერაში მესამე ტიტული მიითვალა. სკიავონემ ყველა მატჩი ორ სეტში მოიგო, ყველაზე რთული კი ესპანელ **სუარეს-ნავაროსთან** მეოთხედფინალი იყო, რომელიც ორ საათს გაგრძელდა - 6:4, 6:4.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ტურნირზე დაბალი დასწრება. ხშირად მატჩებს 100-ზე მეტი ადამიანი არ ესწრებოდა, ნახევარფინალში დუგერუსა და ვინჩის შორის ერთი ტრიბუნა სულ ცარიელი იყო.

**WTA**

**Family Circle Cup**

ჩარლსტონი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 700 000 დოლარი

**ფინალი**

სამანტა სტოსური (ავსტრა, 4)-ვერა ზვონარევა (რუს, 9) 6:0, 6:3.

**Barcelona Ladies Open**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1)-რობერტა ვინჩი (იტა) 6:1, 6:1.

რალი — მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოებმა ზედიზედ მესამე მოიგო

როგორც ჩანს, ლეგენდარული ფრანგი რალისტი **სებასტიან ლოები** 2010 წლის სეზონშიც შეუჩერებელი იქნება. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა კვირას ზედიზედ მესამე ეტაპი მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლას.

ექსპერტები ელოდნენ, რომ თურქეთის რალიზე სხვა პილოტები შეძლებდნენ ფრანგისთვის კონკურენციის გაწევას, მაგრამ ისევ ნაცნობი სურათი მივიღეთ. ტრადიციულად, პარასკევს ლოები ჩრდილში მოექცა და რბოლას სათავეში მისი თანაგუნდელი **სებასტიან ოჟიე** ჩაუდგა. ახალგაზრდა რალისტი სტამბოლის გარეუბანში ბრწყინვალედ გამოდიოდა, მაგრამ ბოლო მომენტში საბურავმა უმტყუნა. ოჟიემ შაბათს პირველმა აილო სტარტი და კარგა ხანი მანქანისგან მაქსიმალურ სარგებელსაც იღებდა, მაგრამ ზედმეტი მონდომების გამო ქვაზე გადაიარა და საბურავი დაუზიანდა. ამ ინციდენტს შეიძლებოდა სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მხოლოდ საბურავის შეცვლით დასრულდა. თუმცა ფრანგმა ძვირფასი დრო დაკარგა და მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ცუდად არც შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **მიკო ჰირვონენი** გამოიყურებოდა, მაგრამ მას ისევ რაღაც დააკლდა საბოლოო წარმატების მისაღწევად. შესაძლოა, ფინელს საჩემპიონო გამოცდილება არ ჰყოფნის. ჰირვონენი ყველანაირად ცდილობდა ლიდერის დაწევას, შედეგად ის მივიღეთ, რომ ლოებმა კვირას ძალიან მშვიდად მოიგო სამი სპეცმონაკვეთი, ხოლო ფინელი არათუ მიუახლოვდა სებასტიანს, არამედ **პეტერ სოლბერგიც** წინ გაუშვა.

თურქეთში დაუჯერებელ შედეგს მიაღწია **კიმი რაიკონენმა** - ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტისთვის მეხუთე ადგილი მართლაც უდიდესი მიღწევაა. კიმი სამი დღის განმავლობაში შესანიშნავად გამოიყურებოდა და წინა ეტაპებისგან განსხვავებით სერიოზული შეცდომა არ დაუშვია. სტარტის წინ რაიკონენი მთავარ ამოცანად ათეულში მოხვედრას ასახელებდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფინელისგან ახალ ზელანდიაში მომდევნო ეტაპზეც ასეთივე შედეგს ელიან, რადგან იქ დაახლოებით ისეთივე საფარია (ღორღი და ასფალტი მონაცვლეობით), როგორიც თურქეთში. როგორც ჩანს, ასფლატი დამატებით დამაჯერებლობას მატებს კიმის. სავარაუდოდ, ამ თეორიის სისწორეში ივლისში ბულგარეთში დავრწმუნდებით, სადაც პილოტებს მთლიანად ასფალტის ტრასის გავლა უწევთ.



**IV ეტაპი. თურქეთის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:01.38,8; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +54,5; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - +1.43,4; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +3.46,0; 5. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - +6.44,3; 6. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - +7.56,7; 7. **მალკოლმ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - +8.29,8; 8. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +19.44,2; 9. **დენის კუიპერსი** (ჰოლანდია, „ფორდი") - +23.22,2; 10. **აარონ ნიკოლაი ბურკარტი** (გერმანია, „სუზუკი") - +27.04,7.

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 93 ქულა; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 53; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - 52; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - 47; 5. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 45; 6. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - 24; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 20; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 18; 9. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - 16; 10. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 14.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

**ოტავა-პიტსბურგი 2:4**

0:1, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 პონიკაროვსკი-1 (დუპუი-2, გონჩარი-3), 1:1 ფიშერი-1 (რეგინი-1, კულენი-2), 1:2 მალკინი-3 (ტელბოტი-2), 1:3 კროსბი-2 (კუკი-1, გერინი-2), 1:4 გერინი-1 (კუნიტცი-2, კროსბი-5), 2:4 კულენი-1 (ალფრედსონი-3, სპეცა-3).

**სერია: 1:2**

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 3:2 (ო)**

1:2, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 როლსტონი-1 (კოვალჩუკი-3, ზაიაცი-1), 1:1 ბრიერი-2 (ტიმონენი-2, პრონგერი-1), 2:1 მ. რიჩარდსი-2 (კარჩილო-1), 2:2 როლსტონი-2 (კოვალჩუკი-4, ელიაში-4), 3:2 კარჩილო1 (მ. რიჩარდსი-4, საიმონ განიე-2).

**სერია: 2:1**

**დეტროიტი-ფინიქსი 2:4**

1:1, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 ლეპისტო-1 (პანდოლი-2, პრუხა-1), 1:1 ფილპულა-3 (ბ. სტიუარტი-2, ზეტერბერგი-1), 1:2 ვოლსკი-3 (ლომბარდი-3, სტემპნიაკი-1), 1:3 პრუხა-1 (ერბატა-2, პანდოლი-3), 2:3 ფრანცენი-1 (ბერტუცი-3, ზეტერბერგი-2), 2:4 ერბატა-1 (ლომბარდი-4, ზ. მიხალეკი-1).

**სერია: 1:2**

**კოლორადო-სან ხოსე 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 რ. ო'რაილი-1.

**სერია: 2:1**

**ნეშვილი-ჩიკაგო 0:2**

0:0, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ბოლანდი-1 (ტეუვზი-1, პ. კეინი-1), 0:2 პ. კეინი-2 (შარპი-2).

**სერია: 1:1**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ვესტ ჰემი | 3:0 |

ლივერპული: რეინა, ჯონსონი, კარაგერი, კირიაკოსი, აგერი, ლუკასი, ჯერარდი (72. მასკერანო), ბენაიუნი (78. დეგენი), მაქსი როდრიგესი, ნგოგი (81. ბაბელი), კუიტი.

ვესტ ჰემი: გრინი, აპსონი, და კოშტა, სპექტორი (80. დაპრელა), ფობერი, ნობლი, კოვაჩი, ბეჰრამი, სტანისლასი (46. გილერმო), ილანი, კ. კოული (72. მაკკარტი).

გოლები: 1:0 ბენაიუნი (19), 2:0 ნგოგი (29), 3:0 გრინი (59-საკ. კარში)

გაფრთხილება: 0-2; კუთხური: 9-2; ჯარიმა: 9-13; თამაშგარე: 2-1; კარში დარტყმა: 22-5 (6-2); ბურთის ფლობა: 66%-34%.

მაყურებელი: 37 697

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პლიმუტი-ნიუკასლი | 0:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| პიაჩენცა-სასუოლო | 1:3 |
| რეჯინა-კროტონე | 1:0 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მალიორკა-ოსასუნა | 2:0 |

მალიორკა (4-4-2): ავატე - ხოსემი, ნუნიესი, რუბენი, აიოსე - მატიონი (74. ჩინა), მარტი, ბ. ვალერო (89. ა. კეიტა), ვარელა - ვიქტორი (80. ვებო), ადურისი.

ოსასუნა (4-2-3-1): რიკარდო - ასპილიკუეტა, ფლანიო, ხოსეჩო, მონრეალი - პუნიალი (85. ესპარსა), ვადოში - ხუანფრანი, მასუდი (46. გალანი), კამუნიასი - არანდა (85. რუპერი).

გოლები: 1:0 რუბენი (36), 2:0 კეიტა (90+1)

გაფრთხილება: 1-3; კუთხური: 5-8; ჯარიმა: 14-15; თამაშგარე: 3-1; კარში დარტყმა: 15-12 (8-4); ბურთის ფლობა: 45%-55%.

მაყურებელი: 10 000

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| არმინია-კაიზერი | 1:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კაენი-ნიმი | 0:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| სპორტინგი-სეტუბალი | 2:1 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პარტიკი-რეითი | 0:0 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ესბერგი | 0:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ოლესუნდი-რუსენბორგი | 1:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გეფლე-ერებრო | 1:3 |
| ჰაკენი-მიალბიუ | 0:1 |
| კალმარი-აიკ | 0:3 |
| ტრელებორგი-ბრომაპიოკარნა | 0:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰაკა-ტურკუ | 0:0 |
| ინტერი-მარიეჰამნი | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კრინსი-ლუგანო | 1:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანაგენისი-ეთნიკოსი (ა) | 3:0 |
| იონიკოსი-დიაგორასი | 0:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ქასიმფაშა | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბუკა-მერსინი | 2:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| გალვეი-დანდალკი | 0:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ბანიკი | 0:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ანჟი-როსტოვი | 1:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ტავრია-ობოლონი | 0:0 |
| მეტალურგი (ზ)-კარპატი | 0:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პიასტი-პოლონია (ვ) | 0:2 |
| ლეგია-იაგელონია | 2:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ვასლუი-უნივერსიტატეა | 0:1 |
| ტიმიშოარა-კლუჟი | 1:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| სლივენი-ლოკომოტივი (ვ) | 1:1 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| დაჩა-ნისტრუ | დღეს |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-მვდ | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ვოლერენგა | 4:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სლოვანი | 3:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ტპს-იუვიასკიულა | 6:1 |
| ჰპკ-კალპა | 4:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ჰ371 | 1:1 დ.დ. 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბარსელონა**

| | |
|---|---|
| დე ბაკერი-ფალა | 6:1, 6:0 |
| სტარაჩე-ჰაიეკი | 1:6, 4:6 |
| ფონინი-შვანკი | 1:6, 3:6 |
| ბელუჩი-ნიემინენი | 6:4, 6:4 |
| გარსია ლოპესი-კ. როხუსი | 5:7, 6:1, 6:3 |
| ჩელა-კრაინოვიჩი | 6:1, 6:4 |
| ერნანადესი-მარჩენკო | 6:7, 6:2, 6:4 |
| ალმაგრო-ვენტურა | 6:1, 6:2 |
| სებალიოსი-კუევასი | 6:7, 2:6 |
| რიბა-გროილი | 4:6, 4:6 |
| გრანოლერსი-კუბოტი | 6:4, 6:3 |
| გასკე-ანდრეევი | 7:6, 6:4 |

TV პროგრამა

**20 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ბაიერნი-მანჩესტერ იუნ.
09:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:35 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
12:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
14:00 პოკერი.
14:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. მანჩესტერ იუნ-ბაიერნი.
17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
19:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
21:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა (LIVE).
00:40 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. უკრაინა-ჰოლანდია ტილბურგი. ჰოლანდია.
02:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
05:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ჰერტა.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-რეალი.
09:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
11:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
12:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
14:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
14:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
16:20 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
18:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
18:40 რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
19:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:10 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბენფიკა.
22:00 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი.
22:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ჰოლანდია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია (LIVE).
01:00 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი.
01:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ინტერი-ბარსელონა.
03:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
04:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
11:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
17:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:30 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. ესპანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ნადალი ბიძულს არ დაიცავს



მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ბარსელონას ღია პირველობის გამოტოვება გადაწყვიტა, სადაც ესპანელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მთავარი პრიზის მფლობელი ხდებოდა. კვირა საღამოს ჩოგბურთელი მონტე კარლოდან ესპანეთში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ მონაკოში მან კარიერაში მე-16 მასტერსი მოიგო.

გუშინ, რაფამ მუხლებზე სამედიცინო შემოწმება ჩაიტარა, რადგან ბოლო ტურნირის მსვლელობისას კვლავ იგრძნო ტკივილები. ამიტომაც ნადალმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო: არ გარისკავს და ბარსელონას ტურნირს გამოტოვებს, თანაც უკეთ მოემზადება რომის მასტერსისთვის, რომელიც 25 აპრილს დაიწყება. ესპანელს იტალიის დედაქალაქშიც ტიტულის დაცვა უწევს.

ბარსელონაში ნადალი მეორე წრეში ესპანელ **გილერმო გარსია ლოპესსა** და ბელგიელ **კრისტოფერ როხუსს** შორის გამარჯვებულს უნდა შეხვედროდა.

ფორმულა 1

# შანხაიში ექლსტოუნი დააფასეს



ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ბოლო 30 წელია ფორმულა 1-ში სიტუაციას პირადად აკონტროლებს ლეგენდარული **ბერნი ექლსტოუნი.** ჩინეთის გრან-პრის ორგანიზატორებმა ამ ადამიანის დამსახურებების სათანადოდ დაფასება გადაწყვიტეს. ამისთვის მათ შანხაის ავტოდრომთან ექლსტოუნისა და ცნობილი ავტომრბოლების ქანდაკებები დადგეს.

მაგრამ ეს უბრალოდ ქანდაკებები არ არის: ადგილობრივმა სკულპტორებმა ჭადრაკის სათამაშო კომპლექტი დაამზადეს, სადაც ფიგურებს ჩინეთის გრან-პრის წინა გამარჯვებულები წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, დაფაზე მეფის ფიგურა ბერნი ექლსტოუნს ეკუთვნის.

როგორც ბრიტანული Autosport წერს, უნიკალური ჭადრაკის შემქმნელებს სურდათ ფიგურები დაახლოებით ადამიანის ზომისა ყოფილიყო, მაგრამ პროპორციებში შეცდნენ. მრბოლელები საკმაოდ დაბლები გამოვიდნენ, სამაგიეროდ, ექლსტოუნია იმაზე დიდი, ვიდრე ცხოვრებაშია და სხვებს ზემოდან დაჰყურებს. თუმცა, შესაძლოა, ავტორებმა ამით ავტოსპორტის სამყაროში ბერნის ძალაუფლებასა და გავლენას გაუსვეს ხაზი.




კრივი

# ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ თავი მოიკლა



მჩატე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა **ედვინ ვალერომ** ციხის კამერაში ჩამოიხრჩო თავი. ეს ტრაგიკული ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც ვენესუელელმა მოკრივემ რამდენიმე საათით ადრე მეუღლის მკვლელობა აღიარა.

მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: 20 წლის **ჯენიფერ ვიერას** სხეული კვირას საღამოს ჩრდილოეთ ვენესუელაში ქალაქ ვალენსიას სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში აღმოაჩინეს.

ვენესუელის ფედერალური პოლიციის ხელმძღვანელის **უილმერ ფლორესის** თქმით, ვალერომ სასტუმრო გვამის აღმოჩენამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა. ნასვლამდე მოკრივემ სასტუმროს დაცვასთან აღიარა ცოლის მკვლელობა, რის შემდეგაც იქ პოლიცია გამოიძახეს.

სამართალდამცავების ინფორმაციით, ვალეროს მეუღლის სხეულზე დანით მიყენებული სამი ჭრილობის კვალია აღმოჩენილი. ექსჩემპიონი პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში მიიყვანეს საქმის გარემოებათა გასარკვევად, მოგვიანებით კი კარაბობოს სახელმწიფო ციხეში ჩასვეს.

ამის შემდეგ, 28 წლის ვალერომ საკანში თავი ჩამოიხრჩო. თოკის ნაცვლად მან ტანსაცმელი გამოიყენა. ერთ-ერთი პატიმრის წყალობით, ციხის თანამშრომლებმა ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრეს მოკრივეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ვალერომ პროფესიული კარიერა 2003 წელს ამერიკაში დაიწყო. ამ მომენტისთვის მის ანგარიშზე 26 ბრძოლა მოდიოდა და ედვინს ყველა ნოკაუტით ჰქონდა მოგებული. 2006 წლის აპრილში მან 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამის შემდეგ 62 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გადავიდა და იქ 2009 წლის აპრილში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, 2010 წლის თებერვალში კი წარმატებით დაიცვა ტიტული, როცა მეშვიდე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა პრეტენდენტი **ანტონიო დე მარკო.** 2010 წლის ზაფხულიდან ვალერო 63.5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში აპირებდა გამოსვლას.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ვალეროს ნაცემი მეუღლე ორჯერ მოათავსეს საავადმყოფოში მძიმე ტრავმებით, მაგრამ ქალი ყოველთვის უარს ამბობდა ქმრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. საერთოდ, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიციამ რამდენჯერმე დააკავა ვალერო ძალადობის ფაქტებზე. ბოლოს ის 2009 წლის სექტემბერში დააპატიმრეს ოჯახური ჩხუბის დროს დედისა და დის ცემისთვის.

# მოჩვენება ჩემპიონი აღარ არის

გასულ უიქ ენდზე საკრივო სამყაროში ერთი საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ცნობილმა ამერიკელმა **კელი პავლიკმა** (მეტსახელად „მოჩვენება") მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით წააგო არგენტინელ **სერხიო მარტინესთან,** რითაც საშუალო წონაში WBC-სა და WBO-ის საჩემპიონო ქამრები დაკარგა.

პავლიკის პრომოუტერი საყოველთაოდ ცნობილი **ბობ არუმი** გახლავთ, რომელიც ამჯერად შეცდა თავისი კლიენტისთვის მოწინააღმდეგის შერჩევაში. სერხიო მარტინესი ის მოკრივეა, რომელმაც სასტიკი დღე აყარა **პოლ უილიამსს,** არადა, პავლიკის ყველაზე რეალურ მოწინააღმდეგედ სწორედ ეს უკანასკნელი ითვლებოდა. იყო კიდევ გერმანელი **ფელიქს შტურმის** ვარიანტი, მაგრამ არჩევანი არგენტინელზე შეჩერდა და როგორც აღმოჩნდა, არასწორად.

პავლიკისგან განსხვავებით, მარტინესი თავიდანვე აქტიურად ჩაება ბრძოლაში. ბევრს მოძრაობდა, რითაც იოლად გაურბოდა ამერიკელის შეტევებს. მარტინესი დარტყმებსაც ბლომად ასრულებდა და ბევრმა მათგანმა მიზანს მიაღწია. ერთ-ერთმა ასეთმა ზუსტმა მარჯვენა ჰუკმა ამერიკელს მარცხენა წარბი გაუხეთქა. 35 წლის მარტინესის ტაქტიკა მუდმივ მოძრაობაზე იყო აწყობილი - მხოლოდ ასე თუ გაექცეოდა ის პავლიკის დარტყმების ძალას. მესამე რაუნდი მიდიოდა, ბრძოლის სურათი კი არ იცვლებოდა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 28 წლის პავლიკი საკმაოდ მოდუნებული ჩანდა. მის შეტევებში მრავალფეროვნება არ შეინიშნებოდა და იერიშები იოლად იკითხებოდა.

მეხუთე რაუნდში დაღლილი მარტინესის მოქმედებებში მცირე ჩავარდნა იყო, რაც სწრაფი დასაწყისის შემდეგ სავსებით ლოგიკური ჩანდა. ამით მაშინვე ისარგებლა პავლიკმა. ამერიკელმა უფრო ზუსტად აამუშავა მარჯვენა ხელი, რის ხარჯზეც გამოიკვეთა მისი დარტყმის ძალა. მალე ამან შედეგი გამოიღო. მეშვიდე რაუნდში „მოჩვენებამ" მეტოქე მსუბუქ ნოკდაუნში გაგზავნა. ისე ჩანდა, რომ მარტინესი ველარ შეძლებდა ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას და მისი დამარცხება დროის საქმე იყო. მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა.



მეცხრე რაუნდი მარტინესმა ისევე აქტიურად დაიწყო, როგორც პირველი სამი. არგენტინელმა რამდენიმე აგრესიული და რაც მთავარია, შედეგიანი შეტევა განახორციელა. ამ იერიშების შემდეგ პავლიკს კიდევ ერთხელ გაუსკდა წარბი, ამჯერად მარჯვენა.

რაუნდებს შორის შესვენებისას პავლიკი ექიმმა გასინჯა და ბრძოლის გაგრძელების ნება დართო. ბოლო რაუნდებში ამერიკელს სისხლი შეუჩერებლივ მოსდიოდა და მოკრივეს მხედველობაში ხელს უშლიდა. მარტინესი კი შეტევებს აგრძელებდა. მან კარგად იცოდა, როგორ ემოქმედა „ცალთვალა" მოწინააღმდეგის წინააღმდეგ და სად უნდა მოერტყა მუშტი. ის შეგნებულად შედიოდა ახლო ბრძოლაში და მარცხენა ხელით მუშაობდა. არგენტინელს კარგად ესმოდა, რომ მოგებული ბრძოლა ლოგიკურ ფინალამდე მიჰყავდა. ის მარაგი, რომელიც მან შეხვედრის განმავლობაში შექმნა, წარმატების გარანტია იყო. მით უმეტეს, რომ პავლიკიც დიდად აღარ აწუხებდა მარტინესს, რითაც ეს უკანასკნელი დაცვაში ძალებს ზოგავდა. ასე რომ, მაყურებელმა ვერ იხილა ბანალური საფინალო შტურმი ჩემპიონის შესრულებით.

მსაჯების მიერ დაფიქსირებული ანგარიში არავის გაჰკვირვებია. სავსებით დამსახურებულად არგენტინელმა გაიმარჯვა - 116:111, 115:112, 115:111. ეს ანგარიში სრულად გამოსახავს ბრძოლის სურათს. ახლა პავლიკს რევანშის აღებაზე ზრუნვა მოუწევს. ბრძოლის კონტრაქტში წერია, რომ ტიტულის დაკარგვის შემთხვევაში ამერიკელს ავტომატურად ეძლევა მატჩ-რევანშის უფლება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა